პრეზიდენტი

„ბავშვებზე ზრუნვა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება“

– განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 17 ოქტომბერს გაეროს ბავშვთა ფონდის – იუნისეფის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონალურ დირექტორთან ფილიპ ობრაინთან შეხვედრაზე.

ფილიპ ობრაინმა, რომელიც საქართველოს პირველად ეწვია, ედუარდ შევარდნაძეს სამხრეთ კავკასიაში იუნისეფის ახლად დანიშნული წარმომადგენელი ისმაილ ოლდ შეიხ აჰმედი წარუდგინა. აღსანიშნავია, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის ოფისი თბილისში დაფუძნდა.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს იმ საქმიანობისათვის, რომელსაც გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ეწევა. „გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით განხორციელდა მნიშვნელოვანი პროგრამები, კერძოდ, ინფექციური დაავადებებისა და იოდოდეფიციტის პრობლემის დაძლევა, უპატრონო ბავშვებზე მზრუნველობა და, საერთოდ, ბავშვთა გაჯანსაღების მთელი სისტემის შექმნა. თქვენი დახმარება ასეთი სისტემური რომ არ ყოფილიყო, ჩვენ კატასტროფულ მდგომარეობაში ვიქნებოდით,“ – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

სტუმარმა მადლობა მოახსენა ედუარდ შევარდნაძეს თანამშრომლობისა და გულთბილი სიტყვებისათვის, აგრეთვე იმ მოღვაწეობისათვის, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ეწევა ბავშვთა პრობლემების გადასაჭრელად. „ედუარდ შევარდნაძე გაეროს ბავშვთა ფონდისათვის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსათვის, ლეგენდარული პიროვნებაა. მსოფლიოში ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ლიდერი, რომელიც ისე ზრუნავს ქვეყნის ბავშვებზე, როგორც თქვენ, – აღნიშნა ფილიპ ობრაინმა, – განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პირველ ქალბატონს ნანული შევარდნაძეს, რომელსაც ძალზე დიდი წვლილი მიუძღვის ბავშვების გადარჩენისა და მათს ჯანმრთელობაზე ზრუნვის საქმეში.“

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა ედუარდ შევარდნაძეს აღუთქვა, რომ იუნისეფი საქართველოს საიმედო პარტნიორი იქნება ბავშვთა პრობლემების დაძლევის საკითხში.

თავის მხრივ, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ბავშვებზე ზრუნვა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

მილოცვა

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემიის პროფესორებს, მასწავლებლებს, ასპირანტებს, სტუდენტებს

გილოცავთ თქვენი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების სამოცდაათ წლისთავს და იმედს გამოვთქვამ, რომ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში დიდი ქართველი მოღვაწეებისა და სპეციალისტების მიერ დაარსებული ეს სასწავლებელი მნიშვნელოვან მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენებასა და შესაბამისი სპეციალისტების მომზადებაში.

ამისათვის ყველა წინაპირობა არსებობს, როგორც შესანიშნავი პროფესორ-მასწავლებლების სახით, ისე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შესაბამისი ბაზით.

წლების მანძილზე თქვენი მეცნიერების მიერ მრავალი გამოგონება დაპატენტებული და დანერგილი, ბევრი სახელმძღვანელო და მონოგრაფიაა გამოცემული. აქ კიდევ ერთხელ ჩანს თქვენი დიდი პოტენციალი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და დარწმუნებული ვარ, ოცდამეერთე საუკუნეში უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევთ.

პატივისცემით,

ედუარდ შევარდნაძე.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №254 (4313) პარასკევი, 18 ოქტომბერი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

შენაკადები

დიდ კორუფციაში

საით მიდის თქვენი ქარავანი, ხაზინის მძარცველნო?

ძველი ანდაზაა: ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. თუ მას გადასახადების ურჩ გადამხდელებს, საფინანსო დოკუმენტების გამყალბებლებსა და, საერთოდ, სხვადასხვა „ჩამოსხმის“ იოლი გზით გამდიდრების მსურველებს და მათთან შეხებაში მყოფ სამართალდამცველებსა და ამ თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტებს შევადარებთ, „ძაღლი“ ჩვენ გამოვდივართ, ისინი – დინჯად მიმავალი „ქარავანი“, რომელსაც „მდიდართა სამოთხისაკენ“ უჭირავს გეზი. რამდენად ხშირად აღწევს ეს „ქარავანი“ „დანიშნულების“ ადგილას, ეს თავად განსაჯეთ, თუნდაც ამ მასალის გაცნობის შემდეგ, ერთი რამ ცხადია: მაევანთ ძველებურად არ სურთ კანონმორჩილება, რაც ცივილიზებული კაცის ერთ-ერთი უპირველესი ნიშან-თვისებაა. მათი „ფეხის ხმის“ აყოლა კი ჩვენ არ გვინდა და არის საგაზეთო პუბლიკაციებსა თუ ტელეგადაცემებში გაუთავებელი ლაპარაკი ათასნაირ ეკონომიკურ თუ სხვა სახეობის დანაშაულზე. ახლაც ამაზე მოგახსენებთ.

იხ. მე-2 გვ.

რაკურსი

„მე ვმუშაობდი და ჩემი პრეზიდენტობის ვადის დამთავრებამდე ვიმუშავებ“

ერთხელ მოძღვარს უმადურობით გამოწვეული აღშფოთება გავუზიარე, გგონიათ, გაამართლა ჩემი გულისწყრომა? მიპასუხა:

ქრისტემ ერთ დღეში ათი კეთროვანი განკურნა, მაგრამ მადლიერების გამოსახატავად უკან მხოლოდ ერთი დაბრუნდა. როცა თავის მოწაფეებს ჰკითხა: ის ცხრა სადღააო, აღმოჩნდა, რომ ყველა წასულიყო, ყველა გაცლოდა, ყველა თვალს ისე მიფარებოდა, რომ ერთი მადლობაც არ უთქვამთ. ახლა გეკითხები, ვინ ვართ მე, შენ ან კიდევ სხვა, რომ ჩვენი მცირე გარჯისათვის იმაზე მეტ მადლიერებას ველოდეთ, ვიდრე ქრისტეს მიაგეს? განა თორმეტი ერთგული მეგობრიდან ერთერთმა ოცდაათ ვერცხლად არ გაყიდა იგი, მეორემ კი ერთ ღამეში სამჯერ უარყო? მე, შენ ან სხვას უკეთესის იმედი რატომღა უნდა გვქონდეს?!

ჭეშმარიტად!

იქნებ ამიტომაც მოულოდნელი არაფერი ყოფილა ჩემთვის იმ პარლამენტართა საქციელსა თუ გამოსვლებში, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ყოველწლიურ მიმართვას (პარლამენტისა და ხალხისადმი ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ) რომ მოჰყვა 11 ოქტომბერს საკანონმდებლო ორგანოში?

გულმოსული კაცი უმეტესად მხამით არის სავსე. ის კი, თუ ვინ რატომ არის გულმოსული, ვის რა ბოღმა ალაპარაკებს, ხალხმა უკვე კარგა ხანია იცის. და თუ ვინმეს ჰგონია, აქაოდა მკვახე-მკვახე გამოსვლებით (რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურება) საზოგადოების თვალისჩინი გავხდებიო, ძალიან ცდება.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

2002 წლის 16 ოქტომბერი ქ. თბილისი

ავთანდილ დოლიძის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქიმიური ეკოლოგიის დარგის განვითარებაში, ყოფილი სამხედრო ტერიტორიების რეაბილიტაციასა და მაღალტოქსიკური ნარჩენების უტილიზაცია-გაუვნებლობის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ავთანდილ დოლიძე** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

ტელეეკრანი

ტელეთამაში – „იმღერე რამე“...

მართალია, კოკა ყანდიაშვილის კომპანია „პრემიერის“ ახალი პროექტი „იმღერე რამე“ რუსულიდან (რუსული, თავის მხრივ, ევროპულიდან) ნასესხები გადაცემაა, მაგრამ ეს უცხოური იდეა იმდენად საყოველთაო და ინტერნაციონალურია, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულ სამყაროს, ქართულ ხასიათს ადვილად მოერგო. თუმცაღა, თითქმის გაუგებარია, რატომ ჰქვია ამ გადაცემას „თამაში“ და არა, დღეს ასე პოპულარული „შოუ“... წარმოვიდგინოთ, რომ ეს ცხოვრება, საერთოდ, თამაშია, მით უფრო – ტელეეკრანზე და ეს შემეცნებითი, მუსიკალური პროგრამა ყველასთვის ხელმისაწვდომ თამაშად ვაღიაროთ, მაგრამ, ასე რომ არ არის? ვინც მუსიკის ანა-ბანა არ იცის და სმენა არა აქვს, ადვილად მარცხდება... გონიერ და მორცხვ მაყურებელს კი გული სწყდება, – რა ელემენტარული მელოდია ვერ გამოიცნო!.. სწორედ ეს არის ჟურნალისტური ინტრიგა და მაყურებლის მიზიდვის ხერხი. ახალი გადაცემა სექტემბრიდან გადის სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე (თანაც, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა) და უკვე მიიპყრო ათასობით (იქნებ – მილიონობითაც!) მაყურებლის ყურადღება.

აი, დღევანდელი, 18 ოქტომბრის „იმღერე რამე“ ყველასაგან გამორჩეულია. მასში ქართული ესტრადის „ვარსკვლავები“ მონაწილეობენ.

გადაცემას ჩვეული ემოციურობით წარუძღვება გიორგი ბახალა. ოღონდაც, არ დაგავიწყდეთ, ყვავის ბახალასავით საყვარელი ეს ბიჭი, გიორგი გიორგანაშვილია.

უყურეთ, არ გამოტოვოთ. ტელეთამაში 19.20 საათზე იწყება.

სამკურნალო

კალმ-ლექსები

წილი

ამ საცოდავი ქვეყნიდან,
ყველა მოითხოვს წილს,
რუსის რა უნდა მეწყინოს,
მე ქართველისა მწყინს.
რადა ხარ ეგრე ნეტარი,
რა უხარია სულს?
რა ჩაგიდია ნეტავი,
რის ამოღება გსურს?

ოცნება რეზიდენტისა

ასე ვოცნებობ, – „ახ ნეტავ,
ღმერთმა მაქციოს დენდად,
მე პრეზიდენტი გავხდე და
ჩემი სამშობლოს დედად...“

შეცვლა რაღაცის

თქვენ რომ არ ჰყავდეთ
პრეზიდენტი შესძლებდა მეტსა,
ხვალ და ზეგ, ალბათ, საჭიროა
რაღაცის შეცვლა.

შეერთდით!

შენ – ცალკე, მე – ცალკე,
ის – შენი, ეს – ჩემი,
ერთმანეთს ვერასდროს,
ვერაფრით ვეჩვევით,
ისევ, შენ თუ იტყვი,
შენ, ერთი, შენ, ერთი,
შეერთდით, შეერთდით,
შეერთდით, შეერთდით!

ჯ. ჩ.

2002 წლის ოქტომბერი.

პოზიცია

არსებითად, ეს იყო შანტაჟი

ნომრის სტუმარია პოლიტოლოგი ნუგზარ მოლოდინაშვილი

– ბატონო ნუგზარ, ჩვენი ქვეყნის ირგვლივ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ დღევანდელი ქართული ოპოზიციის რადიკალური მოქმედებები, თუნდაც პარლამენტში პრეზიდენტის სტუმრობისას გადადგმული ნაბიჯები?

– საერთოდ, თვით მტკიცე სახელმწიფოებრიობისა და სტაბილური წესრიგის მქონე, განვითარებულ ქვეყნებშიც, ოპოზიციის ურთიერთობები მმართველ ძალასთან ეფუძნება ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი ვალდებულების ნორმებს. ასე ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს გარე საფრთხეები.

ჩვენს შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება, და ეს ეტაპიც მტკივნეული კატაკლიზმებით გაიარა, პოლიტიკოსებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვებათ. გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვებათ იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც უშუალო წვლილი მიუძღვით ამ კატაკლიზმებში. მაგრამ აქ პირიქით ფიქრობენ – რაკი სახელმწიფო ჯერ კიდევ სუსტია, ეს ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან. ერთ-ერთმა ლიდერმა ისიც კი თქვა, რა ჩემი საქმეა, ვის წისქვილზე ასხამს ჩემი პოზიცია წყალსო. მე ვფიქრობ, ასეთი უდარდელობა მაინცდამაინც კარგად არ უნდა ახასიათებდეს პოლიტიკოსს, მით უფრო, როცა პერმანენტულად ასე იქცევა ქვეყნისათვის საბედისწერო მომენტებში.

იხ. მე-3 გვ.

რეპლიკა

მე რომ ასლან აბაშიძე ვიყო...

„რაც ერთმა მეგობარმა დამმართა, ასი მტერი ვერ მიზამდაო“

მე რომ ასლან აბაშიძე ვიყო, დავიბარებდი „აღორძინების“ აქტიურ წევრს, თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს ჰამლეტ ჭიპაშვილს და წყნარად ვეტყოდი:

– დანიის პრინცო და თქვენო აღმატებულებავ, ერთგულებას ზომიერება ამშვენებს და ნებისმიერი გადამლაშება უარყოფითად მოქმედებს, უწინარეს ყოვლისა, ჩემს ავტორიტეტზე.

რის გამო ვეტყოდი ასე?

საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ნუგზარ რუხაძის პროგრამაში სუპერემოციური მონაწილეობისა გამო, როცა ისეთი „განდაგანა“ ჩაახვია ამ თბილისელმა კაცმა, წამყვანს რომ არ ემარჯვა, ყარსის ხელშეკრულების ანაბარა დაგვტოვებდა, რომელიც, როგორც ცნობილია, სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების შეტანის საკითხებს საერთოდ არც განიხილავს, არც არაფერს ადგენს. საქმე კი მაინცდამაინც ამ პრობლემას ეხებოდა: ორი წლის მანძილზე აჭარას 2,5 მილიონი ლარი არ შეაქვს ცენტრალურ ბიუჯეტში.

იხ. მე-2 გვ.

გაუტიეს!

ვინ და რატომ „მოიწვია“ ასლან მასხადოვი საქართველოში?

ერთი ძაააალიან „სერიოზული“ ყოველკვირეული გაზეთი გამოდის საქართველოში. ეს ძაააალიან გაზეთი ჟამიჟამ ისეთ სისულელეს შემოგვთავაზებს ხოლმე, თანაც ისე ამაყად აცხადებენ მისი მამანი, – ვაკეთებთ იმ ას, რაც ვიცითო, და ისეთ ვაიუშველებელ რეკლამას უწევენ, იფიქრებ, ვინძლო, მართლა იციან, რასაც აკეთებენ?

მაგრამ, თუ ასე არ არის? სერიოზულ გაზეთს რომ არ ეკადრება, ისეთ სისულელეს რომ აქვეყნებს გადაუმოწმებლად და ამის შესახებ სახალხოდ რომ გაჰკივის?

ავიღოთ გუშინდელი „ჯორჯიან თაიმსი“ და წავიკითხოთ ამბავი იმისა, რომ თურმე „ასლან მასხადოვი ედუარდ შევარდნაძეს ხვდება. „დიდი პოლიტიკური სამკუთხედი დიდი მოლაპარაკების მოლოდინში“.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

ბაქო-სუფსის ნავთობსადენი შეიძლება დაიხუროს?

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა განაცხადა, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენი შეიძლება დაიხუროს მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ტრასა. ეს განცხადება აზერბაიჯანის ლიდერმა გააკეთა სტამბოლში თურქეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარესთან რუფათ ჰიდარჩიოღლუსთან შეხვედრაზე. ალიევმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის რეალიზაცია თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობაში ახალი ეტაპის დაწყების მომასწავებელია.

კოდორის ხეობაში მშვიდი ვითარებაა

საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და თანამეგობრობის კოლექტიურ ძალთა მშვიდობისმყოფელების ერთობლივი პატრული დაბრუნდა კოდორის ხეობიდან, სადაც სამი დღე დაჰყო, – იტყობინება გაეროს მეთვალყურეთა მისია პრესისათვის გავრცელებულ განცხადებაში. პატრულმა კოდორის ხეობაში შექმნილი სიტუაცია შეაფასა „როგორც მშვიდი“. მას არ აღმოუჩენია უცნობი პირები ან საბრძოლო მასალები და იარაღი. კოდორის ხეობის ქვედა ნაწილში ხანმოკლე ყოფნისას პატრულს არ შეუნიშნავს რაიმე სამხედრო აქტიურობა.

კრიმინალთა გადაადგილება შეიზღუდა

შიდა ქართლში ბლოკ-საგუშაგოების გახსნამ, ერთ დღეშიც კი, შესამჩნევი შედეგი გამოიღო, რადგან ამ ტერიტორიებზე კრიმინალთა გადაადგილებები შეზღუდა.

შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის გადაწყვეტილების საფუძველზე შიდა ქართლის ტერიტორიაზე შინაგანი ჯარისა და პოლიციის ერთობლივი ბლოკ-საგუშაგოები ოთხშაბათს გაიხსნა.

საგუშაგოები გორის რაიონის სოფელ ფხვენისში, ტყვიავსა და სოფელ მეჯვრისხევის ზონაში განლაგდა. საგუშაგოებზე შინაგანი ჯარების წარმომადგენლებთან ერთად შსს-ს ოპერატიული სამსახურების თანამშრომლები იდგებიან.

ბლოკ-საგუშაგოების გახსნა რეგიონში გართულებული კრიმინოგენული სიტუაციითაა განპირობებული. ამასთან, საკითხი შეთანხმებულია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობო ძალების სარდლობასთან და ამ ღონისძიებას არანაირი სირთულეები არ უნდა მოჰყვეს, – აღნიშნა დალაქიშვილმა.

პანკისში სპეცოპერაციის მასშტაბი შემცირდება

შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი აცხადებს, რომ პანკისის ხეობაში, სპეცოპერაციის მასშტაბი უკვე უახლოეს მომავალში შემცირდება და პოლიციის დამატებით ქვედანაყოფებს გამოიყვანენ.

ამასთან, როგორც პრაიმ-ნიუსს კობა ნარჩემაშვილმა უთხრა, ხეობაში კაპიტალურად მოწყობილ ბლოკპოსტებზე შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები დარჩებიან.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა კატეგორიულად უარყო ვარაუდი, რომლითაც ხეობაში მიმდინარე ანტიკრიმინალურ ოპერაციას საზღვარგარეთიდან აფინანსებდნენ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

მილოცვა

დაბადებიდან 70 წელს ვულოცავთ საქართველოს წიგნის სახელმწიფო პალატის გენერალურ დირექტორს ბატონ რევაზ ღლონტს. ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, სიხარულსა და შემოქმედებით წარმატებებს.

წიგნის პალატის თანამშრომლები.

უკანასკნელ საათს

აშშ სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს სნაიპერი-მკვლელის ძებნა გუანტანამოს ბაზაზე დაიწყონ. „ალ-ყაიდას“ ბოევიკების დაკითხვებს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები შეუდგებიან. სპეცსამსახურები იმედოვნებენ, თუნდაც მცირედი ინფორმაციის მოპოვებას უცნობ მკვლელზე. პოლიციამ აქამდე ვერ შეძლო სნაიპერის ფოტორობოტის შედგენა.

ისრაელის ტანკებიდან გასროლების შედეგად რაფახის ლტოლვილთა ბანაკში 5 პალესტინელი დაიღუპა. 30 ადამიანი, მათ შორის ბავშვები დაიჭრნენ.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +15; დღისით +28;
მთაში: ღამით +12; დღისით +24;

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით +12; დღისით +23;
მთაში: ღამით +8; დღისით +17;

თბილისში

უნალექოდ, სუსტი ქარი.
ღამით +12; დღისით +23.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ლარის კურსი

18 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.3729	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1751	ლარი
ევრო	1	2.1244	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0687	ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– მარ 44 წლის, მყავს 4 მცირეწლოვანი შვილი. მარშან ვერ მოვხვდი „იუსაიდის“ პროგრამაში.

გთხოვთ, მიპასუხოთ, რა პრინციპით ხდებოდა ოჯახების შერჩევა?

ნატა ლამბაშიძე.

– ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო „იუსაიდმა“ შეღავათები ელექტროენერგიაზე გაავრცელა უმწეოთა რამდენიმე კატეგორიაზე. ამ პროგრამით, სამწუხაროდ, ვერ ისარგებლეს ისეთმა ოჯახებმა, მათ შორის, მრავალშვილიანებმაც, რომელთაც ნამდვილად ესაჭიროებოდათ დახმარება, ვინაიდან გამოყოფილი თანხა არ იძლეოდა საქართველოში მცხოვრებ ყველა ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახის ელექტროხარჯების სუბსიდირების საშუალებას.

ამჟამად პროგრამა დახურულია და თუ მიმდინარე წლის ზამთრის სეზონისათვის იგი კვლავ განაახლებს მუშაობას, გირჩევთ მიმართოთ სოციალური დახმარების განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან უშუალოდ ზემოაღნიშნულ სააგენტოს.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

გაეროს უშიშროების საბჭო ახალ რეზოლუციას ამზადებს ერაყთან დაკავშირებით, – განაცხადა გუშინ გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა. მისი თქმით, რეზოლუცია გააფართოებს გაეროს ინსპექტორების უფლებამოსილებებს და განამტკიცებს ბირთვული განიარაღების პროგრამას.

რუსეთის პირველ პრეზიდენტს ბორის ელცინს ერევნის კონიაკის ქარხანაში აჩუქეს მისი წონის კასრი. ამიერიდან 425 ლიტრი კონიაკი ელცინის და მისი მემკვიდრეების საკუთრებაა.

8-დან 34 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს 16 რუს და ესტონელ მესაზღვრეს – ნარკოდაჯგუფების წევრებს. ამასთან, ისინი დააჯარიმეს გიგანტური თანხით – 400 მილიონი ევროთი. მთავარი ეჭვმიტანილი გაიქცა.



„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 254. პარასკევი, 18 ოქტომბერი, 2002 წელი.

რაკურსი

„მე ვმუშაობდი და ჩემი პრეზიდენტობის ვადის დამთავრებამდე ვიმუშავებ“

(პირველი გვერდიდან)

ამით მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ან მიზნის მიღწევაში მოეცარათ ხელი და ამას ვერ შეგუებიან, ან კიდევ — თავიანთზე განათლებულისა და მაღლა მდგომის შეურაცხყოფა ართობთ. ხალხს კი გასართობად არა სცალია. იგი სულმოუთქმელად ელის საქართველოს პრეზიდენტის მიერ აღებული კურსის განხორციელებას: აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების რეფორმას, საკონსტიტუციო კომისიის შექმნას, ეკონომიკურ რეფორმას, საერთაშორისო ორბიტაზე საქართველოს მყარად დამკვიდრებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, კორუფციასთან ბრძოლით შემოსავლების ზრდას. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ძლიერ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რომელსაც დრო, გონიერება და ერთობის ძალა სჭირდება და არა მოშლილი საათის გუგულივით წარამარა ულოგიკო გამოხდომები.

ყველაფერ ამაზე არგუმენტირებულად ილაპარაკა ქვეყნის მეთაურმა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დარჩა თავისი გამოსვლის შემდეგ სხდომათა დარბაზში, რომ გონივრული სჯა-ბაასი მოესმინა, მაგრამ... ზოგმა სხდომათა დარბაზის დატოვება არჩია, ზოგმაც, აქაოდა ლაპარაკი მემარჯვებაო (უძვლო ენაც ხომ საუკეთესო საშუალებაა ამისათვის), სიძულვილის, შეურაცხყოფისა და ცილისწამების კორიანტელი დააყენა. რას იზამ, აკაკისა არ იყოს, ენასაც ხომ უნდა ზოგჯერ თავის გამოჩენა?

იმ დღეს ასეთმა ფრაზამაც გაიჟღერა: თითქოს საქართველოს პრეზიდენტმა მიზანმიმართულად დააბეჩავა ერი, ქვეყანა ისეთ სიდუხჭირეში ჩააგდო, ხალხი გაჭირვებისაგან ჭკუიდან იშლება. აბა, რატომ — ამდენი ხელგაწვდილი მათხოვარი, ამდენი თვითმკვლელობაო და ა.შ. მერედა, ვინ უარყოფს, რომ დღევანდელი მეტისმეტად დაძაბული ცხოვრებით ხალხი შფოთს შეუპყრია? შფოთს, რომელსაც სასოწარკვეთამდე მიჰყავს ადამიანი? სასოწარკვეთა კი მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება რელიგიაში. მართალია, უფალი მოწყალეა და ბოლოს ყველა ცოდვას მოგვიტევებს, მაგრამ ნერვები არაფერს გვპატიობს და აი შედეგიც: ისტერიამდე განერვიულებული საზოგადოება. მერედა, ვის მიჰყავს ხალხი აქამდე? საქართველოს პრეზიდენტს, დღენიადაგ წინ გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებსა და უკეთეს მერმისზე რომ გველაპარაკება, თუ იმათ, ვინც ყოველდღიურად პრესითა თუ ტელევიზიით აგრესიული ტონით, ძარღვებდაბერილები უკუსვლასა და უბედურებებს ჩაგვჩიჩინებენ? ჰგავს თუ არა ყოველივე ეს წამების ძველებურ ჩინურ მეთოდს, როცა ტყვეებს ხელ-ფეხს უბორკავდნენ და თავს ზემოთ წყლით სავსე გუდას უკიდებდნენ, საიდანაც განუწყვეტლივ წვეთავდა წყალი? წყლის წვეთები, ბოლოს და ბოლოს ტყვეებს ჩაქუჩებად ეჩვენებოდათ და ჭკუიდან იშლებოდნენ.

სხვისა არ ვიცი და, ის შიში, რომელსაც ეს ჩვენი „კეთილისმსურველნი“ თავიანთი ქადაგებით გვინერგავენ, სწორედ იმ წვეთს მაგონებს, სასოწარკვეთამდე რომ მიჰყავს ადამიანი. მართლაცდა, ყველას ერთნაირი ნერვები ხომ არ აქვს, რომ ამ გაუსაძლის ყოფაში სულიერი სიმშვიდე შეინარჩუნოს? იქნებ სჯობს ამაზე დავფიქრდეთ, თორემ, თუ ვინმეს ჰგონია, შეურაცხმყოფელი თავდასხმებით ედუარდ შევარდნაძეს დააკარგვინებს წონასწორობას და ათქმევინებს, ზოგიერთთათვის მართლაც სანუკვარ სიტყვას — „გადავდგები“, არაფერი გამოუვა: მას, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, შეუძლია ნებისმიერ მძიმე ვითარებაში მოთოკოს ნერვები. იგი იმაზე მეტად ძლიერია, ვიდრე ჩვენ გვგონია. ნუ გვავიწყდება, რომ ედუარდ შევარდნაძე ქართველია და ეს სიძლიერე ქართული გენით მოდგამს. განა ამ გენმა არ მოიყვანა დღემდე მრავალჭირგადახდილი საქართველო? გენი, რომელსაც შიში და ძრწოლვა არ სჩვევია, თითოეულ ჩვენგანშია. მთავარია, ვფლობდეთ ამ სიძლიერის გამოხმობის უნარს. ვიღაც კი სწორედ ამ სიძლიერის დასუსტებას ცდილობს, რადგან იცის, შიშს უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე თვითონ ჭირს. მერედა, ვისთვის არის ხელსაყრელი ეს ზიანი? იმათთვის, ვინც თესავს, თუ — ვინც აქარწყლებს? თვითონ გასაჯეთ.

„მე რომ ვცდილიყავ მომეგერიებინა ყველა თავდასხმა ან მათზე საპასუხო წერილები მეწერა, მაშინ საქმეს ვეღარ გავაკეთებდი. მე კი თავს არ ვიზოგავდი და ვაკეთებდი აბსოლუტურად ყველაფერს, რაც შემეძლო, ასეთი ვიქნები ბოლომდე. თუ ბოლო კეთილი გამოდგა, მაშინ ყველა ბრალდება გაბათილდება, თუ დამარცხება მელის, ათმა ანგელოზმაც რომ დაიფიცოს, ჩემს სიმართლეს მაინც არ დაიჯერებენ,“

აბრაამ ლინკოლნი.

როცა დარბაზის დატოვების ინიციატორს ჰკითხეს: თქვენ რომ ამას აპირებდით, წინასწარ როგორ გაიგო შევარდნაძემო, ისევ და ისევ ხელისუფლების შესაძლო აგენტურაზე გამოთქვა ეჭვი. თუმცა, ისიც დაამატა: არ ვიცი, არ დავინტერესებულვარო. ვერ დავუჯერებ. იქნებ საკუთარი ინფორმატორით განგებ მიიტანეს კიდეც ეს ჩანაფიქრი საქართველოს პრეზიდენტის ყურამდე, რათა მოსალოდნელ ინციდენტს წინასწარ დაეფრთხო და შეეშინებინა იგი? არ ვიცი და ვერც დავიჩემებ, მაგრამ ეს კია, არ გამოუვიდათ, რადგან შევარდნაძემ იცის, შიში აქვეითებს ბრძოლის უნარს, რაც კაპიტულაციის წინაპირობაა. საქართველოს პრეზიდენტს კი ფარ-ხმალი რომ დააყრევინო, მასზე ნახევარი მეტრით მაინც მაღლა უნდა იდგე. იმ დღეს კი აშკარად გამოჩნდა, ედუარდ შევარდნაძე მთელი თავით მაღლა დგას არა მხოლოდ თავის პოლიტიკურ მტრებზე (რომლებიც უკადრებელს კადრულობენ, ოღონდ განაჭიქონ და მიწასთან გაასწორონ იგი), არამედ მოწინააღმდეგეებზეც, რომლებიც გამუდმებით ჭკუას ასწავლიან, თუ გნებავთ, მაქებარ თანამოაზრეებზეც კი.

იჯდა სამოცდათოთხმეტი წლის სრულიად ჭაღარა საქართველოს პრეზიდენტი და მშვიდად უსმენდა განმქიქებელსა თუ „ჭკუის მასწავლებელს“. არა იმიტომ, რომ იმ ქვეყნის საქმე, რომელსაც იგი მეთაურობს, იმაზე უკეთ არის, ვიდრე ჩვენ გვგონია, არამედ იმიტომ, რომ ედუარდ შევარდნაძე პროფესიონალი პოლიტიკოსია და ის, რასაც დღეს სთავაზობენ, მისთვის უკვე გუშინდელი ნაფიქრია. მხოლოდ ეს არის, იგი წინასწარ არასოდეს ამხელს ჩანაფიქრს. ამას უნდა მიუხვდე და რომ მიუხვდე, გუშინდელზე ჭკვიანი დღეს უნდა იყო. სწორედ ამის დანახვა სურდა იმ ახალგაზრდებში პარლამენტში მისვლის წინა დღეს, რომ დაურეკა და ურჩია, ხელი აეღოთ წინასწარ დაგეგმილ აქციაზე, ბოლომდე მოესმინათ მისთვის. ვერ მიუხვდნენ. ან იქნებ პირიქითაც? და სწორედ იმიტომაც გაიქცნენ? ჩანს, სათქმელი იმისთანა ვერაფერი ჭკვიანური ჰქონდათ... თორემ ამ მოქმედებით რომ ვერც ჩინ-მედლები დაიკიდეს და ვერც ედუარდ შევარდნაძეს დააკლეს რამე, ფაქტია. მართლაცდა, რა კარგად უთქვამს ბრძენ კაცს, არასოდეს არ უნდა შეეპოტინო იმას, რასაც თითისწვერებზე აწეულიც ვერ შეწვდებიო. ისტორიაში ხომ ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი არსებობს. თუნდაც ეს: იელის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი ტიმოთი დუაიტი თავს ესხმოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატს, იგი ხალხს აფრთხილებდა, თუ ამ კაცს პრეზიდენტად ავირჩევთ, მალე დავინახავთ, რომ ჩვენ ცოლებსა და ქალიშვილებს დაკანონებული პროსტიტუცია იმსხვერპლებს, მათ გულცივად წაბილწავენ, სულს შეუგინებენ, დააკარგვინებენ სათნოებასა და კეთილშობილებას, ღვთისა და კაცის აუგად სახსენებელთ გახდიანო. და, იცით, ვინ იყო ეს კაცი? ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი, დემოკრატიის უმწიკვლო დამცველი თომას ჯეფერსონი.

ვის ეძახდნენ „პირფერს“, „თაღლითს“, „თითქმის მკვლელს“? ვის დასცინოდა ქუჩაში ბრბო, ვის უსტვენდნენ ზურგსუკან? — ჯორჯ ვაშინგტონს.

და მაინც, ამერიკის არც ერთ სახელმწიფო მოღვაწეს არ რგებია იმდენი შეურაცხყოფა, სიძულვილი და ცილისწამება, რამდენიც ლინკოლნს. ვერც ერთი მათგანი ამგვარ შემოტევებს ვერ გაუძლებდა, მძაფრ კრიტიკაზე პასუხის უაზრობას რომ არ მიმხვდარიყვნენ.

„მე რომ ვცდილიყავ მომეგერიებინა ყველა თავდასხმა ან მათზე საპასუხო წერილები მეწერა, მაშინ საქმეს ვეღარ გავაკეთებდი. მე კი თავს არ ვიზოგავდი და ვაკეთებდი აბსოლუტურად ყველაფერს, რაც შემეძლო, ასეთი ვიქნები ბოლომდე. თუ ბოლო კეთილი გამოდგა, მაშინ ყველა ბრალდება გაბათილდება, თუ დამარცხება მელის, ათმა ანგელოზმაც რომ დაიფიცოს, ჩემს სიმართლეს მაინც არ დაიჯერებენ,“ — ეს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის აბრაამ ლინკოლნის სიტყვებია, კაცის, რომელიც ისტორიამ ლეგენდად აქცია.

ეს კი, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 11 ოქტომბერს პარლამენტში ნათქვამი შემაჯამებელი სიტყვის ამონარიდი:

„მე არ ვაძლევ ჩემს თავს უფლებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დავხურდავდე“ და ყველას ვუპასუხო იმ შენიშვნებზე, რომლებმაც ერთხელ, მართალიც, გამომიყვანა წონასწორობიდან. დანარჩენ დროს ჩემს ნერვებს, ასე თუ ისე, ვფლობდი... მე ვმუშაობდი და ჩემი პრეზიდენტობის ვადის დამთავრებამდე ვიმუშავებ ამ პარლამენტთან, თქვენთან ერთად, რათა სანიმუშოდ ჩავატაროთ მომავალი პარლამენტისა და, შემდეგ — პრეზიდენტის არჩევნები“.

აი რატომ არ გადადგება საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც არც ქრისტეზე მეტ პატივზე უფიქრია ოდესმე და არც ლინკოლნზე ნაკლებ შეურაცხყოფას მოელის.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

იუბილე

ზეიმი — ვეტერინართა სახელოვანი გზის დასტური

დღეს, 18 ოქტომბერს, საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემია თავისი დაარსებიდან 70 წლისთავის იუბილეს ზეიმობს.

დღესასწაულს ესწრებიან საქართველოს ხელისუფლების, თბილისში აკრედიტებული უცხო ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლები, ასევე, ჩამოვიდნენ სტუმრები მოსკოვიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან.

მეცხოველეობა ქართველი ტომების უძველესი დარგია.

დადგენილია, რომ სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველო ერთ-ერთია, სადაც პირველად მოიშინაურეს მსხვილფეხა საქონელი და ცხვარი, ცხოველთა ჯიშებთან ერთად ხალხის შემოქმედებამ შექმნა ყველა ბუნებრივი საწარმოო ზონის შესაფერისი მეცხოველეობის ორგანიზაცია და ტექნიკა.

ჩვენი სახელოვანი წინაპრები ძველთაგანვე ზრუნავდნენ შეექმნათ ლიტერატურა, რომელიც დაეხმარებოდა მოსახლეობას პირუტყვის სწორ მოვლა-პატრონობასა და სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობაში. ამის დასტურია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ დღემდე გამოვლენილი უძველესი სავეტერინარო ხელნაწერები, რომელთა მნიშვნელობა ძალიან დიდია.

1932 წლის 25 ივნისს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე დაარსდა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი, რომლის დაარსების ინიციატორები იყვნენ სეონ თოხაძე, ილია ჯანდიერი, მიხეილ ფარცვანიძე, ნიკოლოზ იაშვილი, დავით ახმეტელი, ლევან ლეონიძე.

1999 წელს ინსტიტუტს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემიის სტატუსი.

დღეს აკადემიაში სპეციალისტების მომზადება მიმდინარეობს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის, სავეტერინარო მედიცინის და ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ფაკულტეტების ქართული და რუსული სექტორების დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე, ასევე მის ფილიალებში.

თავისი არსებობის მანძილზე სასწავლებელმა მოამზადა 7200-ზე მეტი ზოოინჟინერი, 5270 ვეტერინარი ექიმი და სპეციალისტი.

აქ მუშაობენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, დოცენტები...

სასწავლებელს სხვადასხვა დროს მიღებული აქვს უამრავი სახელმწიფო ჯილდო, მათ შორის საპატიო ნიშნის ორდენი, ოქროსა და ვერცხლის მედლები.

სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის კი, 1998-2000 წლებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ აკადემიის 41 თანამშრომელი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, 49 თანამშრომელი — ღირსების მედლით, მადლობა გამოეცხადა 35 თანამშრომელს.

დიახ, ასე, დიდი გამოცდილებით, სიძნელეების გადალახვით განვლო თავისი 70 წელი და იმედია, თავს წარმატებებით მომავალშიც ისახელებს საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემიის სახელოვანი კოლექტივი.

ვულოცავთ!

ლია ქილაძე.

ტრანსკავკასიის მაგისტრალზე მოძრაობა აღდგა

რუსეთთან საქართველოს დამაკავშირებელი ტრანსკავკასიის მაგისტრალზე მიმოსვლა აღდგა დროებითი სქემით. 8 ოქტომბერს ქვემო ზარმაგის საკონტროლო-გამტარი პუნქტის რაიონში გზის მონაკვეთზე ჩამოწვა კლდის უზარმაზარი მასა, რომელმაც ხუთას მეტრამდე გზა მოიყოლა. გზის მუშაკებმა დროებითი ტრასა გაიყვანეს მდინარე არდონის მარცხენა ნაპირზე და ხიდი ააგეს. მსუბუქი და სატვირთო ტრანსპორტის მიმოსვლა მკაცრი გრაფიკით წარმოებს. ტრასიდან ჯერ კიდევ უნდა გაიტანონ 12,5 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ქვა და კლდის ქანები.

საქართველო მზად არის ხელი მოაწეროს ოქმს

საქართველოს მხარე მზად არის ერევანში გახსნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სასაზღვრო უწყებათა ხელმძღვანელების შეხვედრის ფარგლებში ხელი მოაწეროს ოქმს ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთებზე საზღვრის დაცვის საკითხებში რუსეთის მხარესთან ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, ეს განაცხადა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ. დასახული ღონისძიებანი „არ გამორიცხავენ ორი ქვეყნის მესაზღვრეთა ყოფნას მოსაზღვრე ტერიტორიებზე“.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

რეპლიკა

მე რომ ასლან აბაშიძე ვიყო...

„რაც ერთმა მეგობარმა დამმართა, ასი მტერი ვერ მიზამდაო“

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ სანამ საბიუჯეტო პერიპეტიებზე გავბედავდე ორიოდე სიტყვის თქმას, ვეტყვი დანიის პრინცის სეხნიას:

— ბატონო ჰამლეტ, მართალია, თქვენ ერთ დროს უზენაესი საბჭოს აპარატს ხელმძღვანელობდით და ახლა „აღორძინების კავშირში“ ხართ, მაგრამ ეს სრულებითაც არ გაძლევთ უფლებას, რომ მთავრობის 16 ოქტომბრის სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნას „სისულელეები“ უწოდოთ, და ისე უდიერად მოიხსენიოთ ქვეყნის პრეზიდენტი, ვითომ საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო საქმეთა დეპარტამენტის რიგითი თანამშრომელი გყავთ გამოძახებული დისციპლინარული დარღვევის გამო გასალანძღად და გასათათხად.

ოი, რა აენთო და გაცეცხლდა ეკრანზე!

რატომ და რისთვის?

გინდა თუ არა, პრეზიდენტმა აჭარას და მის ლიდერს სეპარატისტობა დააბრალაო, ვისაო, ჩვენო? და ა. შ., ურჩევდა საქმეს წარმომადგენლობის უფროსი საქართველოს პრეზიდენტს.

— არ უთქვამსო ასე, — ძლივს ჩააკვეხა სიტყვა წამყვანმა.

ახლა შენ გაჩერდი და მე მაცალეო, შეუტია და შეუტია ჰამლეტ ჭიპაშვილმა და იმის მტკიცება დაიწყო გაასკეცებული ენერგიით, თითქოს ვინმეს ეჭვი ეპარებოდა აჭარის ჭეშმარიტ ქართულ სულისკვეთებასა და პატრიოტიზმში.

სანამ იგი ამ ტაიჭზეა ამხედრებული და მიერეკება, მოდით, მოვისმინოთ, რა თქვა სიტყვასიტყვით პრეზიდენტმა მთავრობის იმდღევანდელ სხდომაზე:

— მთელი ორი წელია, არ მიმდინარეობს სახსრების გადმორიცხვა ბიუჯეტში... (მიაქციეთ ყურადღება: პრეზიდენტი ლაპარაკობს საბიუჯეტო პრობლემებზე — ფული არ გადმოირიცხება აჭარიდანო და საკითხის განხილვას ამავე ჭრილში განაგრძობს).

— ასე არ შეიძლება: თუ შენ ცალკე გინდა ცხოვრება და გამოყოფა ქვეყნისგან, მაშინ ამ წესით უნდა იცხოვრო. მაგრამ ამის უფლებას არავინ მოგცემს და ამას ვერც ვერავინ მიაღწევს (ვიმეორებ გაუგებართათვის, მათთვის, ვინც აკვიატებულ აზრს ვერ მორევია: პრეზიდენტი ლაპარაკობს არა საქართველოდან აჭარის გამოყოფაზე, არამედ ერთიანი საფინანსო სისტემიდან გამოყოფის რეალობაზე და ასკვნის, არც ასეთი წესით შეიძლება ცხოვრება და არც არავინ მოგცემს ამის უფლებასო. პოლიტიკურ ჭრილში ამ თემის გადაყვანა მხოლოდ დემაგოგიად შეიძლება შეფასდეს, რადგან პრეზიდენტი ფინანსების თემატიკას არ სცილდება).

— მაგრამ როგორ შეიძლება, — ტრანსფერი გჭირდება, იქ ჯარის ნაწილებია, ათასი ხარჯია — და ასეთ პირობებში აბსოლუტური იგნორირება ქვეყნის მოთხო-ვნების.

სულ ეს იყო.

სადმე არის ნახსენები სეპარატიზმი?

არსად.

სად საბიუჯეტო ურთიერთობები და სად სეპარატიზმი?!

მაგრამ თუ ვინმეს გინდა ასიამოვნო, „შავი ზღვა თეთრად მოგეჩვენება“.

და გაიყიდება აჯანყებული საკუთარი ფრაზით. პრეზიდენტს თითი იმდენჯერ დაუქნია ჰამლეტმა, რომ ექსტაზში შევიდა, მეზობელ რეგიონებს შეუტია, განსაკუთრებით, გურიას, „გაღატაკებული“ უძახა და წარმოთქვა საკრალური ფრაზა.

— აჭარამ რატომ უნდა არჩინოს სხვები?..

ვინ სხვები, პატივცემულო ჰამლეტ? საქართველოს ეკონომიკურად წარუმატებელი რაიონები იგულისხმეთ? ესენი სხვებია? იქნებ თბილისიც სხვაა, ყველას რომ არჩენს? „სხვები“ ძალიან ჰგავს ვიწროკუთხურ ამბიციურობას.

დავით იაკობიძემ, ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა და უგანათლებულესმა პროფესიონალმა, პირველი არხის იმავე გადაცემაში კარგი გაკვეთილი ჩაუტარა აჭარის წარმომადგენელს ბიუჯეტის შევსებისა და ხარჯვით ნაწილებზე.

— სხვებს არჩენთ კი არაო, — მშვიდად საუბრობდა დავითი, — წლიდან წლამდე სოციალური გადასახადების პრობლემა რომ გიდგათ და ვერ ასრულებთ, ეს იმიტომ, რომ აჭარაში პრაქტიკულად არ მუშაობს საწარმოები, ხოლო იმ შემოსავლების, რომლებიც თქვენთან ილექება, წყარო არის აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო, რომელშიც თქვენი შრომითი მონაწილეობა არ ჩანს. საზღვარი და მასთან დაკავშირებული ობიექტები კი ქვეყნის საერთო საკუთრებაა.

მერე იყო დისკუსია — თემაზე „კეისარს კეისრისა“, მერე კიდევ — ფუჭი კამათი იმის თაობაზე, რომ ცენტრალური ხელისუფლება არა და არ ხსნის ხაზინას ბათუმში.

გაირკვა, რომ ეს უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების საქმეა, მისი გასაკეთებელი და მოსაწყობი და არავითარი კაპდაბანდება ამას არ სჭირდება.

და ბოლოს:

— დანიის უფლისწულო და თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ, თქვენი ქვეშევრდომნი გულმხურვალედ გთხოვთ, დაუტოვეთ, თქვენი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ცენტრალურ ხელისუფლებას ქვეყნის მართვის უფლება, რაც, უწინარეს ყოვლისა, კანონის უზენაესობასაც გულისხმობს, შენიშვნის გამოთქმისა და საყვედურის თქმის უფლებასაც. ნებისმიერი ხელმძღვანელის მიმართ. ნებისმიერის.

თუ, საქართველოში კვლავ აღორძინდა ხელშეუხებელი ზონებისა და პიროვნებების თითქოს უკვე დავიწყებული პრაქტიკა?

* * *

მე რომ ასლან აბაშიძე ვიყო, ვეტყოდი ჰამლეტ ჭიპაშვილს:

— გვაცალე, ჰამლეტ, ჩვენს ურთიერთობას ჩვენ თვითონ გავარკვევთ.

იქნებ, უთხრას კიდეც!

ბენ ჟამენ-2.

შენაკადები დიდ კორუფციაში

საით მიდის თქვენი ქარავანი, ხაზინის მძარცველნო?

(პირველი გვერდიდან)

მაგალითად, როცა საგანგებო ლეგიონის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა ინდივიდუალური საწარმო „ლევან სურმავა“ შეამოწმეს, ერთობ საგულისხმო ამბები გაირკვა. დავიწყოთ იმით, რომ კომერციული საქმიანობის ინდივიდუალურ საწარმო „ლევან სურმავას“, თბილისის გლდანის №2 უბნის საბინაო-კომუნალური მომსახურების სერვისული ცენტრის ფილიალის 15.04.02 წლის №337 ცნობის მიხედვით, რეგისტრაციის იურიდიულ მისამართად მითითებული გლდანის მე-6 მიკრორაიონის მე-4 კორპუსი... საერთოდ არ არსებობს. მეორეც ის, რომ ინდსაწარმო „ლევან სურმავას“ თბილისის გლდანი-ნაძალადევის საოლქო-საგადასახადო ინსპექციიდან გატანილი აქვს 50-50 კომპლექტი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და მკაცარი აღრიცხვის სასაქონლო ზედნადები.

საგადასახადო ინსპექციიდან ამ დოკუმენტების გატანის შემდეგ, ინდივიდუალურმა მეწარმემ „ლევან სურმავამ“, სხვადასხვა საწარმოებისათვის საქონლის მიწოდებაზე გამოწერა 5 კომპლექტი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 356337 ლარი საერთო თანხით, საიდანაც დამატებითი ღირებულების გადასახადია 59389 ლარი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 116-ე მუხლის მოთხოვნის მიუხედავად, ინდმეწარმე ლ. სურმავას გაანგარიშებები და დეკლარაციები საოლქო საგადასახადო ინსპექციაში არ წარუდგენია. 2002 წლის 17 აპრილს შედგენილი შემოწმების აქტის მიხედვით, ინდსაწარმო „ლევან სურმავას“ დამატებით ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 97196 ლარი, საიდანაც კუთვნილი ძირითადი გადასახადი 59 ათას ლარზე მეტს შეადგენს.

ამგვარად, შემოწმებით გაირკვა, რომ ინდსაწარმო „ლევან სურმავამ“ თავი აარიდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის გადახდას, რის გამოც მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ოთარ ტურაბელიძე,
საქინფორმის კორ.

ოფიციალური ინფორმაცია

რეფორმის კონცეფცია მოწონებულია

მოწონებულია „უშიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის წინადადებათა შემმუშავებელი ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული დროებითი საუწყებათაშორისო კომისიის“ მიერ წარმოდგენილი უშიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების რეფორმის კონცეფცია.

კონცეფციის დებულებათა დანერგვის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, კომისიის სამდივნო გააგრძელებს საქმიანობას და 2003 წლის 30 იანვრამდე წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტს;

სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროებს, საქართველოს პროკურატურას, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაევალათ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად კომისიის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის საფუძველზე, უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება 2003 წლის 30 იანვრამდე;

ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს კონცეფციის მოდელის ფინანსურ გაანგარიშებას და შესაბამის ხარჯებს გაითვალისწინებს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

ცნობად არის მიღებული, რომ კომისიის მიერ წარმოდგენილ იქნა „სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ“ და „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ კანონთა პროექტები. საკანონმდებლო აქტების პაკეტი წარდგენილ იქნება საქართველოს პარლამენტში 2003 წლის 15 მარტამდე.

საქინფორმი.

გაუტიეს!

ვინ და რატომ „მოიწვია“ ასლან მასხადოვი საქართველოში?

(პირველი გვერდიდან)

სერიოზულობას ანიჭებენ სისულელეს. ალბათ, ამიტომაც უწოდებენ „დიდ მოლაპარაკებას“ თავიანთსავე დაგეგმილ „შეხვედრას“.

ვის და რატომ დასჭირდა ამ პროვოკაციის ავტორება და რატომ წამოეგო „ჯორჯიან თაიმსი“? თურმე „უახლოეს მომავალში შესაძლოა ჩეჩნეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი და ედუარდ შევარდნაძე თბილისში ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ“. ეს — „ჯთ“-ს მიერ მოპოვებული ინფორმაციით.

მაგრამ იქვე არც იმას მალავენ, რომ „ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობას ამის შესახებ ინფორმაცია საერთოდ არ გააჩნია და ჰგონია, რომ ასეთი რამ დღევანდელ სიტუაციაში შეუძლებელია“.

ხედავთ? უმრავლესობას საერთოდ არ გააჩნია ინფორმაცია, „ჯორჯიან თაიმსმა“ კი მოიპოვა ის, რაც არავის გააჩნია. ჰოდა, მოითმენდნენ სიამოვნებისგან აცმუკებული მომპოვებლები?

მაგრამ, ვინც ეს გითხრათ, ძვირფასო „ჯთ“-ელებო, რატომ არ ჰკითხეთ, — ჩვენო იმანო (გვარითა და სახელით უფრო გაგიადვილდებოდათ მიმართვა), დაგესიზმრა თუ დანამდვილებით იცი ამის შესახებ?

არ ჰკითხეს. ალბათ, სწორადაც მოიქცნენ, რადგან ამ შემთხვევაში „ჯთ“-სა და მისთა მამათა მიზანი „მოპოვებული“ დეზინფორმაციის გადამოწმება კი არა, ამ დეზინფორმაციის გამოქვეყნება იყო და აღარ გადაამოწმებინებდნენ.

ამიტომ იქვე გვთავაზობენ „ერთ-ერთ ვერსიას“, ალბათ ისევ მიმწოდებლისგან გამოთქმულს — „მასხადოვი, ამჟამად, საქართველოს ტერიტორიაზეც კი იმყოფება“.

კერძოდ, სადაო, ჩემო ეკატერინე (ავტორს მივმართავ), რომელ კუთხეში ქვეყნისა?

იქნებ შენც გაინტერესებს, მაგრამ არ გეტყვიან. ამის შესახებ ან სხვა იმკითხავებს, ანდა კადრებს დაამონტაჟებს და ისე გადასცემს, რომ მერე...

დაგავიწყდათ 23 აგვისტო?

კარგით, გაგახსენებთ, ამ დღეს საქართველოს მთიანეთი დაბომბეს. რაღაც, დიდი ხანია სიწყნარეა, ბომბები არ გვაცვივა და სისხლი არ იღვრება, კვნესა არ ისმის. ოჰ, როგორ მოიწყინა გაყიდულმა ორკესტრმა.

კეთილი სურვილებია შესაძლებლობაში ჩადებული — კიშინიოვის სამიტიდან დაბრუნებულ საქართველოს პრეზიდენტს შუამავლის მანტია მოასხეს ორი ქვეყნის დასახმარებლად. ოღონდ მისთვის ინიციატივის უფლება აღარ მიუციათ — ყველა დეტალს წინასწარ შეუთანხმებს პუტინსო.

ჯერ ერთი, ორ ქვეყანას შორის პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია ამ ქვეყნების ხელისუფლების პირველ პირებთან შეხვედრები და კონსულტაციები.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი, ამის განსჯას სხვა წონითი კატეგორია სჭირდება — თქვენ „აკეთებთ იმას, რაც იცით“. თუმცა, წერთ იმაზეც, რაც არ იცით.

სამაგიეროდ კარგად გესმით, რომ „ამ საკითხის წამოჭრა პოლიტიკოსთა შორის დიდ ქაოსს გამოიწვევს“.

აქ კი ნამდვილად გაყიდულია ყველაფერი — მიზანი, უპირველეს ყოვლისა!

ქაოსი, — აი, რა გვაკლია დღეს, რისკენ უნდა ვისწრაფოდეთ, და რისკენ გვიბიძგებს „ჯორჯიან თაიმსი“, რომელიც ცოტათი გვინდობს კიდეც, როცა ამბობს, რომ „ასლან მასხადოვისა და პრეზიდენტ შევარდნაძის შეხვედრა წლის ბოლოს იგეგმება“.

მოიცა, მოიცა, აკი „უახლოეს მომავალშიო“? წლის დამლევამდე ორ თვეზე მეტია, მაინც, როდის იგეგმება ეს ირეალური შეხვედრა?

სანამ ამ კითხვებზე პასუხს მივიღებდეთ, ჯერ ის გავიგოთ, რა მოხდება მანამდე.

„გამორიცხული არაა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაც დარეგულირდეს, ჩარჩო-ხელშეკრულებაც გაფორმდეს და ამერიკა-რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური სამკუთხედისთვისაც მისაღები აღმოჩნდეს ჩეჩნეთის პრეზიდენტთან პირისპირ საუბარი“.

აი, ასე მარტივად ესახება „ჯორჯიან თაიმსს“ კავკასიის მრავალწლიანი პრობლემის „უახლოეს მომავალში“ გადაწყვეტა. მაგრამ არ უჩნდება უბრალო შეკითხვა: თუკი ამერიკა-რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ სამკუთხედზეა დამოკიდებული „პირისპირ საუბრის“ გამართვა, მაშინ მხოლოდ პუტინს შეუთანხმებს შევარდნაძე „ყველა დეტალს წინასწარ“, თუ აშშ პრეზიდენტ ბუშსაც გაუზიარებს მოსაზრებებს?

რა მარტივია, ქალბატონო, რა მარტივია.

მაგრამ არ არის გენიალური, რადგან „ჯთ“-სთვის შეკითხვა მეორეხარისხოვანია, ქაოსია მთავარი!

ამ ქაოსს კი უკვე ნოემბერში გვიწინასწარმეტყველებენ — სტუდენტების აბუნტებით, თემის გამუქებით, რამდენიმე ათასი დოლარითა და მღებავით სხვადასხვა სახის ტრანსპარანტებისთვის.

„ჯორჯიან თაიმსის“ პუბლიკაცია სააქციო ჟანგიანი ჯაჭვის მყიფე რგოლია მხოლოდ, რადგან აქციების მოწყობას თურმე, ის ტურები აპირებენ, რომლებმაც დემარშით დატოვეს პარლამენტის სხდომათა დარბაზი.

ტურების დემარშზე ხვალ მოგახსენებთ.

ბონდო მძინარაშვილი.

აკადემია

საზღვაო ძალებს შეემატა...

ბათუმის საზღვაო აკადემიაში გაიმართა კურსანტებად კურთხევის ცერემონია. კურსანტი გახდა 200 ახალგაზრდა, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს მისაღები გამოცდები და განვლეს თავისებური თვენახევრიანი „კარანტინი“.

სადღეისოდ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია. იქ 800 კურსანტი სწავლობს დასწრებულ განყოფილებაზე და 1200 — დაუსწრებელზე. ისინი ხუთ სპეციალობას ეუფლებიან.

საქინფორმი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სახელმწიფოებრიობა

წერილი მესამე

ფიქრები საქართველოს

ესსეისტური ჩანაწერები



სახელმწიფო მინისტრი, პრემიერ-მინისტრი თუ სახელმწიფო კანცლერი?

თავის დროზე კონსტიტუციური ნორმის პროექტი, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ პარლამენტს, ასე გამოიყურებოდა (იმედია, მაშინდელ პარლამენტარებს ახსოვთ დისკუსიები ამის თაობაზე) – **„მთავრობის შემადგენლობაშია სახელმწიფო კანცლერი, რომელიც ხელმძღვანელობს სახელმწიფო კანცელარიას და პრეზიდენტის რწმუნებით წარმართავს აღმასრულებელი ხელისუფლების განსაზღვრულ სფეროებს“.** „არ არის ძნელი გავარკვიოთ თუ რა განსხვავებაა ამ პუნქტის დღევანდელ სახესა და ზემოთ მოყვანილ ფორმულირებას შორის, მაგრამ დებულების არსებითი ნაწილი ჩვენი სერიოზული წინააღმდეგობის გამო მაინც იქნა შენარჩუნებული და ესაა მთავარი. მოქმედ კონსტიტუციაში იგი ასე გამოიყურება – „მთავრობის შემადგენლობაშია სახელმწიფო მინისტრი, რომელიც ხელმძღვანელობს კანცელარიას და პრეზიდენტის რწმუნებით ასრულებს მის ცალკეულ დავალებებს“. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 81, პუნქტი 3).

ჯერ ერთი ნორმა იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო კანცლერი არის მთავრობის წევრი, სწორედ ამ თანამდებობის სახელწოდებას – კანცლერს სჭირდებოდა და არა „სახელმწიფო მინისტრს (მინისტრი რომ მთავრობის წევრია, ამის მტკიცება უადგილოა). მეორე ის, რომ მის დამტკიცებაზე თანხმობა პარლამენტმა პრეზიდენტს მთავრობის მთელ შემადგენლობასთან ერთად, ერთი კენჭისყრით უნდა მისცეს და არა ცალკე, კონსტიტუციის დარღვევით, როგორც ეს წინა ოთხივე შემთხვევაში – 1995, 1998, 2000 და 2001 წლებში მოხდა. მესამე და უმთავრესი, რომ იგი მოქმედებს პრეზიდენტის რწმუნებით აღმასრულებელი ხელისუფლების რომელიმე სფეროს წარმართვისას და მას არ სჭირდება არავითარი საპარლამენტო მხარდაჭერა ამ უფლების გასაფართოებლად ან შესაკვეცად.

მაშინ რისთვისაა საჭირო ასეთი ნორმა? ჩვენ თავის დროზე უარი ვთქვით ვიცე-პრეზიდენტის ინსტიტუტზე (ავტორები და ჩვენი მხარდამჭერებიც ამ პოზიციაზე ვიყავით და გვქონდა სათანადო არგუმენტებიც). ამასთან, პარლამენტს შევთავაზეთ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მეორე პირის ინსტიტუტი, რომელსაც გონიერი პრეზიდენტი აირჩევს იქიდან გამომდინარე, თუ რისი პროფესიონალიც თვითონ არის. თუკი იგი მეურნეა და კარგად ერკვევა ეკონომიკურ საკითხებში, მაშინ „კანცლერი“ შესაძლოა ჰუმანიტარი იყოს, თუ პირიქით, მაშინ პრეზიდენტი თვითონ წარმართავს პოლიტიკურ საკითხებს, ხოლო უფლებებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სამართავად გადასცემს კანცლერს. უფრო ზუსტი იქნება ვთქვათ, გამარჯვებული პრეზიდენტი (ან წინასაარჩევნო კამპანიისას წინასწარ აცნობებს თავის ამომრჩეველს თუ ვინ იქნება გამარჯვების შემთხვევაში კანცლერობის კანდიდატი) ისეთ სახელმწიფო კანცლერს შეარჩევს, რომელიც შეავსებს ამ ხარვეზს, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფო მოღვაწეს აქვს თავისი საქმიანი გამოცდილებიდან გამომდინარე. ხდება თუ არა ეს ასე ჩვენს სინამდვილეში, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თქვენთვის მომინდვია. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით ჩვენთან არსებული პრაქტიკის გაანალიზებაც არ უნდა იყოს ძნელი. **მით უმეტეს, ვიტყვი პირდაპირ, ზემოთ გამოთქმული ურთიერთ შევსების პრინციპიდან გამომდინარე ეს საკითხი ჩვენთან არასოდეს გადაწყვეტილა. თუკი ამ მუხლის შეცვლის წინადადება მაინც დადგება დღის წესრიგში, მაშინ კონსტიტუციაში იგი ადრე არსებული პროექტის სახით უნდა აღდგეს და ამით მოისპობა ყოველგვარი უხერხულობა რედაქციული თვალსაზრისით და საფუძველი მისი „ორმაგი“ გაგებისათვის, თუმცა, დღევანდელი ჩანაწერის მიხედვით, ამჟამად ეს ასე უნდა ხდებოდეს.**

იქნებ ერთ მომენტსაც შევეხოთ. პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილების მიხედვით მანამდე მოქმედ სახელმწიფო კანცელარიის უფროსს უკვე სხვა კანონის (საჯარო სამსახურში ორი თანამდებობის ერთდროულად დაკავების აკრძალვის შესახებ) დარღვევით ერთდროულად სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის სტატუსიც მიანიჭეს. ისმის კითხვა – რისთვისაა ეს გამონაკლისი საჭირო? მით უმეტეს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ამ თანამდებობაზე უცვლელად მუშაობდა და მუშაობს ერთი და იგივე პირი, ბატონი პეტრე მამრაძე. ვის დასჭირდა ჩვენს ქვეყანაში ერთი პიროვნების გამო ასეთი გამონაკლისის დაშვება? ან მართლა დავიჯეროთ, რომ ეს ბატონი პეტრეს პოზიციების გასამყარებლად გაკეთდა? ჩვენ გვგონია, აქ სხვა „გამონაკლისთან“ გვაქვს საქმე და სხვა მიზანთან.

ესაა მცდელობა და ახლა უკვე დაკანონებული, რომ კანცელარიის პირველ ხელმძღვანელად არ იქნეს დაშვებული სახელმწიფო მინისტრი – კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტის კაცი და ამ გზით, შენიღბული ფორმით პარლამენტმა კი არ აკონტროლოს, არამედ პირდაპირ მართოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი რგოლი – სახელმწიფო კანცელარია.

მაშასადამე, სახეზეა აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური, შემკრავი რგოლის – სახელმწიფო კანცელარიის მართვის არაეფექტიანი დანაწევრებისა და მასზე ხელისუფლების საკანონმდებლო შტოს „მიყურადების“ მცდელობა. საინტერესოა ვიკითხოთ – რატომ უშვებს ასეთ ფაქტებს პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრი?! შემიძლია დავადასტურო – ამის თაობაზე მათ შესანიშნავად იციან. საკითხავი სწორედ ეს არის, თუ რატომ არ შეუსაბამებენ ამ კანონებს და ნორმატიულ აქტებს კონსტიტუციის ძირითად მუხლებსა და დებულებებს!

ჩვენი მხრიდან ნათქვამს მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან სათქმელს დავამატებთ: საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ყველაზე სუსტი და დაუხვეწავი რგოლია სახელმწიფო კანცელარია, ამდენად, ყველაზე გაუმართავია თვით პრეზიდენტის სააღმსრულებლო მმართველობა. ამის თაობაზე და აღმასრულებელ ხელისუფლებაში **უმთავრესი ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმების გატარების აუცილებლობაზე** ჯერ კიდევ ამ ნახევარი წლის წინათ მივმართე პრეზიდენტს, **რამდენიმე თვის წინათ კი პირადად ვესაუბრე ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს.**

აღნიშნულით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ კონსტიტუციის დარღვევით მიღებული კანონის ნაცვლად ახლავე უნდა შედგეს პრეზიდენტის აქტი, რომელიც ნათლად ჩამოაყალიბებს სახელმწიფო მინისტრის უფლებამოსილებებს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის საკითხებში, ამ მიმართულებით არსებული კრიზისული მოვლენების დასაძლევად. მათ შორის სახელმწიფო მინისტრს უნდა შეეძლოს მთავრობის სხდომების მოწვევა და მისი თავმჯდომარეობა (სხვათა შორის ასეა ჩაწერილი კანონში „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ. მუხლი 31, პუნქტი I. ა), მთელი რიგი საკადრო საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა და ა. შ.

მალე სამი წელიწადი გავა ცნობილი „ცვლილებიდან“ და უკვე მესამე სახელმწიფო მინისტრი გვყავს, მაგრამ ოდესმე თუ ვინმეს უნახავს, იგი თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას, თუკი ეს ხდება, გაფართოებულ სხდომაზე „კრების“ წარმართვის ფორმით, მას გვერდში ყოველთვის ქვეყნის პრეზიდენტი უზის. სხვათა შორის, ეს ასე იყო მინისტრთა კაბინეტის დროსაც. ფორმალურად თავმჯდომარის სკამზე კი იჯდა პრემიერ-მინისტრი, მაგრამ სხდომას ყოველთვის გვერდით მყოფი ე. შევარდნაძე აჯამებდა. ერთი კი იყო, მაშინ გადაწყვეტილებებს ხელს პრემიერ-მინისტრი აწერდა. სწორედ ამიტომ ჩათვალა პრეზიდენტმა საჭიროდ შეექმნა კომისია გენერალური პროკურორის ხელმძღვანელობით და შეესწავლა 1992-95 წლებში მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მართლზომიერება. მართალია ფართომასშტაბიანი გამოძიება ჩატარდა, მაგრამ მისი შედეგები დღემდე არავის უნახავს. ეტყობა, ეს დავალება სხვა მიზანს ისახავდა და არა იმას, რაც ოფიციალურად გაცხადდა ხალხის გასაგონად.

კონსტიტუციის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ პრეზიდენტისათვის მინიჭებულ უფლებებს რიგი უმაღლესი რანგის საკადრო საკითხების გადაწყვეტაში (მინისტრებისა და მათთან გათანაბრებული პირების თანამდებობიდან განთავისუფლებისა და ახლის შერჩევის თაობაზე) სახელმწიფო მინისტრს უნდა ჰქონდეს ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის წამოყენების უფლებაც, და, ბუნებრივია, როცა აუცილებლობა ამას უკარნახებს, მათი განთავისუფლების საკითხის დაყენების უფლებაც (ჩემთვის ცნობილია, რომ პრეზიდენტის დავალებით მზადდება სახელმწიფო კანცელარიის რადიკალური რეორგანიზაციის პროექტი ბატონ ავთანდილ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით, დარწმუნებული ვარ, მათ მიერ შემუშავებული პროექტი შეავსებს ამ ხარვეზს, კანცელარიის რესტრუქტურიზებას მხოლოდ მაშინ ექნება სასურველი შედეგი, თუკი იგი ანტიკრიზისული ღონისძიებების ენერგიულად გატარების საშუალებას მისცემს მთავრობას და ვითარების სწრაფად შეცვლის სულისკვეთებით იქნება განმსჭვალული). არავითარი აჟიოტაჟი და აყალმაყალი, არავითარი საჯარო დებატები და კინკლაობა ამ საქმეს არ სჭირდება, პრეზიდენტს აქვს კონსტიტუციური უფლება, თვითონ გადაწყვიტოს ეს საკითხები.

რატომ ვერ აკეთებდა იგი ამას დღემდე, იქნება მართლაც მას შევეკითხოთ. ვიტოვებთ უფლებას, პასუხის გაგების შემდეგ თვითონ გავაკეთოთ კომენტარი, წინასწარ გპირდებით, რომ ჩვენს პოზიციას ჩამოვაყალიბებთ კონსტრუქციულად და ამას მხოლოდ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და კონსტიტუციის დებულებებთან შესაბამისობის გარკვევის თვალსაზრისით ვიზამთ. ამასთან, დარწმუნებული ვართ, რომ ბატონი ავთანდილი ახლად მონიჭებულ უფლებას მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. მას უდავოდ აქვს უნარი, დაანახოს საზოგადოებას, თუ როგორ სწრაფად შეიძლება გასაჭირიდან თავის დაღწევის ტენდენციის დასახვა, როცა ამოქმედდება ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი ბერკეტები. რასაც ახლა მოგახსენებთ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, მას ზედმეტსიტყვაობა არ სჭირდება – ქვეყანას კონსტიტუციის მიხედვით ჰყავს აღმასრულებელი ხელისუფლების მეორე პირი, რომლის შერჩევის უფლება მთლიანად პრეზიდენტს აქვს მინიჭებული და იგი ვალდებულია ენდოს მას, აღჭურვოს იგი აუცილებელი უფლებებით ყოველგვარი თათბირებისა და მერყეობის გარეშე! ამ შემთხვევაში შესაძლებელია დღეს მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებში ვითარების რადიკალურად შეცვლა. თუ ასეთი სურვილი და მისწრაფება მაინც არ გამოჩნდება, ჩვენთვისაც და ბევრი ჩემნაირისთვისაც გახდება ცხადი, რომ რაღაც სხვა მიზნებთან გვაქვს საქმე და მაშინ მდგომარეობის ხსნის სხვა, უფრო რადიკალურ გზებს უნდა მივმართოთ. ჩვენი თვალსაზრისით, სხვა, გამოსავალი მართლაც არა ჩანს.

დავუბრუნდეთ სათქმელს – სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რისთვის არის საჭირო მინისტრთა კაბინეტის შემოღება? თუკი მთავრობის სხდომებს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე წარმართავს სახელმწიფო მინისტრი, მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომელსაც თავისი აქტით დაადასტურებს პრეზიდენტი (სამხედრო პოლიტიკური საკითხები დღესაც უშიშროების საბჭოში იხილება, რომელსაც ისედაც, კონსტიტუციის მიხედვით, მხოლოდ პრეზიდენტი ხელმძღვანელობს) თუკი სახელმწიფო მინისტრს პრეზიდენტი დააკისრებს პერსონალურ პასუხისმგებლობას ქვეყნის ფუნქციონირების საფინანსო-ეკონომიკურ შედეგებზე და მოსთხოვს მას მდგომარეობის უსწრაფესად გამოსწორებას, არ შეზღუდავს მის მოქმედებას, პირიქით, მხარს დაუჭერს მათ და გაამაგრებს თავისი უფლებამოსილებით. ოდესმე სხვა უფლებები თუ ჰქონია რომელიმე მთავრობას ან მინისტრთა კაბინეტს? **მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებში ეს ყველაფერი კანონიერია და რამე საჭიროება მისი ამ მიზეზის გამო შეცვლისა არ არსებობს.**

იქნებ ვიცე-პრემიერებს ჰქონდათ მეტი უფლებები და სახელმწიფო მინისტრის მოადგილეების ნაცვლად ამ თანამდებობის შემოღებით ეშველება საქმეს. იმ მთავრობაში და ამ მთავრობაშიც გახლდით ვიცე-პრემიერი, თანაც ორჯერ და ჯერ არ დამვიწყებია, რა უფლებები მქონდა იმისგან განსხვავებული, ვიდრე ეს დღეს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეებს აქვთ მინიჭებული. არის მხოლოდ ერთი განსხვავება – ვიცე-პრემიერები. მთავრობის წევრები იყვნენ, მერე ვინ უშლის პრეზიდენტს, ყოველ შემთხვევაში კონსტიტუციის მიხედვით, „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად“ (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 81, პუნქტი I) შემოიღოს მინისტრის და არა სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანამდებობა, რა თქმა უნდა, მთავრობის სტრუქტურის თაობაზე კანონში ცვლილების შეტანის და მისი პარლამენტთან შეთანხმების გზით.

რამდენიმეჯერ ხომ გაკეთდა ასეთი რამ – განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს შექმნა, ერთი წყება სამინისტროების გაუქმება ან შერწყმა, მერე ისევ აღდგენა, მერე ისევ გაუქმება და ა. შ. კონსტიტუცია გარკვევით მიუთითებს თუ რა პასუხისმგებლობა და უფლება-მოვალეობანი აქვს მთავრობის წევრს – მინისტრს.

„... რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე. მინისტრი კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 81, პუნქტი I).

გეკითხებით – აბა სხვანაირად როგორ უნდა იყოს. იქნებ სხვამ სხვა ფორმულირება მოიფიქროს. მინისტრი აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ფიგურაა და მას უმაღლესი ვალდებულებები აკისრია ქვეყნის წინაშე. ალბათ, გახსოვთ, ჯერ კიდევ 1995 წელს, როგორ გამოაცხადა ე. შევარდნაძემ – ყველა მინისტრი თავის საქმეში მინისტრთა კაბინეტიაო. აქედან იღებს სათავეს მინისტრთა შემადგენლობით, ერთ-ერთი მათგანის თავმჯდომარეობით, სამთავრობო კომისიების შექმნისა და მათ მიერ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის წესი. თუმცა, დღეს ამ წესიდან პრაქტიკულად არაფერი დარჩა.

ბაჩურ გულუა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 248, 250, 253.

შემოდგომა

ზეცის აუზი აღარ თქვა, კაცისგან ნაღალატარო...

რთველი, ორ-სამ დღეს რომ უნდებოდნენ, ბერუაშვილებმა წლეულს ოთხ საათში დაამთავრეს

უხალისოდ დამხვდნენ მანაველები.

წლეულს მართლაც არა აქვთ საქმე სასიხარულოდ: მოსავალი წაუხდათ, რთველი რთველს არ ჰგავდა. თუმცა, არაფერი დაუკლიათ მარჩენალი ვაზისთვის, მტევანს ზედ შეახმა მარცვლები, რაც მოვიდა, ისეთი უხარისხოა, რომ ზედ არ შეეხედება.

ჯერ კიდევ ივნისში დაისეტყვა ვენახი. იავარქმნილს ისე ეფერნენ პატრონები, რომ ცოტა თვალში გამოიხედა. მერე დალოცვილს ჭრაქი შემოეპარა და – უკანასკნელი ლუკმაც მოიკლეს, ძლივს ნაშოვნი ლარები შეაკოწიწეს და ისე შეიძინეს შხამქიმიკატები, მაგრამ მორჩენის ნაცვლად უფრო გააძლიერა ჭრაქი. – ვისგანაც შხამი შევიძინეთ, იმათი ვენახები გადარჩა. ალბათ, თვითონ ახლოს არ მიაკარეს ვაზს ნაეშმაკარი. ეს ყველაფერი ხელოვნურად ხომ არ იყო გაკეთებული? – ეჭვობს ხალხი.

ვინ იცის! ახლა, მცირემოსავლიანობის გამო, გასაყიდი ყურძნის ფასმა ადგილზევე თითქმის სამჯერ აიწია და ერთი ლარი და ოცი თეთრი გახდა. შარშან კი ყურძენს მხოლოდ 25 თეთრად იბარებდნენ მარნები!

მკითხველს არ უნდა იმის შეხსენება, რომ საგარეჯოს რაიონის ამ პატარა სოფელმა „მანავის მწვანით“ გაითქვა საქვეყნოდ სახელი. ვათვალიერებ ახლა მანავის ციხის ძირში, გზის პირას, ვაკეზე გაშლილ ვენახს, სადაც ეს ჯიშია გაშენებული და ვხედავ, კაცს რომ არაფერი დაუკლია მისთვის – გაუსხლავს, გაუფურჩნავს, უპატრონებია და მაინც, ეს ის ვენახი აღარ არის – აყვავებული და მუხლმაგარი!

– აი, სწორედ ამ ტერიტორიაზე მოდიოდა ისეთი განსაკუთრებული თვისებების ყურძენი, როგორიც „მანავის მწვანეა“. ამ ორმოცდაოთხმა ჰექტარმა გაუთქვა სახელი ჩვენს სოფელს, – მიხსნის ჩემი მეგზური, კახეთის სამხარეო გაზეთის კორესპონდენტი ვახტანგ ჩეკურიშვილი.

...მანავში მშრომელი, პატიოსანი კაცის სახელით იცნობენ **თენგიზ ბერუაშვილს.** იმ დღეს სოფელში ცნობილი აგრონომი, ობლობაში გაზრდილი კაცი, სახლში არ დაგვიხვდა – ცხვარში იყო წასული. მისი მეუღლე, იამზე მჭედლიშვილი სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგად მუშაობს და დიდ ოჯახსაც თავს ართმევს. თენგიზი და იამზე სამი სანაქებო ვაჟკაცის მშობლები არიან. უფროსმა, 27 წლის რამაზმა – საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემია დაამთავრა. მომდევნო 26 წლისაა, სპეციალობით მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების ინჟინერ-ტექნოლოგი, ხოლო ნაბოლარა, ზურაბი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია. სამივე დასაოჯახებელია და ამიტომ მშობლებს დიდი საფიქრალი აქვთ გაჩენილი. ახლადაშენებული ორსართულიანი სახლი ამაყად კი წამომართულა, მაგრამ ბოლომდე არ არის დამთავრებული. ისე, ყოჩაღი ბიჭები არიან, თუ მშვიდობა იქნა და სამუშაო ადგილები გამოჩნდა, არაფერი გაუჭირდებათ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ სოფელში მცხოვრები ახალგაზრდობა დაუსაქმებელია, მოწყვეტილია კულტურულ ცხოვრებას, მოწყენილობა და პესიმიზმი კი თავისებურ დაღს ასვამს მათ სულიერ მდგომარეობას. თორემ მშობლებს, აბა, რას გაუჭირვებენ...

ბერუაშვილებმა, სხვებთან შედარებით „სარეკორდო“ მოსავალი მოიწიეს – ერთ ტონამდე ყურძენი დაწურეს.

– ვენახი სპილენძის ქლორჟანგით შევწამლეთ, „ბაილეტონიც“ გავურიეთ, მაგრამ ნაცარმა მაინც იძალა – გვიამბობს ქალბატონი იამზე, – ნასეტყვი მარცვალი გახმა. მარანმა უხარისხო ყურძენი აღარ მიიღო... მთელი სოფელი წუხს. პურის ფული გაჭირდა. რაკი ყურძენი არ არის, აღარც ღვინოა და აღარც არაყი, რომელიც ახლა ისე გაძვირდა, ლიტრი სამი ლარი გახდა. არაყს ვყიდდით და ფქვილს ვყიდულობდით, ახლა ეგეც მოგვაკლდება... – ჩვენ, ორ-სამ დღეში რომ ვერ ვამთავრებდით რთველს, ახლა ოთხ საათში გამოვკრიფეთ ოთხმა ქალმა...

საუბარში იამზეს მაზლისცოლი, გულიზარიც ჩაერთო – ჩემმა მეზობელმა, თენგიზ ათუაშვილმა ვენახში მხოლოდ ორი კილოგრამი ყურძენი მოკრიფა. თვით ყურძნის მოყვანით განთქმული ხაშმელები ახლა ჩვენთან მოდიან მის საყიდლად, განა ეს დიდი საცოდაობა არ არის?

– მარტო ორჯერ „არცერიდით“ შევწამლეთ ზვარი. არც შაბი ვარგოდა, გამოდის, რომ შხამქიმიკატები, რომლებიც ჩვენთან იყიდება, ფალსიფიცირებულია. ვენახის ერთი წამლობა 100 ლარამდე გვიჯდება, – განაგრძობს იამზე, – ეს საწვავის თანხა, ეს ტრაქტორისტის გასამრჯელო... წლეულ, უამინდობის გამო, ვაზს შვიდჯერ დასჭირდა წამლობა, 700 ლარი ხომ დაიხარჯა? მერედა, საიდან მოდის ეს თანხა? იმას, რასაც მიწა გვაძლევს, ისევ მიწასვე ვახმართ. ჩვენს ცხოვრებას ცხოვრება აღარ ჰქვია, იმდენი პრობლემებია: ჭირში და ლხინში ხომ ვერ გამოაკლდები, ოჯახს რამდენი რამ სჭირდება. ავად რომ ვხდები, ექიმთან ვერ წავსულვარ. აი, ახლაც საგონებელში ვართ ჩავარდნილნი, ცხვარს დაავადება თურქული გაუჩნდა. ჩემმა მეუღლემ, თენგიზმა, აღარ იცის, რა მოიმოქმედოს. სენი უკვე ძროხებსაც გადაედო...

– მაგრამ თქვენი ვაჟი ხომ ვეტერინარი ექიმია. ეს როგორ დაუშვა?

– რამაზმა მხოლოდ ძროხები აცრა თურქულზე. ამიტომაც მათ დაავადება მსუბუქ ფორმაში აქვთ. ცხვრები არ იყვნენ აცრილები და ამიტომ მათ უფრო მოერიათ...

– მარცვლეულის მოსავლით თუ ხართ მაინც კმაყოფილი?

– წლეულს, საერთოდ, არ იყო მოსავლიანი წელიწადი. არც ხილი, არც მარცვლეული... ყელში მებჯინება ცრემლი. არ დაგიმალავთ, შარშანდელი ოცი ლიტრი არაყი გვქონდა შემორჩენილი, ის გავყიდეთ და შხამქიმიკატები ბოლო წამლობაზე იმით ვიყიდეთ... როდემდე გაგრძელდება ასე, არ ვიცი.

– რაში ხედავთ გამოსავალს, ქალბატონო იამზე? – პრობლემებით გულდამძიმებულ ქალს ესღა შევეკითხე.

– მთავრობა უნდა დაგვეხმაროს. მიწის გადასახადს სულ, რა თქმა უნდა, ვერ მოგვეხსნიან, მაგრამ გავვინახევრონ მაინც. ცოდოა სოფელი. არა აქვთ გადახდის საშუალება. მოსავალი რომ ყოფილიყო, მაგაზე კახელები არ ვიწუწუნებდით.

ძალიან გთხოვთ, დაწეროთ, რომ აუცილებლად დაწესდეს კონტროლი შხამქიმიკატების ვარგისიანობაზე, რომ მას თან ახლდეს გამოყენების ინსტრუქცია... თორემ, თუ ამ საქმეში მკაცრი წესრიგი არ დამყარდა, დავიღუპებით – ვენახი აღარ გვექნება!

მრავალი ფიქრის აღმძვრელია მშვენიერი ქართველი მანდილოსნის, იამზე ბერუაშვილის გულახდილი საუბარი.

ასეთი ქალები უკეთეს სოციალურ პირობებში ცხოვრებას იმსახურებენ...

მანავში კი – ჩვენთან გაზეთებიც არ მოდის, ახალგაზრდები დაუსაქმებელნი არიან, მათი მთავარი „დროსტარება“ ქეიფი და ბირჟაა. უთხარი, ეგეც დაწეროს, დედა, – ამას ნაბოლარა ზურაბი კარნახობს იამზეს.

დიახ, ეს პრობლემები დიდი ხანია აწუხებს სოფელს, მაგრამ გამკითხავი არავინ არის. გლეხს ახლა ფერმერი ჰქვია, რადგან, როგორც საგარეჯოს გამგეობაში გვითხრეს, რაიონში არსებული 14875 ჰექტარი მიწის ფართობები კერძო პირთა მფლობელობაში გადავიდა, ანუ მიწის სამუშაოთი 2500 კაცია დასაქმებული, მაგრამ, მკითხველო, სწორი ვიქნებით, თუ ვიტყვი, რომ ფერმერი ჩვენს წარმოდგენაში მდიდარი კაცია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვილი მემამულე...

ვემშვიდობები კეთილ მასპინძელს, ეზოს გარეთ მაცილებენ დედა-შვილი, ორღობეში, წყაროსთან სოფლის ქალები შეკრებილან და საუბრობენ. წყაროს წყალი შემომთავაზეს და თან თავიანთი გულისტკივილიც გამიზიარეს: მანავში სასმელი წყლის პრობლემაცაა. აქ, ბუნებრივი წყაროებია, მაგრამ წყალგაყვანილობის მილები გაცვდა და გამოსაცვლელია. სინათლე სოფელს გრაფიკით მიეწოდება. უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ კერძო მეურნეობას მისდევს და ხელფასიანი სამსახური არა აქვს, მიწის გადასახადს ვერ იხდის, რადგან შემოსავლით ოჯახსაც ძლივს არჩენს. ამიტომ, ვთქვათ, პედაგოგებს, სოფლის საკრებულოშივე უკავებენ მიწის გადასახადს ისედაც მწირი ხელფასებიდან – შემომჩივიან ისინი.

...**ზურაბი** საუბრით მომყვება და მშვიდი, დაფიქრებული ხმით მიზიარებს თავის ახალგაზრდულ შეხედულებებს:

– ჩვენს სოფლელ გლეხს ამჟამად მართლაც აქვს სამყოფი მამული, მაგრამ მისი ავლა-დიდება მხოლოდ უღელი ხარი, ორთვალში შებმული ცხენი ან ვირია. ეს „გამწევი ძალა“ კი, რა თქმა უნდა, მიწას მთლიანად ვერ ამოაბრუნებს, ვერ ეყოფა...

დრო კი მიჰქრის, ბევრგან მამული პირქვე გდია დასამუშავებელი. გლეხის ოცნება მცირე სიმძლავრის ტექნიკის შეძენაზე კი, ისევ ოცნებად რჩება. მაგრამ მასში მაინც ცოცხლობს იმედი, რომ ახლა პირველყოფილი, პრიმიტიული სამუშაო იარაღებისკენ პირმიქცეული, მალე უახლესი ტექნიკით აღიჭურვება და ევროპელ ფერმერთა ტოლი და სწორი გახდება!

მაგრამ მანამდე სოფელს ყველაზე მეტად სჭირდება ერისკაცები და საზოგადო მოღვაწეები, რომლენიც საქვეყნო საქმეებზე იზრუნებენ დღენიადაგ და არავის აპატიებენ სოფლის ღალატს, ამხელენ და პასუხისგებაში მისცემენ ფალსიფიკატორებს, მატყუარებს, იმათ, ვისაც მხოლოდ საკუთარი გამდიდრების სურვილით შეპყრობილთ, მიწა-მარჩენალი მოგების, გამორჩენის წყაროდ უქცევიათ, რომელთათვისაც შეჭირვებული, „დაჭრილი“ სამშობლო მხოლოდ ლეშია, საკორტნავად კარგად მოხელთებული...

მაგრამ ვაი, რომ სოფლის მოამაგენი იგვიანებენ, ჯერ არსად ჩანან...

ისე კი, მართლა საკითხავია, საიდან შემოაქვთ რეალიზატორებს ეს ფალსიფიცირებული შხამქიმიკატები, რომლებმაც წინა წლებში ქართლში ხილის ბაღები გადაახმო და ახლა კახეთს მიადგა? ახლა მართლაც აუცილებელია კანონის მთელი სიმკაცრით ამოქმედება, რომ მერმისს იგივე აღარ განმეორდეს – ამას მომავალი იურისტი, უკვე თავისი პროფესიული კომპეტენციიდან გამომდინარე, ამბობს.

...**მანავში** ახლა შემოდგომის მზიანი დღეებია. ოჯახებში თათარას ადუღებენ, ჩურჩხელებს მაინც ავლებენ. ღვინო წელს ცოტა ექნებათ, მაგრამ სტუმარს მაინც დახვდებიან.

– ჩვენი სოფელი ისე არ გატყდება, მამულზე რომ გული აიცრუოს. აი, ღალატს კი არავის ვაპატიებთ. სეტყვასთან უძლურები ვართ, თორემ ჩვენი ბიჭები იმდენს იზამენ, დაადგენენ, საიდან შემოაქვთ და გვასაღებენ მაგ მართლა „საწამლავს“, – მეუბნება მანაველი ქალბატონი თამარ დალაქიშვილი.

გამოვიარეთ სოფლები: გიორგიწმინდა, ანთოკი, სადაც ულამაზესი კავკასიური ფიჭვები იწონებენ თავს, თოხლიაურის ჭალები... აქაურები, თითქოს გუშინ მოხდაო, ისე მიყვებიან მხარის გარდასულ ისტორიაზე.

მართლაც, ამ კუთხეს ბევრი რამ გადახდენია თავს, მაგრამ მუდამ გამოსულა რთული მდგომარეობიდან. ახლაც გამოვა. რადგან, როგორც თამარმაც გვითხრა, ისეთი მშრომელი, სამშობლოსთვის გულანთებული ხალხი ცხოვრობს ამ სოფელში, ცოტა მეტს გაირჯებიან და ამ ზარალიან წელიწადსაც გადაიტანენ...

მაგრამ, ნუთუ ხელისუფლება ამჯერად მაინც არ მიხედავს დაზარალებულ გლეხებს?

ალბათ, მიხედავს, ოღონდ ვილაც ახლაც დარჩება სირცხვილნაჭამი და ის იქნება არა გადამთიელი, არამედ, სამწუხაროდ, ჩვენიანი – უკანონობით თავმიშვებული...

ლია ჭიღლაძე.

მინაწერი: მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ დავუკავშირდი საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტს და ვაცნობე მანავში შექმნილი მდგომარეობა. დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით ჭიჭინაძემ აგვიხსნა, რომ ეს დაავადება არ არის თურქული. ნეკრობაცილოზის და თურქულის ჩვენება ძალზე ჰგავს ერთმანეთს. ასეთი სიმპტომები სხვაგანაც შეინიშნება... ყოველდღიური ურთიერთობა გვაქვს რაიონების ვეტერინარულ სამსახურებთან და ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ. უნდა გაკეთდეს დიფერენციალური დიაგნოზი. ამჯერად კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ადამიანისთვის საშიში ეს დაავადება არ არის, რასაც ვერ ვიტყვით თვითონ ცხოველებზე. ყოველდღიურად ველოდებით ლაბორატორიიდან დასკვნას, რომლის შემდეგაც გატარდება დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

ლ. ჭ.

პოზიცია

არსებითად, ეს იყო შანტაჟი

(პირველი გვერდიდან)



– რამდენად გამართლებული იყო ასეთი აქცია კაცურად, ადამიანურად, როდესაც წინა საღამოს პრეზიდენტი ელაპარაკა ჟვანიას, გამყრელიძეს და მოუწოდა კონსტრუქციული დიალოგისაკენ, უბრალოდ, მოსმენისაკენ და შემდეგ ნებისმიერი აზრის ღიად დაფიქსირებისაკენ, რატომ უნდა ერჩიათ ოპოზიციონერებს ღია დემარში პოლემიკაში ჩაბმას? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მათ სალაპარაკოც აღარაფერი დარჩათ?

– კაცური და ადამიანური კატეგორიებით საუბარი შორს ვერ წაგვიყვანს. ამ კატეგორიების გათვალისწინება უფრო ადრეც შეეძლოთ. თუნდაც მაშინ, ხელისუფლებას რომ უპირისპირდებოდნენ მას შემდეგ, რაც შევარდნაძის ხარჯზე დაიმკვიდრეს ადგილი პოლიტიკურ ელიტაში, ხელისუფლებაში და საზოგადოებრივ სექტორში.

რაც შეეხება იმას, თითქოს მათ სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ და ამიტომ მოაწყვეს დემარში, ეს პრობლემის გამარტივებაა და მიკვირს, რომ მედიისა და პოლიტიკოსების ნაწილმა აიტაცა ეს აზრი. მათ ამ დემარშით ძალიან ბევრი რამ თქვეს და ამის დაუნახაობა არ შეიძლება.

უპირველესად, მოაწყვეს სკანდალი, აჩვენეს, რომ პარლამენტის უმრავლესობა თუ არა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი და პოლიტიკური სპექტრის, მათი აზრით, წამყვანი სუბიექტები უარს აცხადებენ პრეზიდენტთან თანამშრომლობაზე. უკვე დემარშის შემდგომ თქვეს, რომ არიან ძლიერნი, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ მთელ საზოგადოებას, მთელ ქვეყანას და ამ ქვეყნის სახელით მზად არიან ყველასთან ითანამშრომლონ პრეზიდენტის გარდა, რომ პრეზიდენტი მარტო დარჩა, დააფიქსირეს ძველი ფორმულა – ყველა მინუს ერთი. ეს არც ისე ცოტაა.

არსებითად, ეს იყო შანტაჟი. რამდენიმე ულტიმატუმიც წამოაყენეს, მათ შორის, პრეზიდენტს მოსთხოვეს მთელი გარემოცვის ჩამოცილება. რასაკვირველია, ეს არ გულისხმობს იმას, რომ ამ გარემოცვის მაგივრად სოფლის პატიოსანი მასწავლებლების ან ფერმერების დანიშვნა სურთ. იგულისხმება, რომ ახალი გარემოცვა თვითონ უნდა იყონ. სხვათაშორის, პასუხიც მიიღეს, პრეზიდენტმა პარლამენტშივე თქვა, რომ მზადაა ყველასთან დიალოგისთვის, მაგრამ შვიდი წლის მანძილზე ვერც მათ ასწავლა ვერაფერი და ვერც მათგან ისწავლა რამე. ეს იყო პასუხი ულტიმატუმზე. ამან უფრო გაალიზიანა ისინი, მაგრამ ნაწილობრივ აზრი დაუკარგა დემარშს.

საერთოდ კი რჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთმა საქართველოს მიმართ ღია აგრესიის გეგმის გამჟღავნებით დააფიქსირა თავისი პრეტენზიები ამერიკასთან ურთიერთობაში, ჩამოაყალიბა ეს ხაზი, როგორც ანგარიშგასაწევი ფაქტორი, მოსინჯა საერთაშორისო განწყობები ამ საკითხთან დაკავშირებით, მიიღო სასტიკი საპასუხო რეაქცია, რის შემდეგაც უბრალოდ დაუბრუნდა თავდაპირველ პოზიციას და აქცენტს კვლავ შიდაპოლიტიკური დაპირისპირების მეთოდზე აკეთებს. სწორედ ეს პროცესი აისახება ჩვენი პოლიტიკური სპექტრის გადათამაშებებში.

– მათ შორის, ვინც დარჩა და ჟვანია-გამყრელიძე-საკაშვილს გარეთ არ გაჰყვა, იყვნენ „ალორძინების“ წარმომადგენლებიც. ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ეს ორი ფრთა კოორდინირებულად მოქმედებს და ცდილობს გაინაწილოს როლები ერთ საერთო სცენარში?

– არსებობს ასეთი აზრი, რომ პოლიტიკური სპექტრის, ერთი შეხედვით, მკვეთრად დაპირისპირებული ზოგიერთი სუბიექტი კოორდინირებულად მოქმედებს. მე არა მგონია ეს იყოს უშუალო ალიანსი ამ ძალებს შორის. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ მათ კოორდინირებას ერთი ხელი ახდენს და ეს ხელი ქვეყნის გარეთაა. სქემა გამარტივებული სახით ასეთია –ორი ან რამდენიმე ძალა, სხვადასხვა სეგმენტში, სხვადასხვა ფრონტზე ერთნაირად უქმნის პრობლემებს ქვეყანას. ამასთან ერთად, უფრო დისკრედიტირებული ძალა, თავისი ოდიოზურობის გამო, ბუნებრივად უქმნის მომგებიან ფონს მეორეს, უფრო პრაგმატულს და პერსპექტიულს.

სპეცსამსახურების პრაქტიკაში ეს საკმაოდ გავრცელებული ხრიკია, როდესაც ხდება რომელიმე აგენტის სპეციალურად გამომჟღავნება, ჩაგდება და როდესაც მტერს ჰგონია, რომ მთავარი რეზიდენტი გაშიფრა, ამასობაში ნამდვილი რეზიდენტი მშვიდად აგრძელებს თავის საქმეს მტრის ბანაკში.

– ყველას გასაკვირად დარბაზი დატოვა ვაჟა ლორთქიფანიძემაც, თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

– ნებისმიერ რამეს შეიძლება ნიშნავდეს და, ვფიქრობ, ასეთ დეტალიზებას აზრი არა აქვს. ვინ რატომ აღმოჩნდება ხოლმე ამა თუ იმ თამაშში ჩართული, ამაზე ყველამ თვითონ უნდა იფიქროს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ ოპოზიციურ პოზებში ჩადგომა მოუტანთ პოპულარობას, ძალიან ცდებიან. თუ რაიმე ვალდებულებები აიძულებთ ასე მოიქცნენ, ესეც მათი პრობლემაა. მე მხოლოდ ერთ რამეს შევახსენებ ყველას – თუ ამ ქვეყნის ბედი კვლავ უკუღმა დატრიალდა, მნიშვნელობა არა აქვს რა მიზეზით ან საბაბით მოხდება ეს, ვერც ერთი ვერ აღმოჩნდება მოგებული. ამაზე იფიქრონ.

– რას გვეტყოდით კონკრეტულად, ელიზბარ ჯაველიძის გამოსვლაზე? ვახტანგ ბოჭორიშვილსაც ოპოზიციური გამოსვლები ჰქონდა, მაგრამ მისი უკმაყოფილო არავინ დარჩენილა...

– მესმის, რომ ჯაველიძის გამოსვლა ემოციურად უფრო მძიმე აღსაქმელი იყო, მაგრამ დემარშზე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მას ნამდვილად არ ჰქონია. ჯაველიძე ახლა ბოჭორიშვილის მაგივრად ხელმძღვანელობს ფრაქციას, მსგავსი გამოსვლები ალბათ, კიდევ ბევრი იქნება. გეთანხმებით, ბატონ ვახტანგსაც საკმაოდ მკვეთრი გამოსვლები ჰქონდა, მაგრამ იგი სულ სხვა შინაგანი კულტურის მატარებელი ადამიანი იყო, უშუალო, უბოროტო და ამიტომაც მის სიტყვას მეტი ფასი ჰქონდა.

– ჩვენი უპირველესი ამოცანა მაინც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა.

პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გარკვეულწილად, ახალ ეტაპზეც ისაუბრა. მოსალოდნელია თუ არა ამ მიმართულებით რამე გარღვევა?

– ამის რეალური ნიშნები არის. რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემების მოგვარებაში უშუალოდ ჩაერთო ამერიკა, პირადად მისი პრეზიდენტი. ჯერ კიდევ მარტში მოსკოვში ვიზიტის დროს ამის პირველი განაცხადი იყო ბუშსა და პუტინს შორის ხელმოწერილი ოქმი. მასში პირველად დაფიქსირდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ამერიკა-რუსეთის თანამშრომლობის ვალდებულება. პუტინის მხრიდან მუქარის განცხადებების შემდეგ ამერიკის პრეზიდენტმა სასწრაფოდ დანიშნა პირადი წარმომადგენელი აფხაზეთის საკითხზე. მომდევნო დღეებში იგივე გააკეთა ინგლისმა და საფრანგეთმა. ესაა პირდაპირი განაცხადი იმისა, რომ ელჩების დონეზე საუბრებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში რეზოლუციების მიღების ეტაპი დამთავრდა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები საკუთარი პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად აღიარებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

სხვათა შორის, 16 ოქტომბერს იყო კოლინ პაუელის ძალიან მნიშვნელოვანი ვრცელი მიმართვა რუსეთის მედიისადმი, სადაც იგი ასევე აქცენტირებულად ეხება საქართველოს თემას. იგი საუბრობს რუსეთთან თანამშრომლობის მიმართულებებზე და ამბობს, რომ, ბუნებრივია, ორ დიდ სახელმწიფოს შორის არსებობს უთანხმოებებიც. ამ კონტექსტში იგი მოიხსენიებს მხოლოდ სამ საკითხს: ესაა რუსეთის მიერ ირანისთვის ბირთვული იარაღისა და ტექნოლოგიების მიწოდება, მეორე – ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევა და კონფლიქტის პოლიტიკური დიალოგის გზით მოგვარება, მესამე – საქართველოს საკითხი, სადაც ხაზგასმულია, რომ ამერიკა მთლიანად უჭერს მხარს რუსეთისა და საქართველოს მისწრაფებას, უზრუნველყონ თავიანთი ტერიტორიული მთლიანობა.: ესაა პირდაპირი შეხსენება რუსეთისათვის, რომ მისი ტერიტორიული პრობლემების მოგვარება უშუალოდაა მიბმული საქართველოში ანალოგიური პრობლემების გადაწყვეტასთან.

– ბატონო ნუგზარ, მაინც რითი იყო განპირობებული პარლამენტში პრეზიდენტის არა ერთწლიანი ანგარიშით გამოსვლა, როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა, არამედ ათწლიანი პერიოდის შეჯამება? დემარშის მთავარ მიზეზად ხომ ამას ასახელებენ...

– ვფიქრობ იმით, რომ პრეზიდენტმა დაინახა ამ ათწლიანი პერიოდის გარკვეული პოზიტიური შედეგი და ჩათვალა, რომ მთელი ეს გზა უნდა წარმოეჩინა პარლამენტის წინაშე. ჩემი აზრით, ის, რაც ახლა ხდება საქართველოს თავს – ანუ სრულიად რეალურად დგას მტკიცე საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების შექმნის საკითხი, რეალური ხდება ქვეყნის ისტორიული გეოპოლიტიკური, თუ გნებავთ, სულიერი ფუნქციის აღდგენა – გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა სხვა, თუნდაც ყველაზე მწვავე პრობლემა. თუ ეს მთავარი საკითხი არ გადაწყდა ამ ქვეყანაში ვერც ეკონომიკური, ვერც სოციალური და ვერც პოლიტიკური პრობლემები ვერ მოგვარდება და, საერთოდ, თვითონ ამ სახელმწიფოს არსებობა დადგება ეჭვქვეშ.

ამიტომ, ვურჩევ ჩვენს პოლიტიკოსებს, თავს ნუ მოიკლავენ იმის გამო, რომ ეს უმნიშვნელოვანესი პროცესები ხდება შევარდნაძის მმართველობის დროს, მით უფრო არ ვურჩევ ამის გამო დააზარალონ ქვეყანა. მე პირადად იმდენად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ მოვლენებს, ნამდვილად არ მსურს გავიზიარო იმ ადამიანების ბედი, რომლებსაც, როგორც ახლა თვითონვე ჰყვებიან, თურმე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაც კი არ უხაროდათ მხოლოდ იმიტომ, რომ იქ, ხელისუფლებაში ის ხალხი არ იყო, ვინც მათ სურდათ.

ესაუბრა
ბონდო გულიაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 254, პარასკევი, 18 ოქტომბერი, 2002 წელი.

რატომ?

ამ კითხვაზე სიღნაღის რაიონის მოსახლეობას უპასუხებენ ამავე რაიონის გამგეობის და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები.

„იქნებ კვლავ აღსდგეს სული ძლიერი, ბედის ბორბალი დაბრუნდეს წაღმა“

— რატომ დაბეჩავდა რაიონი, რატომ არავინ ზრუნავს მის აღორძინებასა და მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანაზე?

გიორგი ჭუჭულაშვილი (გამგებელი):

— რაიონში მართლაც სავალალო მდგომარეობაა. ექვსი თვის წინათ არასახარბიელო მემკვიდრეობა რომ მივიღე, გარღვეულ ბიუჯეტსა და მძიმე სოციალურ ფონს არ შევუშინებივარ, რადგან საქართველოს პრეზიდენტის თანადგომის იმედი მქონდა. დარწმუნებული ვარ, სიღნაღის რაიონის 2002-2004 წლების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ პრეზიდენტის განკარგულების განხორციელება ხელს შეუწყობს რაიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები უკვე შეუდგნენ პრეზიდენტის დავალებების შესრულებას, ზოგიერთი კი არაჯეროვნად მოეკიდა მაშინაც კი, როდესაც სტიქიამ ისედაც გაჭირვებული რაიონის სახალხო მეურნეობას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ქვემო ალაზნის მაგისტრალური სარწყავი არხის გამანაწილებელი და შემკრები საკოლექტორო ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებების მხოლოდ 30 ათასი ლარით დაფინანსებით შემოიფარგლა. ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად წლეულს, მარტო გეგმით გათვალისწინებული იყო 140 ათასი ლარით დაფინანსება, ხოლო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ — მნიშვნელოვანი დამატებითი რესურსები უნდა გამოყოფილიყო.

პრეზიდენტის განკარგულების შესრულებისადმი პასიურობა გამოიჩინა განათლების სამინისტრომ, შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტსა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში საერთოდ არ იცნობენ იმ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც სიღნაღის რაიონის გადარჩენასა და აღორძინებას, უახლოესი სამი წლის განმავლობაში მისი ინფრასტრუქტურის დაჩქარებული ტემპებით განვითარებას ისახავს მიზნად.

რაიონის გამგეობამ შეიმუშავა პროგრამა ეკონომიკური და სოციალური გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, რომლის რეალიზება მხოლოდ იმ სამინიტროებისა და უწყებათა თანადგომით არის შესაძლებელი, ვის პასუხისმგებლობასაც დაეფუძნა საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული განკარგულება.

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია!"

— თებერვალ-მარტში ქარიშხალმა ნათესები და შენობა-ნაგებობები დააზიანა. 28-29 ივნისს ამას სეტყვა და წყალდიდობა დაერთო და ხიდები დააზიანა, რომელიც დღემდე გასაკეთებელია. რას აკეთებს გამგეობა?

გივი შიუკაშვილი (აპარატის უფროსი):

— 28-29 ივნისს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულების მიზნით ადგილზე შეიქმნა რაიონული შტაბი გამგებლის გიორგი ჭუჭულაშვილის ხელმძღვანელობით, ანალოგიური შტაბები შეიქმნა სოფლებში.

ადგილობრივი ძალებით ბოდბისხევის სანიაღვრე კოლექტორიდან, როგორც მოსახლეობის, ასევე ალაზნის სასისტემო სამმართველოს ს. ს. „ქიზიყავტოგზის“ დახმარებით გატანილია დანგრეული მასალა და რკინა-ბეტონის ფილები, აღდგა როგორც წნორი-ლაგოდეხის გამავალი საერთაშორისო გზის მონაკვეთი, ასევე ბოდბისხევის, ანაგის, ვაქირის, ტიბაანის, ჯუგაანის და სხვა სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნაგებობები და მაგისტრალური მილსადენები. აღდგენითი სამუშაოების შესრულების პარალელურად აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოტანილია 1200 კგ ქლორი და სათავე-ნაგებობების წყლის რეზერვუარებს დეზინფექცია ჩაუტარდა.

მძიმე სადღეღამისო მუშაობის შედეგად აღდგა ელექტროენერგიისა და კავშირგაბმულობის ხაზები. წყალდიდობამ შეიწირა ანაგა-ვაქირის საავტომობილო ხიდი, რის შედეგად პარალიზებული იყო მოძრაობა, ადგილობრივი ძალებით გაკეთდა შემოვლითი გზა და პრობლემა გადაიჭრა.

გაიწმინდა მეწყერისგან დაზიანებული ორმილისა და ბოდბის მისასვლელი გზის მონაკვეთები და განახლდა სატრანსპორტო საშუალებათა მიმოსვლა. სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხებით დღესაც მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ ზარალი იმდენად დიდია, რომ საკუთარი ძალებით და არსებული ფინანსური საშუალებებით მათი დასრულება წარმოუდგენელია.

ბოლო წლებში ბუნებრივ-კლიმატური ცვლილებების შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა სტრატეგიული დანიშნულების მქონე საზღვრისპირა სოფელი ერისიმედი. მდინარე ალაზნისა და ბელექანჩაის ადიდების შედეგად დაიტბორა მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, დამხმარე ნაგებობები, განადგურდა სასოფლო-სამეურნეო ნათესები, დღეისათვის უმძიმეს მდგომარეობაშია მოსახლეობის ელექტროენერგიით მკვებავი სადგური. მდინარე ბელექანჩაის კალაპოტის შეცვლამ მანძილი ისე შეამცირა, რომ მოსალოდნელი წყალდიდობა ელექტროსადგურს წაიღებს და მოსახლეობა ელექტროენერგიის გარეშე დარჩება.

პრეზიდენტის განკარგულებით ფინანსთა სამინისტროს დავალებული ჰქონდა სტრატეგიული დანიშნულების მქონე საზღვრისპირა სოფელ ერისიმედში მდინარე ალაზნისა და ბელექანჩაის მარცხენა სანაპიროზე გამაგრების პირველი რიგის სამუშაოების დასაფინანსებლად ივლისში 120 ათასი ლარის გამოყოფა, მაგრამ დღემდე აღნიშნული საკითხი არ გადაწყვეტილა. სოფელ ერისიმედში მცხოვრები 91 ოჯახი სერიოზული საფრთხის წინაშეა. მდინარე ალაზნისა და ბელექანჩაის ადიდების შემთხვევაში სოფლის მთლიანი დატბორვაა მოსალოდნელი.

რატომ არ სრულდება?



„რასაც წამისვამ ხელზეო, იმას წაგისვამ წვერზეო“

— რატომ არ დაადგა საშველი ელექტროენერგიის შეუფერხებელ მიწოდებას?

ნოდარ ბაკაშვილი (გამგებლის მოადგილე):

— რაიონში ელექტროენერგიის მიწოდებაში შეფერხებების ძირითადი მიზეზია მოსახლეობიდან და წარმოება-დაწესებულებებიდან დახარჯული ელექტროენერგიის თანხების ამოუღებლობა, წლეულს, 6 თვეში მიწოდებული ელენერგიის ღირებულებიდან მხოლოდ 119809 ლარია ამოღებული, მათ შორის ორგანიზაციებიდან — 50 368 ლარი, ხოლო მოსახლეობიდან — 62 441 ლარი.

თანხების ამოუღებლობის ძირითადი მიზეზი მოსახლეობის დაბალი შემოსავლებია, რაც სოციალური პრობლემების მოუგვარებლობით არის გამოწვეული. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რაიონის გამგეობის ინიციატივით შემუშავდა ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება ადგილობრივ საკრებულოებსა და სააქციო საზოგადოება „სინათლეს“ შორის და განისაზღვრა ურთიერთვალდებულებები. ადგილობრივი საკრებულოები ვალდებულებას იღებენ შემუშავებული გრაფიკით, რომელიც სააქციო საზოგადოება „სინათლესთან“ არის შეთანხმებული, ელექტროენერგია მიაწოდოს მომხმარებელს, რომელსაც ელენერგიის მიწოდება შეუწყდება, მისი საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში.

«წყაროვ დოვლათის, სათავევ ლხინის!»

— რატომ არაფერი კეთდება რაიონში ტრადიციული დარგების განვითარებისათვის?

ფარნაოზ ნატროშვილი (სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი):

— ტრადიციული დარგების — მარცვლეულის, მევენახეობისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის არაფერი კეთდებაო, — არ ითქმის, თუმცა, არის უამრავი დღემდე გადაუჭრელი პრობლემა, რაც ყველას საფიქრალი და საზრუნავია.

ახლახან, რაიონში დაფუძნდა ფერმერთა კავშირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. ფერმერთა კავშირმა სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების დაძლევაში დახმარებისათვის სამთავრობო ორგანიზაციებს წერილობით რამდენჯერმე მიმართა, მისი წარმომადგენლები კი პირადად ესაუბრნენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს, რომელმაც დახმარება აღუთქვათ რაიონის გამგეობა რეგულარულად სწავლობს და გამგეობის სხდომებსა და საწარმოო თათბირებზე იხილავს სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის საკითხებს, ახორციელებს ღონისძიებებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყველაფერი კეთდება შხამქიმიკატებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და მანქანა-იარაღებით, საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ხარისხიანი თესლით უზრუნველყოფისათვის.

რაიონში 1998 წლიდან მოქმედებს საკრედიტო ასოციაცია „ქიზიყი“, რომელიც დიდად ეხმარება ფერმერებს სესხის აღებაში.

ბოლო ორი წლის განმავლობაში 450 ჰა-ზე გაშენდა ახალი ვენახები. უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია რაიონში ვაზის სანერგე მეურნეობის აღდგენა, რაც ხელს შეუწყობს ამ დარგის განვითარებას.

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მეცხოველეობის დარგის აღმავლობისათვის, კერძოდ, ტრადიციული დარგის — მეკამეჩეობის აღსადგენად, ამუშავდა შედური პროგრამა, შეიქმნა რძის ცენტრები, სადაც ფერმერთა სწავლება ხდება.

და მაინც, ტრადიციული დარგების სრულყოფილი განვითარებისათვის და სოფლის მეურნეობაში არსებული რეზერვების ამოქმედებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

მართალია, მიწის რეფორმა განხორციელდა, მაგრამ მოსახლეობას მიწის მიღების შემდეგ არანაირი დახმარება და მხარდაჭერა არ უგრძვნია (მხედველობაში გვაქვს გრანტის ან ხელსაყრელი სესხის სახით მატერიალური დახმარება), რის გამოც ხშირად ირღვევა აგროტექნიკური ღონისძიებების ვადები და სასურველ შედეგს ვერ ვიღებთ.

დღემდე გადაუჭრელია სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემა. მოუგვარებელია ყურძნის ორგანიზებული შესყიდვისა და ღვინის ქარხნებში ჩაბარების საკითხი, ბოლო პერიოდში სერიოზული სამუშაოები ჩატარდა ალაზნის არხის რეაბილიტაციისათვის, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა სარწყავი წყლით მომარაგება, მაგრამ მისი სრულყოფისა და გამართული მუშაობისათვის შესაბამისი თანხებია საჭირო.

„ეს გაუმარჯოს სიმართლეს, სინდისს და შემოქმედის არდავიწყებას“

— რამდენი სასახელო ადამიანი აღუზარდა სიღნაღმა საქართველოს. რატომ არ ვუვლით მათ სახლ-მუზეუმებს, რატომ უფრო მეტს არ ვაკეთებთ მათი სახელების უკვდავსაყოფად?

მურად ვაზაკიძე (კულტურის განყოფილების გამგე):

— მართლაც ბევრი სასახელო მამულიშვილი დაიბადა და გაიზარდა ჩვენს რაიონში. სოლომონ დოდაშვილი, იოროდიონ ევდოშვილი, ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, სანდრო მირიანაშვილი, ალექსანდრე გზირიშვილი, სანდრო ახმეტელი, ავლიპი ზურაბაშვილი, ჰამლეტ გონაშვილი, დავით მჭედლიშვილი და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მართალია, წლების მანძილზე ავარიულ მდგომარეობაში იყო ვანო სარაჯიშვილის სახლ-მუზეუმი, მაგრამ ახალი გამგებლის თანადგომით სახურავი გადაიხურა და ექსპონატები განადგურებას გადაურჩა. ამჟამად ინტერიერის შესაკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს. არის იდეა სახალხო დღესასწაული „ვანოობა“ იქცეს მსოფლიო საოპერო ხელოვნების ზეიმად, წელიწადში ერთხელ, სიღნაღში ვანო სარაჯიშვილის პრიზის მოსაპოვებლად გაიმართოს ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი.

მასალების შეგროვება-დამუშავების შემდეგ კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის მუზეუმი ფართოდ გაუღებს კარს მისი ლამაზი მელოდიების თაყვანისმცემლებს. სასიხარულოა, რომ ახალმა გამგებელმა რაიონის მძიმე ეკონომიკურ პირობებშიც კი გამონახა სახსრები ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიციისათვის. ეს მუზეუმი ნოემბრის დასაწყისში საზეიმოდ გაიხსნება. ამავე დღეს აღინიშნება ცნობილი ფსიქიატრის ავლიპი ზურაბაშვილის საიუბილეო თარიღი — დაბადების 100 წლისთავი სიღნაღის სკოლაში, სადაც დიდი მეცნიერი სწავლობდა, აქვე გაიხსნება მისი სახელობის მუზეუმი.

„გწამდეს ის, რაც დღეს არის, რაც იქნება ხვალე“

— ყველა რაიონს თავისი გულშემატკივარი ჰყავს. ათასგვარ ორგანიზაციებს ქმნიან დედაქალაქში წასულები, რომ მშობლიურ რაიონს მხარში ამოუდგნენ, იქ დარჩენილების კეთილდღეობაზე იზრუნონ. სიღნაღელებს რატომ არ ებადებათ ამის სურვილი?

ჟიული საამიშვილი (სიღნაღის რაიონის გამგეობისა და საკრებულოს გაზეთ „ქიზიყის“ რედაქტორი):

— 6 თვეა რაიონს სათავეში ჩაუდგა გიორგი ჭუჭულაშვილი, რომელმაც ბევრი სასიკეთო საქმის კეთების პარალელურად საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქიზიყის“ დაფუძნების იდეაც მოგვაწოდა. ამ ინიციატივას მალე გამოეხმაურა რაიონის ინტელიგენცია, რაიონს გარეთ მოღვაწე სიღნაღელები. შეიქმნა კომისია, შემუშავდა საზოგადოებისა და მისი საქველმოქმედო ფონდის დაარსების ღონისძიებათა გეგმა.

რაიონსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ფერმერებისა და მეწარმეების სამომავლო გეგმები, დროის მცირე მონაკვეთში გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები იმედის საფუძველს გვაძლევს, რომ სიღნაღის რაიონის აღორძინებისათვის დაწყებული დიდი მოძრაობა სასიკეთო შედეგებამდე მიგვიყვანს.

შეუძლებელია, ხაზგასმით არ აღინიშნოს „კავკასიური სახლისა“ და მისი ხელმძღვანელის ნაირა გელაშვილის საქველმოქმედო საქმიანობა. მისი სახით სოფელ ნუკრიანს ერთგული პატრონი ჰყავს. გვჯერა, რომ ქალბატონ ნაირას მიმდევრები გამოუჩნდებიან და მშობლიური რაიონისა და სოფლის კეთილდღეობაზე მასავით იზრუნებენ.

„დაზარალებულს არ სჯერა - გაძნელდა ქურდის დაჭერა“

— ეს დალოცვილი საქონელიღა გვყავს მარჩენალად და იმასაც აღარ გვიყენებენ. დღემდე რატომ არ აღიკვეთა საქონლის ქურდობა?

სოსო ციციშვილი (კრიმინალური პოლიციის უფროსი):

— 121 ათას ჰექტარს და 43 ათას მცხოვრებს პოლიცია ორად-ორი მანქანით ქურდებისაგან რომ ვერ დაიცავს, ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს. რაიონში დანაშაული შარშანდელთან შედარებით 38 ერთეულით გაიზარდა, აქედან 18 ერთეული ქურდობაზე მოდის. დანაშაულის სუბიექტი ძირითადად ახალგაზრდობაა, 70 პროცენტი არასრულწლოვანია.

გაჭირვება, უმუშევრობა, ლუკმა პურისთვის მშობლების მუხლჩაუხრელი შრომა და შესაბამისად, მათზე ზედამხედველობის მოდუნება, სკოლების ფუნქციების მოშლა, რეფორმირების შემდეგ სწავლის არასავალდებულოობა, უსახსრობის გამო უფროსკლასელთა სკოლის გარეშე დარჩენა, ყველაფერი ეს ახალგაზრდობისა და არასრულწლოვანების მიერ დანაშაულის ჩადენის ნოყიერ ნიადაგს ქმნის, წინათ თუ მათი კომპლექსური აღზრდა ხდებოდა, ეს უმძიმესი ფუნქცია კისერზე დააწვა პოლიციას, რომლის ძალებს აღემატება არა მარტო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, არამედ ჩადენილი დანაშაულის გახსნა და ბოლომდე მიყვანა. ამას კი ობიექტური მიზეზები აქვს. ეს არის მცირე ხელფასი, უტრანსპორტობა, ასევე საკანონმდებლო ბაზა, რომელიც, ჩემი აზრით, გადასახედია. მას შემდეგ რაც ჯართის დამამზადებელი პუნქტები გაიხსნა, არასრულწლოვანებმა იწყეს დაკეტილი ბინებიდან ალუმინისა და სპილენძის გატანა. დაზარალებულები გარკვეული დროის შემდეგ აცხადებენ, რაც ნივთმტკიცებათა ამოღებას და საქმის გახსნას ართულებს, რადგან ამ დროისათვის ეს ნივთები საქართველოს ტერიტორიიდან გატანილია. რაც შეეხება საქონლის ქურდობას, წლეულს ამ კატეგორიის ექვსი ფაქტია რეგისტრირებული, აქედან 3 გახსნილია, 3 — გაუხსნელი. საზღვრების პრობლემა თუ არ მოგვარდა, მოპარული საქონლის გადარეკვის აღკვეთა კვლავ შეუძლებელი იქნება.

რა სჭირდება პოლიციას, რომ თავისი ფუნქცია კეთილსინდისიერად შეასრულოს? — დაფინანსება!

„მიწის ამზომველნი სულს ძლივსღა ღაფავენ“

— რაიონში არსებული მიწებიდან 17 ათასი ჰექტარი მოსახლეობას საკუთრებაში გადაეცა. რა სარგებლობა მოუტანა მიწების პრივატიზაციამ რაიონის ბიუჯეტს?

თამაზ ბურდილაძე (მიწის მართვის სამმართველოს უფროსი):

— რაიონში მიწის პრივატიზაცია და აფხაზეთის ომი თითქმის ერთდროულად დაიწყო და გამგეობას ორ ფრონტზე უწევდა ბრძოლა. მაშინდელი მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელები მიწების ჰაიჰარად გაცემას გვაჩქარებდნენ, მაშინ როცა ამ პროცესს (თუნდაც, საკანონმდებლო ბაზის შექმნას) დიდი დრო სჭირდებოდა, ამის გამო 1992 წლიდან რამდენჯერმე შეიცვალა გამოსაყოფი მიწის ფართობის,

მისი გაცემის ვადები და პირობები. რაიონის მიწის საპრივატიზაციო ფონდში 17 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი გამოიყო. თავიდანვე აქცენტი გაკეთდა მოსახლეობისათვის ვენახების გადაცემაზე, რადგან ვვარაუდობდით კომლის ყველა წევრი შრომაში ჩაებმებოდა და შესაბამისად, მათი ეკონომიკური მდგომარეობაც გაუმჯობესდებოდა. 1992-93 წლებში რთველი ნორმალურად დასრულდა, ყურძენი ჩვეულებრივად, სახელმწიფო ღვინის ქარხნებს ჩაბარდა, მაგრამ პრობლემები მოგვიანებით წარმოიქმნა, რომელიც დღემდე გადაუჭრელია. რუსეთის ბაზარი დავკარგეთ, ჩვენი პროდუქცია იქ წარმოებულმა ფალსიფიცირებულმა ღვინომ შეცვალა, ღვინის ქარხნებმა ვეღარ შეძლეს ღვინომასალების რეალიზება, უსაწვავობამ და ვენახების უხარისხოდ დამუშავებამ მკვეთრად შეამცირა ყურძენზე მოთხოვნა. მოსახლეობამ თავის გადასარჩენად მასობრივად იწყო ვენახის გაჩეხვა და ერთწლიანი სხვა კულტურების თესვა. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, განსაკუთრებით წნორისა და სიღნაღის მცხოვრებლებს შემოსავლის ალტერნატიული წყაროები ჰქონდათ და არ ჩქარობდნენ მიწის მიღებას და თუ იღებდნენ — მის დამუშავებას. ამის გამო იმჟამად მოქმედი კანონის თანახმად ბევრს მიწა ჩამოართვეს, ჩამორთმეული მიწების ნაწილი, რომ არ მოცდენილიყო, მოკლევადიანი იჯარით გაიცა და ძველ მფლობელებსა და მოიჯარეებს შორის დავა დღემდე გრძელდება.

სოფლებთან ახლომდებარე სარწყავ და შედარებით უკეთეს ნაკვეთებზე გამგეობამ მაღალი გადასახადი დააწესა, ვიდრე სხვა საიჯარო ნაკვეთებზე. 1997-98 წლებში მოსახლეობა შეძლებისდაგვარად იხდიდა გადასახადს და რაიონის ბიუჯეტსაც დაეტყო, მაგრამ რაიონში სოციალური ფონის დამძაფრებამ, ელექტროენერგიისა და ხელფასების მოთხოვნით საპროტესტო აქციებმა რაიონის იმჟამინდელი ხელმძღვანელობა აიძულა მოსახლეობა მიწის გადასახადისაგან „გაეთავისუფლებინა“ (რა თქმა უნდა, სიტყვიერად). ეს „სასიამოვნო“ ინფორმაცია ელვის სისწრაფით გავრცელდა და მას შემდეგ მიწის გადასახადმა კატასტროფულად იკლო.

ახლა კი განზრახული გვაქვს მიწის გადასახადის ამოღება ყოველთვიურად, თუნდაც 3-4 ლარის ოდენობით, რომ მოსახლეობა შეეგუოს ამ ვალდებულებას, რაც რაიონის ბიუჯეტსაც წაადგება და ისევ მათ კეთილდღეობას მოხმარდება.

„ჯერ მომაპყარ თვალი, ყური, მერე მითხარ საყვედური“

— დედაქალაქს მოწყვეტილები ვართ, მართალია, ჩვენი საუკეთესო საინფორმაციო წყარო გაზეთია, მაგრამ არც რადიო-ტელევიზია გვაწყენდა. რახანია გვპირდებიან და დღემდე ვერ შეასრულეს დაპირება.

იური ზედელაშვილი (საკრებულოს სპიკერი):

— ქაოსისა და განუკითხაობის ჟამს გაიძარცვა და განადგურდა რაიონში არსებული სატელევიზიო სადგური. ამის გამო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ვერ იღებს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის გადაცემებს და ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდა. არადა, ჟურნალ-გაზეთების შეძენაზე ყველას როდი მიუწვდება ხელი.

წლების განმავლობაში მოსახლეობა რაიონის ხელმძღვანელთა დაპირებებით იკვებებოდა — სატელევიზიო სადგურს აღვადგენთო, მაგრამ დღემდე ამ დაპირებებს შედეგი არ მოჰყოლია.

მხოლოდ ახლა, ივნისში გამართული ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ საფუძვლიანი რეფორმების განხორციელება დაიწყო, სხვა პრობლემებთან ერთად წინა პლანზე წამოსწია ტელე-რადიო მაუწყებლობის აღდგენა.

განზრახულია უახლოეს მომავალში ადგილობრივი ტელემაუწყებლობის შექმნა, რომელიც გააშუქებს რაიონში მიმდინარე პროცესებს, მოსახლეობისთვის საინტერესო საკითხებს, გაზრდის მართვის ეფექტიანობას, აამოქმედებს პასუხისმგებლობის მექანიზმებს.

დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები, საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის პირველი არხის ხელმძღვანელობასთან მიღწეულია შეთანხმება ახალი სატელევიზიო სადგურის მოსაწყობად. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს დაფარვის სიხშირეების დადგენაზე. რაც შეეხება რადიომაუწყებლობას, ამჟამად ჩვენი წილობრივი მონაწილეობით მიმდინარეობს კახეთის სამხარეო რადიოფიკაცია. ასე რომ, ჩვენი დაპირება მხოლოდ დაპირებად არ დარჩება. დარჩენილი სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება და საახალწლოდ სიღნაღის რაიონის ყველა მოსახლეს არა მარტო სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხის, არამედ რაიონული ტელევიზიის გადაცემების მიღების საშუალებაც ექნება.

„რაღაა იგი სინათლე“...

— ყოველი ახალი სასწავლო წელი ახალი სიხარულის მომტანი უნდა იყოს ბავშვებისათვის. ჩვენს ბავშვებს ახალ სასწავლო წელს ახალი თითქმის არაფერი ხვდებათ, რატომ?

ნოდარ კოჭლამაზაშვილი (განათლების განყოფილების გამგე):

— ჩვენი განათლების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას რომ მეტი ყურადღება სჭირდება, ამას ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო განკარგულებაც, რომელიც განათლების სამინისტროს გამგეობასთან ერთად ავალებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატის, განსაკუთრებით საზღვრისპირა სოფელ ერისიმედის სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებასა და ახალი სასკოლო ინვენტარითა და თვალსაჩინოებით აღჭურვას. დღეისათვის კი ვითარება ასეთია: სავალალო მდგომარეობაშია ვაქირის, მაშნაარის, ბოდბისხევის, ხორნაბუჯის საშუალო და ხირსის 9-წლიანი სკოლები. შეკეთდა წნორის, ჯუგაანის, ნუკრიანის, ანაგის საშუალო სკოლები, მოგვარდა ანაგისა და ძველი ანაგის სკოლების სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა. შემოიზიდა ლიცენზირებული სახელმძღვანელოები, მაგრამ სამწუხაროდ, მაღალი ფასების გამო მშობლებმა მათი შეძენა ვერ მოახერხეს.

აღსანიშნავია სიღნაღის, წნორის, ქვემო ვაქირის, ქვემო მაჩხაანისა და ჯუგაანის საკრებულოების ინიციატივა — მათ მიერ გამოყოფილი თანხებით შეძენილი სახელმძღვანელოები პირველკლასელებს სასწავლო წლის დაწყების დღეს — 2 სექტემბერს უსასყიდლოდ გადაეცათ. სამომავლოდ ვფიქრობთ სხვა რაიონების გამოცდილების გაზიარებას, რომელიც, ჩვენი აზრით, მისაღებია. ეს არის სახელმძღვანელოების გაქირავების სისტემის შემოღება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ფინანსური სიძნელეების გამო უკანასკნელ წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს არანაირი ინვენტარი არ მიუღიათ, მოსწავლეები ძირითადად მოძველებულ, მორყეულ მერხებზე სხედან, რაც რასაკვირველია, სწავლის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს. უხვად არიან სასკოლო ინვენტარის მწარმოებლები, მაგრამ მათი პროდუქცია იმდენად ძვირია, რომ შემოსავლების სიმწირის გამო საკრებულოების მიერ ჩვენი დაფინანსება წარმოუდგენელია.

რატომ?

გვერდი მოამზადა ლეილა კოშკაძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ახალი ფორმაცია

თუმცა ველური ვაზი შორეული წარსულიდანაა ცნობილი განათხარი მასალის მიხედვით, მაგრამ ყურძნის ღვინო ისტორიულად მხოლოდ რძისა და ლუდის გამოყენების შემდეგ „შევიდა ხმარებაში“.

ძველ ბაბილონსა და ეგვიპტეში ლუდი და ღვინო ხანგრძლივად თანაარსებობდნენ.

უახლესი ინფორმაცია: ახლახან იაპონელმა მეცნიერებმა სამეცნიერო მიზნით (და არა ფართო მოხმარებისათვის) დაამზადეს „ფარაონთა ლუდი“. მათ ეგვიპტური აკლდამების კედლებზე შემორჩენილი იეროგლიფების გაშიფვრის შედეგად დაადგინეს რეცეპტი და მოადუღეს ლუდი, რომელსაც ეგვიპტელები სვამდნენ 4-5 ათასი წლის წინათ. იგი ღია ფერისაა, ქაფი არ აქვს და უფრო თეთრ ღვინოს წააგავს.

სამაგიეროდ სირიასა და პალესტინაში, მცირე აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ღვინო ლუდზე დიდი ხნით ადრე გაბატონდა და იგი თითქმის განდევნა ხმარებიდან.

მაგრამ ეს „თითქმის განდევნა“ მაინც პირობითი იყო. მაგალითად, საქართველოს მთიანეთის (სადაც მევენახეობა, ბუნებრივი პირობების გამო, განვითარებული არ არის) მოსახლეობა: ფშავლები, მოხევეები, თუშები, ხევსურები, მთიულები, გუდამაყრელები უძველესი დროიდან ადუღებდნენ ლუდს, რომელიც მთიელთა ცხოვრების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მომენტების თანამდევია, მეორე მხრივ, როგორც საკულტო სასმელი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათს რელიგიურ ცხოვრებაში. „შავ ლუდსა, თეთრსა ღვინოსა, განა სუყველას სმა უნდა“ — ნათქვამია ხალხურ ლექსში და მიგვანიშნებს, რომ ჩვენი წინაპარი ღვინის თანაბარი სიხალისით მიირთმევდა ლუდს.

სულხან-საბა ასე განმარტავს: „ლუდი — ქერის თაფლუჭი“, „თაფლუჭი, რაიც სამთვრალოდ შეიმზადების“.

მისი „სამთვრალო“ თვისების გამოა ნათქვამი ლუკას სახარებაში, როცა უფლის ანგელოზი იოანე ნათლისმცემლის დაბადებას წინასწარმეტყველებს: „მრავალნი გაიხარებენ მისი შობით. რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა, და ღვინო და თაფლუჭი არა ჰსუას და სულითა წმინდითა აღვსოს მიერვე დედის მუცლით მისთაგან (1,15).

ლუდს საქართველოში სხვადასხვა სახელი ჰქონდა: ლუდი — ხევსურებში, ალუდი — თუშებში, ვორიაშ — სვანებში, ბაგინე — ოსებში...

ჩვენში ლუდის ქარხნული წესით ჩამოსხმა XIX საუკუნის შუახანებიდან იწყება, როცა გერმანელმა მეწარმემ ვენცელმა თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დიდუბეში ლუდის ქარხანა დააარსა. ამ საწარმომ მთელი საუკუნე პატიოსნად იმუშავა და მხოლოდ 1949 წელს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. შემდეგ ათწლეულებში ლუდის ქარხნები გაიხსნა ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, საჩხერეში, რუსთავში...

ოღონდ, ეს „ქართული საბჭოთა ლუდი“, ბოთლისაც და ჩამოსასხმელიც, ერთნაირად უგემური, წყალწყალა და მომჟავო იყო. ხალხი მას უფრო იმიტომ სვამდა, რომ სხვაზე, მაგალითად, ჩეხურ ლუდზე, უბრალოდ ხელი არ მიუწვდებოდა (მხოლოდ ლუდის ბარ „შატილში“ თუ დალევდი შედარებით წესიერ ლუდს), ერთი ყუთი ჩეხური ლა-

შავ ლუდსა, თეთრსა ღვინოსა...

მის „ნახევარი სამეფო“ ღირდა.

მაგრამ დრო შეიცვალა და ქართველებმა დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ ნამდვილი, ევროპული სტანდარტების დონის, ევროპის ცნობილი ფირმების კონკურენტუნარიანი პროდუქციის დამზადება.

1994 წელს „ვენცელის ქარხანაში“ გოგი თოფაძემ კომპანია „ყაზბეგი“ დააარსა. სამი წლის შემდეგ ამ კომპანიის მფლობელობაში გადავიდა 1974 წელს აშენებული რუსთავის ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომბინატი. 1998 წელს დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „ყაზბეგი“ 100-პროცენტიანი ქართული ინვესტიციით. დაფუძნების დღიდან იგი პროდუქციას ადგილობრივი ნედლეულით აწარმოებს.

ახლა ადვილია თქმა, მაგრამ მაშინ, როცა რუსთავის ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომბინატი შეისყიდეს, თავის დროზე წარმატებული ეს საწარმო აბსოლუტურად განადგურებული იყო, წარმოება — თითქმის შეჩერებული. კომბინატი გადაიარაღდა, შემოიტანეს უახლესი მანქანა-დანადგარები, გაამდიდრეს ახალი ტექნოლოგიებით.

დღეს სს „ყაზბეგი“ მთელი დატვირთვით მუშაობს. უშვებს რამდენიმე სახეობის, როგორც ღია ფერის „პილზენის“ ტიპის „ყაზბეგს“, „ტრადიციულს“, „გაგრას“, „ოლიმპიურს“, „თოფაძეს“, რომელთაც აქვს ნაზი, კარგად გამოხატული სვიის სიმწარე და არომატი, ისე შავი ფერის „პორტერს“ და ღია ყავისფერ „მონადირეს“, რომელთაც უფრო ალაოს გემო დაჰკრავს. „მონადირეზე“ საგანგებოდ უნდა ითქვას. იგი წლეულს გამოჩნდა დახლებზე. ევროპული ტიპის ლუდისგან განსხვავებით, „მონადირე“ ქართულ გემოვნებასთან მიახლოებულად, ქართული მოთხოვნილებისა და ლუდის ხარშვის ტრადიციების გათვალისწინებით არის შექმნილი. იგი დღეს თითქმის ყველაზე პოპულარულია ლუდის მოყვარულთა შორის.

სს „ყაზბეგმა“ ჩვენი ბაზრიდან უცხოური პროდუქციის თითქმის განდევნა შეძლო. იგი შიდა მოხმარების 60-70 პროცენტს აკმაყოფილებს. ამასთან, საექსპორტოდაც გააქვთ აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქმენეთში. თუმცა, ამ ქვეყნებს ლუდის საკუთარი წარმოებაც აქვთ.

2000 წელს გამაგრილებელი, მატონიზირებელი, სისიამოვნო არომატული თვისებების მქონე ცივი ჩაის ჩამოსხმა დაიწყეს, რომელიც უკვე ეროვნული სასმელი გახდა, დიდი მოწონება დაიმსახურა უცხოელ მომხმარებელშიც. დაფუძნებულია ერთობლივი საწარმო „ყაზბეგი-უკრაინა“, რომელსაც ფართო სადისტრიბუციო ქსელი აქვს. ცივი ჩაი ისხმება კიევში, პოლტავასა და დონეცკში.

მისი ნაყენი აქაურმა ტექნოლოგებმა ანასეულის ჩაის კვლევით ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავეს, იქვე მზადდება კონცენტრატი (ნედლეულს — უმაღლესი ხარისხის მწვანე და ბაიხის ჩაის — კომპანია საკუთარი, მამათის პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკიდან იღებს). მზა ნაყენს რუსთავში აკუპაჟებენ — ხილის არომატიზატორებს უმატებენ.

2001 წლიდან კომპანია ლიმონათსაც აწარმოებს, რომელიც ხილის ნედლეულზე დამზადებული არომატიზატორების ხარჯზე მიიღება. ისხმება „მსხალი“, „ლიმონი“, „ტარხუნა“, „ფორთოხალი“ და „სიტრო“.

— წლიურად 100 ტონამდე ხილს ვიბარებთ და ვამუშავებთ. ბევრად იაფი დაგვიჯდებოდა, ლიმონათს უცხოურ კონცენტრატებზე რომ ვამზადებდეთ, მაგრამ მას ჩვენს შვილებს ვასმევთ და ამას ვერ ვიზამთ. ლიმონათით წაგებას ლუდიდან მიღებული მოგებით ვფარავთ. ამაზე შეგნებულად მივდივართ, რადგან, ჯერჯერობით, თუმცა, პროდუქციას ყოველწლიურად ვაიაფებთ, კონკურენციას ვერ ვუწევთ სარდაფებსა და აბაზანებში ჩამოსხმულ ერზაც-ლიმონათს, რომელიც 12-15 თეთრი ღირს. ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ ხალხი არ მიხვდება, რომ 12-თეთრიანი „ლიმონათის“ დალევას, თუ თავი გიყვარს, სჯობს საერთოდ არ დალიო ან ხუთმაგი გადაიხადო, — მითხრა სს „ყაზბეგის“ ვიცე-პრეზიდენტმა ნიკოლოზ ბახტურიძემ.

კომპანია „ყაზბეგი“ თავის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად ეროვნულ მრეწველობაში ახალი დარგის — არომატიზატორების წარმოების წამოწყებას მიიჩნევს. ამ საკითხზე კომპანიის მეცნიერთა ჯგუფი დიდი ხანია მუშაობს. „ყაზბეგის“ არომატიზატორები დამზადებულია ქართული ატმის, ქოლოს, მსხლის, ალუბლის, ტარხუნის, ფეიხოას, ფორთოხლის, ლიმონისაგან. აქ წარმოებული არომატიზატორებით კარგა ხანია უცხოელი მწარმოებლებიც დაინტერესდნენ.

სს „ყაზბეგმა“ შარშან ბიუჯეტში 5 მილიონი ლარი შეიტანა. ვარაუდობენ, რომ წლეულს ეს თანხა უფრო გაიზრდება. საწარმოში ძირითადი 350 კაცი მუშაობს (საშუალო ხელფასი 200 ლარია), სეზონურად კი 500-მდე კაცი საქმდება. დისტრიბუციის ქსელში თბილისსა და ყველა რეგიონში 2500 კაცია ჩართული.

სს „ყაზბეგი“ დღეს საქვეყნოდ აღიარებული საწარმოა. არსებობის მცირე ხნის მანძილზე რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა: 1998 წ. მადრიდი — გამარჯვება საერთაშორისო კონკურსში; 2000 წ. პარიზი — „ევროპის თაღი“, ხარისხის სერტიფიკატი; ბრიუსელი — „ევროპის ბაზარზე განსაკუთრებული წარმატებისთვის მენეჯმენტისა და ხარისხის დარგში“, თბილისი — წლის საუკეთესო კომპანია, ნომინაციით „საზოგადოებრივი იმიჯი“, მოსკოვი — ლუდისა და ცივი ჩაის მაღალხარისხოვანი წარმოებისთვის მოპოვებული ოქროს მედლები...

დღევანდელი ქართველი, გუშინდელისგან განსხვავებით, უკვე ერთნაირი სიამოვნებით სვამს შავ ლუდსაც და თეთრ ღვინოსაც...

სს „ყაზბეგი“ ყველაზე გამორჩეულია იმ ქართულ საწარმოთა შორის, რომლებმაც დაიპყრეს შინა ბაზარი და წარმატებით უტევენ უცხოეთის ბაზარს, „ყაზბეგი“ სახვალიო იმედს ბადებს.

ალექსანდრე ალექსიძე.

- **ბაღდადს კანონიერად დაარტყამენ.**
- **მოსკოვი: საროსკიპო – ბერების სავანეში.**
- **დეტექტივი – მენდელეევის მიმდევარი.**
- **ვაშინგტონი: ჩუბინი ნახეს, მაგრამ ვერ დაიჭირეს.**

ბუშმა ხელი მოაწერა ერაყთან ომის კანონს

აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც შეერთებულ შტატებს ანიჭებს უფლებას, გამოიყენოს ძალა ერაყის წინააღმდეგ.

როგორც შეერთებული შტატების მეთაურმა განაცხადა, იგი იმედოვნებს, რომ ძალის გამოყენება არ მოუწევს, მაგრამ, მისი თქმით, აშშ მზად არის, „ებრძოლოს რეალურ საფრთხეს, რომელსაც ერაყი უქადის მსოფლიოს“.

უშიშროების საბჭო შეუდგა ერაყის თაობაზე ახალი რეზოლუციის განხილვას. საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობა ვაშინგტონისა და ლონდონის შეურიგებელი პოზიციის წინააღმდეგია.

შეერთებული შტატების და ბრიტანეთის წინადადებანი ერაყთან დაკავშირებით კვლავინდებურად მიუღებელია მოსკოვისათვის, განაცხადა განხილვამდე ცოტა ხნით ადრე მაღალი თანამდებობის რუსმა დიპლომატმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იური ფედოტოვმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი არ დაუჭერს მხარს რეზოლუციის პროექტს, რომელიც შეიცავს ბაღდადის წინააღმდეგ საომარი მოქმედების მუქარას. გაეროელი დიპლომატების თქმით, ზოგიერთი ქვეყანა სულ უფრო მეტ იმედგაცრუებას გრძნობს იმის გამო, რომ მოკლებულია შესაძლებლობას, რაიმე გავლენა მოახდინოს უშიშროების საბჭოში ერაყის განიარაღების გზების შესახებ მიმდინარე დისკუსიებზე.

ამ ბოლო დრომდე, ასეთი დისკუსიები საკმაოდ კულუარულად მიმდინარეობდა უშიშროების სა-



ბჭოს ხუთი მუდმივი წევრის წარმომადგენლებს შორის.

თითქმის მთელი თვეა, გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს ვერ შეუთანხმებია ტექსტი, მიზნები და ამოცანები ერაყის თაობაზე მისაღები ახალი რეზოლუციისა, რომელმაც ბოლო უნდა მოუღოს ბაღდადის მასობრივი დაზიანების იარაღის შექმნის პროგრამას.

აქამდე განხილვა სხვათაგან ფარულად მიმდინარეობდა: ძირითადად, ერთმანეთს ხვდებოდნენ შეერთებული შტატების, რუსეთის, ჩინეთის, საფრანგეთისა და ბრიტანეთის ელჩები. თანაც, არც ერთ მათგანს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა: ყველა გადაწყვეტილებას იღებდნენ ვაშინგტონში, მოსკოვში, პეკინში, პარიზსა და ლონდონში.

ღია დებატები ერაყის გამო გაეროში ოთხშაბათს დაიწყო. სწორედ ამ დღიდან შეიცვალა სიტუაცია. ახლა გაეროს 191 წევრს შეუძლია, იმსჯელოს, თუ რა ღონისძიებები უნდა მიიღოს გაერომ იმასთან დაკავშირებით, რომ ერაყი დღემდე უარს ამბობდა შეესრულებინა 1991 წლის რეზოლუციების მოთხოვნები.

ახალ რეზოლუციაზე შეთანხმების მიღწევა გაუჭირდებათ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებსაც. ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს საჭიროდ მიაჩნიათ, მიღებულ იქნეს ერთი უმკაცრესი რეზოლუცია, რომელშიც ნათლად იქნება ნათქვამი, რომ თუ ერაყი უარს იტყვის გაეროს შეიარაღების ინსპექტორებთან თანამშრომლობაზე, მაშინ ბაღდადის წინააღმდეგ ძალას გამოიყენებენ.

საფრანგეთი, რომელსაც მხარს უჭერენ რუსეთი და ჩინეთი, ორი ანუ ორსაფეხურიანი რეზოლუციის მომხრეა. მიმომხილველთა აზრით, ის ფაქტი, რომ ახლა ერაყის საკითხზე გაეროს ყველა წევრი ქვეყანა იმსჯელებს, არ მოუტანს მხარდაჭერას ვაშინგტონისა და ლონდონის პოზიციას.

იმ დროს, როდესაც ბევრი წევრი ქვეყანა თანახმაა, რომ ერაყი ხანგრძლივი დროის მანძილზე — სპარსეთის ყურის ომის დამთავრების მომენტიდან — უგულებელყოფდა გაეროს რეზოლუციებს, უმრავლესობა მაინც წინააღმდეგი გამოდის ვარიანტისა, რომლის მიხედვითაც უშიშროების საბჭო ვაშინგტონს მწვანე შუქს აუნთებდა სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული საომარი ოპერაციისათვის.

თუმცა, რეზოლუციის პროექტის წარდგენამდე გაეროს ბევრ წევრს მთლიანად უკვე ჰქონდათ წარმოდგენა იმაზე, თუ რას სთავაზობენ შეერთებული შტატები და ბრიტანეთი. ამ ბოლო კვირის მანძილზე, პრესაში მრავლად დაიბეჭდა სტატიები, რომლებიც სამუშაო დოკუმენტებიდან გაჟონილ ცნობებს ემყარებოდა.

„ყოველივე იქიდან, რაც ჩვენ



წავიკითხეთ, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ გაეროსაგან მოითხოვენ ომის გამოცხადებას ერაყისათვის, — თქვა **სამრა**-ს ელჩმა კუმალომ, რომელიც განხილვაში მონაწილეობს მიუმხრობლობის მოძრაობის სახელით. — თუ ეს ასეა, მაშინ რეზოლუცია ეწინააღმდეგება გაეროს წესდების პირველ პარაგრაფს, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ჩვენ ეს ორგანიზაცია შევქმენით, რათა თავიდან ავაცილოთ მომავალ თაობებს ომები“.

გაეროს წევრთა უმრავლესობას არ გააჩნია ხმის უფლება უშიშროების საბჭოში. ამასთანავე, ამთავითვე ცხადია, რომ ახალი რეზოლუციის განხილვა დაძაბულ ატმოსფეროში წარიმართება. ვაშინგტონს ეს შეიძლება, დიდად არ ეხატებოდეს გულზე, მაგრამ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრენი აცხადებენ, რომ მოლაპარაკება ნებისმიერ შემთხვევაში სჯობია ომს.

dfnbrfyb vjcrjdc ,hfkc clt,c

ვატიკანმა მოსკოვის ხელისუფალთ ბრალად დასდო, რომ ისინი ცდილობენ, სახელი გაუტეხონ რომის კათოლიკურ ეკლესიას რუსეთში.

ორშაბათს ვატიკანის პრესმდივანმა ხაკინ ნავარრო-ვალსმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ლაპარაკია „ხანგრძლივ და მიზანმიმართულ კამპანიაზე, კათოლიკური ეკლესიის დისკრედიტაციას რომ ისახავს მიზნად“.

ამ განცხადებაში საქმე ეხება იმას, რომ მოსკოვის ცენტრში მდებარე ბინა, ფრანცისკელთა ორდენს რომ ეკუთვნის, საროსკიპოდ იყო გადაქცეული.

ნავარრო-ვალსის თქმით, ფრანცისკელებმა „ბინა მიაქირავეს კერძო პირს, რომელიც იწრმუნებოდა, რომ შენობას საქველმოქმედო მიზნით გამოიყენებდა“. როდესაც ფრანცისკელებმა გაიგეს, სახელდობრ, რა ქველმოქმედება მიმდინარეობდა მათ ბინაში, შეეცადნენ, გაებათილებინათ იჯარის ხელშეკრულება, მაგრამ ეს ცდები უშედეგო გამოდგა.

ოქტომბერში ბინის შესახებ სიუჟეტი გადასცა OPT ტელეარხმა პროგრამაში „ადამიანი და კანონი“, ამის შესახებ სტატია დაიბეჭდა „კომსომოლსკაია პრავდაშიც“.

ვატიკანის პრესმდივნის თქმით, ეს პუბლიკაციები და რეპორტაჟები შეიცავდნენ წინასწარ განზრახულ სიცრუეს, რომელიც მიზნად ისახავდა სახელის გატეხას კათოლიკური გაერთიანებისათვის“.

ბი-ბი-სი დაუკავშირდა ფრანცისკელთა ორდენის წარმომადგენლობას მოსკოვში. ორდენის მონასტრის მორჩილმა, ძმა არსენმა დაადასტურა, რომ ფრანცისკელთა კუთვნილი ბინა სრედნეტიში სინსკის შესახვევში გარყვნილების ბუნაგად იყო გადაქცეული. ამასთან, მთელ ამ ისტორიას მორჩილმა პროვოკაცია უწოდა.

ძმა არსენის თქმით, ბინა თებერვალში მიაქირავეს რამდენიმე კაცს, რომლებიც „ქველმოქმედების სპეციალისტებად“ გაეცნენ ბერებს. იმის თაობაზე, რომ ბინაში საროსკიპოა გახსნილი, ფრანცისკელებს მილიციის განყოფილებიდან აცნობეს.

პირველი განცხადება, რომელშიც ფრანცისკელები მილიციას სთხოვდნენ, გამოეყვანა ბინიდან თვითმარქვია ქველმოქმედები, ორდენმა 11 აპრილს შეიტანა, ხოლო 12 სექტემბერს მიმართა სასამართლოს, მაგრამ, ჯერჯერობით ვერ მიაღწია იჯარის ხელშეკრულების მოშლას.

ახლა ვატიკანს განზრახული აქვს, ოფიციალური პროტესტი განუცხადოს კრემლს მისი კუთვნილი ბინის საროსკიპოდ გადაქცევის გამო.

შერლოკ ჰოლმსის საპატიო ტიტული

სწორუპოვარ დეტექტივს შერლოკ ჰოლმსს ქიმიის სამეფო საზოგადოების საპატიო წევრად იღებენ.

ჩვეულებრივ, ასეთი პატივის ღირსნი ხდებიან ნობელის პრემიის ლაურეატები, აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერები და ბიზნესმენები.

განთქმული მაძებარი გახდება პირველი ლიტერატურული გმირი, რომელიც ქიმიის სამეფო საზოგადოების წევრად აღიარეს. ამ მოვლენას დაუკავშირებენ მისი „მკვდრეთით აღდგომის“ 100 წლისთავს. როგორც ცნობილია, იგი „საიქიოდან მობრუნდა“, რათა ბასკერვილების ძაღლის საიდუმლო გამოეცნო.

ქიმიის სამეფო საზოგადოების თავმჯდომარის დევიდ ჯაკარდის თქმით, ას წელიწადში მას შემდეგ, რაც დედოფალმა ვიქტორიამ შერლოკ ჰოლმსის ავტორსა და შემოქმედს — არტურ კონან-დოილს რაინდის წოდება უბოძა, დადგა დრო, პატივი მიაგონ კაცს, რომელიც „მუდამ ებრძოდა ბოროტებას და ამ ბრძოლაში ფართოდ იყენებდა მეცნიერების მიღწევებს, უშიშრობას და ნათელ გონებას“.

კონან დოილის გმირის პროტოტიპი გახდა მისი მედიცინის მასწავლებელი, რომელიც უაღრესად მახვილი თვალითა და დედუქციური აზროვნებით გამოირჩეოდა.

თანამედროვე შოტლანდიელმა მწერალმა, პოპულარული დეტექტიური რომანების ავტორმა იენ რენკინმა კმაყოფილება გამოთქვა უბადლო მაძე-

ბრის „სიკვდილის შემდეგ“ დაჯილდოების გამო: „ერთი მხრივ, ეს კარგი ამბავია, იმიტომ, რომ ნიშნავს: დეტექტიურ ლიტერატურას აქვს არსებობის უფლება, მასში არის რაღაც უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ საინტერესო სიუჟეტი, რომელიც შეუმჩნევლად გაკვლევინებს დროს მატარებლით მოგზაურობისას“.

მაგრამ, მწერალი დასძენს, რომ მეორე მხრივ, — „ეს სიგიჟეა — მიანიჭო ასეთი ჯილდო ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟს“.

შავი ხვრელი ირმის ნახტომის შუაგულში

ევროპელმა მეცნიერებმა ჩვენი გალაქტიკის ცენტრში უზარმაზარი შავი ხვრელი აღმოაჩინეს.

როგორც გერმანელი მკვლევარები წერენ ჟურნალ „ნეიჩურში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, მათი მუშაობა ემყარებოდა იმ უჩვეულო ვარსკვლავის ქცევის ანალიზს, რომელიც უზარმაზარი სიჩქარით არტყამს წრეებს მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მდებარე ერთ-ერთი მნათობის ირგვლივ.

ასტრონომები დიდი ხანია, ვარაუდობდნენ, რომ ირმის ნახტომის ცენტრში შეიძლება, იყოს შავი ხვრელი, მაგრამ დღემდე ამის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნდათ.

ახლა კი, გერმანელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ამ თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ვარსკვლავი, პირობით S2 რომ უწოდეს, ისე იქცევა, როგორც უნდა იქცეოდეს შავი ხვრელის უშუალო სიახლოვეს მდებარე კოსმოსური ობიექტი.



S2 თავის გზას გალაქტიკის ერთი თავიდან მეორემდე სულ 15 წელიწადში გადის. მზეს ამისათვის 230 მილიონი წელიწადი სჭირდება.

ასტრონომები ამტკიცებენ, რომ ეს შეიძლება, ნიშნავდეს მხოლოდ ერთს: S2 ორბიტის ცენტრში შავი ხვრელი მდებარეობს. წინასწარი გაანგარიშებით, მისი მასა 300 ათასჯერ აღემატება მზისას.

როგორც ჩანს, ასეთი ბედი არც მშვილდოსნის S2-ს ასცდება.

„ვაშინგტონელი სნაიპერი“ მიზანშია ამოღებული

აშშ ხელისუფლებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ სულ მალე იპოვიან „ვაშინგტონელ ჩუბინს“, რომელმაც შეერთებული შტატების დედაქალაქის გარეუბნებში მოკლა ცხრა და დაჭრა კიდევ ორი კაცი. ყველა მსხვერპლი ერთადერთი გასროლით არის მოკლული.

პირველად მას შემდეგ, რაც ორი კვირის წინათ მკვლელობები დაიწყო, სულ ცოტა ერთმა კაცმა დაინახა, როგორ ესროლა სნაიპერმა თავის უკანასკნელ მსხვერპლს — 47 წლის ლინდა ფრანკლინს. ამის შესახებ გამოძიების წარმომადგენლებმა აცნობეს გაზეთ „ვაშინგტონ პოსტს“.

გარდა ამისა, მოწმეებმა პირველად შეძლეს, დაეხსომებინათ ღია ფერის „შევროლეს“ ფურგონის სანომრე ნიშნის ნაწილი, რომელიც ტრაგედიის ადგილის მახლობლად იქნა შემჩნეული.

„გაჩნდა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ უკანასკნელი დანაშაულის ადგილიდან, და, მე, დარწმუნებული ვარ, რომ მალე ამას დაპატიმრება მოჰყვება“, — განაცხადა ფერფაქსის საგრაფოს პოლიციის უფროსმა ტომ მანქერმა.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ იმოწმებს პოლიციის თანამშრომლებს და იუწყება, რომ ერთმა მოწმემ დაინახა, როგორ გადმოვიდა მამაკაცი ფურგონიდან და როგორ ესროლა დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან ფრანკლინს. მეორე მოწმემ კი ჩუბინი აღწერა: ეს არის ლათინურამერიკული ან ახლოაღმოსავლური წარმოშობის მამაკაცი, რომელსაც მუქი, ბრინჯაოსფერი კანი აქვს. ექსპერტებმა ერთი უცნაური თავისებურება გამოავლინეს სნაიპერის ქცევაში: იგი სადაც დღეებში ხოცავს ხალხს და შაბათ-კვირას „ისვენებს“.



აქამდე ბალისტიკოსმა ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ორშაბათს ვაშინგტონის გარეუბანში მოკლული ქალი სნაიპერის მორიგი მსხვერპლი გახდა.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
არჩილ მანჯგალაძემ.

მოთხოვნა სატენდერო წინადადებების წარდგენაზე საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განხორციელების მიზნით

განმარტებები სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებით

2002 წლის 30 სექტემბერს „BP“-მ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის პროექტების ოპერატორმა, ორივე პროექტის აქციონერი კომპანიების სახელით „საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის“ განხორციელებასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მოთხოვნა საპროექტო წინადადებებზე საქართველოში რეგისტრირებული ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

რამდენიმე დაინტერესებულმა ორგანიზაციამ წერილობით წარმოადგინა თხოვნა განმარტებების შესახებ, როგორც ეს მითითებულია სატენდერო დოკუმენტების პაკეტში.

განმარტებები მომზადდა და ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

თამთა ბენაშვილი, მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ

დავით აღმაშენებლის გამზირი 123 ა

თბილისი, საქართველო 380064

ტელეფონი — (995 32) 699 600

ფაქსი — (995 32) 699 624

განმარტებები ასევე განთავსებულია ინტერნეტ გვერდებზე:

www.assistancegeorgia.org.ge

www.rec-caucasus.net

www.caspiandevelomentandexport.com

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აპლიკანტებთან შეხვედრამდე, რომელიც ჩატარდება 2002 წლის 5 ნოემბერს, 14 საათზე თბილისში, საბურთალოს ქ. 38-ში, გაიცემა განმარტებების მხოლოდ ერთი პაკეტი, რომლის მიღებაც შეიძლება 18 ოქტომბრიდან ზემოთ მითითებულ მისამართზე. განმარტებების მეორე პაკეტი გაცემულ იქნება 2002 წლის 28 ოქტომბერს. აღნიშნულ პაკეტში შესატანი შეკითხვები წარმოდგენილ უნდა იქნას 2002 წლის 24 ოქტომბრამდე. ამ თარიღის შემდეგ, ყველა შეკითხვა განხილული იქნება აპლიკანტებთან შეხვედრაზე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 254, პარასკევი, 18 ოქტომბერი, 2002 წელი.

კოლეგა

ძეგლი ჟურნალისტისთვის

წიგნი, რომელიც „დილის გაზეთმა" და მისმა მთავარმა რედაქტორმა მანანა კარტოზიამ მიუძღვნა შტატგარეშე ავტორს, ახალი სიტყვაა არა ოდენ ქართულ მასმედიაში, არამედ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში, საერთოდ.

შტატგარეშე ავტორიც ასეთი უნდა, — გამორჩეული ხელწერის ჟურნალისტი, რედაქტორი, „არგონავტი", „ალპინისტი", „ოლიმპიელი", მკვლევარი და პედაგოგი პაატა ნაცვლიშვილი.

კრებული „პაატა ნაცვლიშვილი დილის გაზეთში" ზუსტად ისეთივე ძეგლია პაატა ნაცვლიშვილისთვის, როგორც გაზეთის ხუთი წლისთავზე გამოცემული ხუთასგვერდიანი წიგნი „ერთი პუბლიკაციის ანთოლოგია", თვით ამ მშვენიერი გაზეთისთვის. აკი, მაშინ წერდა კიდეც გახარებული პაატა ნაცვლიშვილი: „მართლა ძნელი წარმოსადგენია, ძეგლზე კარგი საჩუქარი საკუთარ იუბილეზე. ეს ისეთი გამოცემაა, რომლის ფასი და მნიშვნელობა ხვალ და ზეგ უფრო მეტი და უფრო თვალსაჩინო გახდება"...

„დილის გაზეთმა" მხოლოდ ხუთი წლის იუბილე გადაიხადა, მაგრამ ამ უმცირესი დროის განმავლობაში მისი ერთი შტატგარეშე ავტორის, ა-უ-უ, რამდენი ნაღდი, პროფესიული, ძარღვიანი, მსუყე ქართულით დაწერილი რეპორტაჟის, ნარკვევის, ჩანახატის თუ ნამცვრევის გამოქვეყნება მოასწრო. გაზეთი ერთი დღით ცოცხლობსო, ტყუილია. გაზეთი მატიანეა. ის ერთ დღეს არის „ცინცხალი ამბების დასტა", თორემ, ხვალ უკვე უძვირფასესი ისტორია და ნამდვილი განძია.

წიგნის გარდა, „დილის გაზეთმა" სახელდახელო ჩანართი უძღვნა პაატა ნაცვლიშვილს („საიუბილეო სალამი კოლეგას") და 16 ოქტომბერს დედაუნივერსიტეტის სააქტო დარბაზის ფოიეში წიგნისა და პაატა ნაცვლიშვილის ფონდის საძირკვლის ჩასაყრელად მოგვიწვია.

კოლეგისა და მეგობრის წარმატებით გულწრფელად გახარებული ამდენი ნათელი სახე კარგა ხანია არ მინახავს ცოდნის ტაძარში. ეს იყო სხვადასხვა თაობის ჟურნალისტთა და მათ გულშემატკივართა საერთო ზეიმი. საოცრად ამაყნი ვიყავით ყველანი, რომ სრულიად ახალგაზრდა პაატას 50 წელიწადი ასე ადვილად მოუგდია ბეჭებზე და... თურმე, რამდენი მოუსწრია. სიხარულს ისიც აძლიერებდა, რომ მუდამ ნოვატორმა პაატამ თავის იუბილეზე აქეთ დაგვასაჩუქრა და „დილის გაზეთის" წყალობით უმშვენიერესი წიგნი მოგვიძღვნა.

პაატა ნაცვლიშვილის ფონდი ვახსენე. მაინც, რა ფონდზეა ლაპარაკი? — ამას იუბილარი ჟურნალისტის უფროსი მეგობრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის ნუგზარ ფოფხაძის წერილში ამოიკითხავთ. სხვათა შორის, ეს წერილი იმის ნიმუშიც გახლავთ, თუ როგორ უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ვაფასებდეთ ნიჭიერ, მართალ, მუხლჩაუხრელ კოლეგებს.

სპარტაკ ძოწულია.

ორმოცდაათი წელი, ორმოცდაათი წამი

თითქოს რა, ადამიანისთვის, მით უფრო შენთვის პატივსაცემი პიროვნებისთვის საიუბილეო თარიღის მილოცვას რა უნდა ეწინაღობებოდეს, — აიღებ კალამს და თავს მოუყრი კეთილ სურვილებს, გამოხატავ შენს დამოკიდებულებას. თუ გაქვს გასახსენებელი, გაიხსენებ, არადა, არც ესაა პრობლემა, გულისნადებს მაინც გასთქვამ.

მაგრამ სულაც არ არის ადვილი, როცა სიტყვებს ეძებ, წერ, მერე შლი, ასწორებ, კიდევ ერთხელ (და მერამდენედ) გადაიკითხავ და განიცდი, როგორ აღიქვამს, როგორი თვალით შეხედავს, — როგორც იუბილარი თუ როგორც პროფესიონალი ჟურნალისტი; წარმოიდგენ, როგორ კითხულობს ტექსტს და აღარ ფიქრობ იუბილარის განწყობაზე, მხოლოდ იმის ცნობისწადილი გკლავს, გაიგო, აი, ახლა, ამ წუთას რა გამოსჭვივის მისი მოჭუტული მზერიდან — გიღიმის თუ ელიმება, გიცინის თუ დაგცინის.

და ფიქრობ, — ეს თავსატეხი იმად გაიჩინე, რომ გულით გწადია, დაბადებიდან ორმოცდაათი წელიწადის გასრულება მიულოცო პაატა ნაცვლიშვილს.

გულისხმას არ უნდა აჰყვე ამ დროს, წონასწორობა არ უნდა დაკარგო, თორემ შეგხვდება რომელიმე გაზეთის რედაქციაში, ანდა, სულაც, ქუჩაში და პირველივე გამოხედვაში დაიჭერ იმ ჩიტს, რომელიც კალმის წვერიდან აგიფრინდა. და ისე თავაზიანად აგაბურთავებს, შენი მოწონებული.

პაატა ნაცვლიშვილი მხოლოდ ორმოცდაათ წამს მოანდომებს ამ სტრიქონების წაკითხვას. კიდევ ერთხელ ვულოცავ დაბადებიდან ორმოცდაათ წელს, და თუ... მაშინ მეც მომილოცეთ ეს ორმოცდაათი წამი.

ბონდო მძინარაშვილი.

პაატა

მასზე ათი წლით უფროსი ვარ და, ასე მგონია, ერთი დღეც არ მიცხოვრია მის გარეშე. ჩვენი ურთიერთობა 30 წლის წინათ დაიწყო. ჯერ უბრალო ნაცნობობა დამწყებ პოეტთან, ნიჭიერ, მაძიებელ სტუდენტთან, შემდეგ თანამშრომლობა კოლეგასთან და, მოგვიანებით, მეგობრობაში გადაზრდილი ახალგაზრდა ხალას შემოქმედთან, კრისტალური პატიოსნების მქონე, უღალატო კაცთან. ეს გულწრფელი და თანამოაზრეობით აღსავსე ურთიერთობა ვერ დამაკარგვინებს ობიექტურობის სულისკვეთებას. მით უმეტეს, მაშინ, როცა იუბილესთან დაკავშირებით მისალოც წერილს ვწერ პაატას, იმ დღეს, როცა ნებით თუ უნებლიეთ ჯამდება მისი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრება.

პაატა უნიკალური პიროვნებაა, გამორჩეული თავის თაობაში და პროფესიულ ოჯახში. მისი უნიკალურობა მის საქმეებშია, მისი ინტერესების მრავალფეროვნებაში, მის მასშტაბებსა და დახვეწილ გემოვნებაში. ყოველივე ეს გამოიხატება შემდეგში — ჟურნალისტურ თუ პოეტურ ნაღვაწში, მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთების თუ გამომცემლის მიერ დასტამბული უაღრესად ორიგინალური წიგნის წარმატებაში, მისი, როგორც მოგზაურის აღმოჩენებში, მის მიერ გამოზრდილი ახალგაზრდების პროფესიონალიზმში, ზნეობრივ კრედოში.

უწინარესად, პაატა ჟურნალისტია.

მარტო „დილის გაზეთის" საჩუქარი — პაატას წიგნიც კი იკმარებდა მისი ჟურნალისტური მოღვაწეობის შეფასებისათვის.

1984 წელს მქონდა ბედნიერება საქართველოს სახელით მემასპინძლა ცნობილი ბრიტანელი მოგზაურის ტიმ სევერინის ექსპედიციისთვის არგონავტების ნაკვალევზე. პაატას დაჟინებული თხოვნით, მივაღწიე იმას, რომ მივიღე სევერინის თანხმობა, „არგოს" ეკიპაჟში ათ პროფესიონალ მენიჩბეს შორის ყოფილიყო ერთადერთი ჟურნალისტი, რომელიც, რა თქმა უნდა, პაატა იყო. „რა თქმა უნდა" იმიტომ, რომ სულით და ხორცით რეპორტიორი პაატა ნაცვლიშვილი არ გაუშვებდა ხელიდან ამ შანსს და ყველაფერი (მათ შორის ნიჩბოსნის პროფესიის ზედმიწევნით დაუფლება) გააკეთა იმისთვის, რომ ისტორიული მოგზაურობის ხელდაკოჟრილი მონაწილე და მოვლენის შუაგულში მყოფის როლში მისი ობიექტური აღმწერი ყოფილიყო.

ეს არის ნაღდი ჟურნალისტიკა. ამიტომ შევიდა, ჩემი ღრმა რწმენით, იმდროინდელი ქართული ჟურნალისტიკის „ოქროს ფონდში" თენგიზ სულხანიშვილთან, — ქართული ტელევიზიის განუმეორებელ ვარსკვლავთან თანამშრომლობით შექმნილი მისი სატელევიზიო გადაცემების ციკლი, პაატას საგაზეთო რეპორტაჟები და წიგნი „მოგზაურობა არგოთი".

პაატა ჭეშმარიტი რედაქტორია.

ორმოც წელზე მეტია, რაც ჟურნალისტურ ოჯახში ვცხოვრობ და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ მინახავს, ყველა თვალსაჩინო ჟურნალისტს და რედაქტორს პირადად ვიცნობდი და ბევრის შემოქმედებით სამზარეულოში ვყოფილვარ ჩარეული. ჩემი თაობის ჟურნალისტებისთვის დავით მჭედლიშვილის, მიხეილ კაკაბაძის, რეზო დვალიშვილისა და კიდევ რამდენიმე კოლეგის სახელი ეტალონურია, რამეთუ ვიცოდით, მათთვის საგაზეთო საქმეში რაიმე საიდუმლო არ არსებობდა. ისინი „ლინოტიპის ხანის" დიდი რედაქტორები იყვნენ.

80-იანი წლების რადიოს ახალგაზრდულ გადაცემათა მთავარი რედაქციის, გაზეთ „სამშობლოს" ჟურნალისტები, ალბათ, დამიმოწმებენ ჩემს გულწრფელ განცხადებას, რომ როგორც რედაქტორს, ჟურნალისტური კოლექტივის წინამძღოლს, პაატას თითქმის ბადალი არ ჰყავს თავის თაობაში. იმ პერიოდის რედაქტორისთვის ყველაზე „მაღალი ჯილდო" გახლდათ სასჯელი გაბედული საგაზეთო პუბლიკაციის გამო. პაატას მიღებული აქვს ასეთი „ჯილდო" — „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორის პოსტიდან უსამართლოდ, თითიდან გამოწოვილი საბაბით მოხსნა. სხვათა შორის, ეს „ჯილდო" მაშინ ჟურნალისტთა ფედერაციის ახლანდელმა თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემაც გაინაწილა. ორივე ახალგაზრდას მაშინ ეყო ვაჟკაცობა, კარიერის გამო არ დაეთმო პროფესიული და ზნეობრივი პრინციპები, არ გატყდნენ და არ გაბოროტდნენ.

როგორც რედაქტორი და გამომცემელი, პაატა სულ წინსვლაშია, საგაზეთო-საგამომცემლო საქმეში მისთვის არ არსებობს არავითარი „მოულოდნელობა": ის მუდმივად თვალს ადევნებს და სწავლობს ყოველივე კარგს, რაც მსოფლიოს საგაზეთო-საგამომცემლო „კულინარიაში" ხდება. ამის დასტურად, თუნდაც, „ახალი ქართული გაზეთიც" კმარა, რომლის კონცეფცია მისი შექმნილია, მისი გემოვნების ნაყოფია და, დასტამბული ნომრების სიმცირის მიუხედავად (რაც სრულებით არ არის მის „ბრალი") ახალგაზრდა ჟურნალისტთა აღსაზრდელად ჩინებული სახელმძღვანელო და მაგალითია.

პაატა პატრიოტი კაცია, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

საყოველთაოდ ცნობილია მისი ღვაწლი ქართული ემიგრაციის მოღვაწეთა საქმიანობის, საზღვარგარეთ ქართული კულტურული ფასეულობის გადარჩენაში, გამომზეურებასა და პროპაგანდაში.

პაატას სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის დაარსება, მისი საერთაშორისო მასშტაბით ცნობა.

დაბოლოს, პაატა ქართული ჟურნალისტიკის ჩინებული მკვლევარი, მისი მემატიანე, საზოგადოებრივ საწყისებზე (ანუ საკუთარ ხარჯზე) არსებული მუზეუმის დამაარსებელია. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისთვის ეს არის უმნიშვნელოვანესი საქმე, რომელსაც პაატა ასეთი რუდუნებითა და უხმაუროდ აკეთებს. გამორჩეული თავმდაბლობაც მისი ბუნებაა. სწორედ ამიტომ, შეუძლებელია, ზოგადად ქართული საზოგადოების, კონკრეტულად კი, ჟურნალისტური ოჯახის მხრიდან, შეუმჩნეველი და ღირსეული დაფასების გარეშე დარჩეს.

თავისი იუბილე პაატამ ჩვეული ორიგინალობით აღნიშნა — ქართული პრესის საკუთარი უმდიდრესი არქივი დედა უნივერსიტეტს, ჟურნალისტიკის ფაკულტეტს უანგაროდ გადასცა. უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა ღირსეულად დააფასა ეს მამულიშვილური ნაბიჯი და მისი განკარგულებით, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში სპეციალურად გამოიყო დარბაზი, რომელშიაც სულ მალე გაიხსნება პაატა ნაცვლიშვილის ფონდი — მუდმივმოქმედი გამოფენა. ჩვენი მხრიდან მადლიერების გამოხატვა მხოლოდ იმით მოვახერხეთ, რომ სწორედ უნივერსიტეტი, მისი ჟურნალისტიკის ფაკულტეტი მასპინძლობს ამ საიუბილეო დღეს ჟურნალისტურ ამქარს, რომელიც „დილის გაზეთის" ინიციატივით, საგანგებოდ ეწვევა ფაკულტეტის მასწავლებელს, თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის „მეტრს", ჭეშმარიტ რაინდს, რომელიც სრულიად უანგაროდ, პროფესიისადმი გამორჩეული ერთგულებითა და სიყვარულით უზრდის საქართველოს ზნეობით აღსავსე თაობას.

ზემოთ ვთქვი, რომ პაატა ის კაცი და შემოქმედია, რომელიც ყოველთვის ტოვებს კვალს, რამეთუ ყოველთვის აქვს შედეგი. თანაც, საამაყო. ამიტომ აქვს მას ასეთი აღიარება. და ამის საფუძველი არ გახლავთ მარტო საქმისადმი თავდადება, საოცარი შრომისმოყვარეობა და ზედმიწევნით ორგანიზებულობა. სწორედ პაატასნაირი მოღვაწეებს მიესადაგება დიდი გალაქტიონის ფორმულა: „ნიჭი, ძამიკო, ნიჭო!"

ნუგზარ ფოფხაძე.

კონკურსი

ნიჭიერების გამოსავლენად...

წლეულს თბილისის ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში 1-11 ნოემბერს გაიმართება ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა მეორე ეროვნული კონკურსი. შარშანდელის მსგავსად, ის წლეულსაც EPTA GEORGIA-ს (ევროპის ფორტეპიანოს პედაგოგთა ასოციაცია საქართველოში) ეგიდით წარიმართება. კონკურსის დამფუძნებელი და დირექტორია ნოდარ გაბუნიას აღზრდილი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ვალერიან შიუკაშვილი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ხუციშვილი. კონკურსის ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობენ ნოდარ გაბუნიას სტუდენტები, კოლეგები, ის ადამიანები, რომლებიც აფასებდნენ და პატივს მიაგებდნენ მის შემოქმედებით ნიჭსა და მოღვაწეობას. ნოდარ გაბუნიას — მრავალმხრივი მუსიკოსის, ადამიანის, არაორდინარული პიროვნების სახელი კონკურსს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და დატვირთვას სძენს და დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მის ორგანიზატორებს და მონაწილეებსაც. კონკურსს საპატიო საორგანიზაციო კომიტეტიც ჰყავს, რომლის წევრები არიან გია ყანჩელი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, იური ბაშმეტი და სხვა გამოჩენილი მუსიკოსები.

ნოდარ გაბუნიას სახელობის ეროვნული კონკურსის უწინარესი მიზანი საქართველოს ყველა კუთხის ნიჭიერ ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა გამოვლენაა. ამიტომაც, კონკურსს თანადგომას უცხადებენ და გულშემატკივრობენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, რაზეც ზემოთ ჩამოთვლილი მუსიკოსების გვარებიც მიანიშნებს.

პირველი კონკურსისაგან განსხვავებით წლეულს მუსიკალური შეჯიბრი ორ ასაკობრივ კატეგორიად დაიყო — 15 წლამდე და 16-დან 25 წლის ასაკამდე. წინასწარი შერჩევის შემდეგ გადაწყდა, რომ კონკურსში მონაწილეობას მიიღებს 36 მუსიკოსი — უმცროს კატეგორიაში 22, ხოლო უფროსების კატეგორიაში 14 პიანისტი იასპარეზებს. მრავალფეროვანია კონკურსის მუსიკალური პროგრამაც, რომელიც სხვადასხვა სტილისა და ეპოქის თხზულებებს მოიცავს, რომელთა მეოხებით მუსიკოსებს ეძლევათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალება. საგულისხმოა, რომ მეორე ტურში ორივე კატეგორიისთვის სავალდებულოა ნოდარ გაბუნიას ნაწარმოების შესრულება. უფროსებისთვის კონკურსი სამტურიანია. მესამე ტურში სრულდება საფორტეპიანო კონცერტი თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც ვახტანგ კახიძე წარუძღვება.

კონკურსანტებს და ალბათ, მკითხველებსაც აინტერესებთ ჟიურის შემადგენლობა — უმცროსი ასაკის პიანისტებს შეაფასებენ ვალერიან შიუკაშვილი (თავმჯდომარე), ირინა ხერჯი, ლალი სანიკიძე, დოდო სიჭინავა, თემურ ელიავა, ედიშერ რუსიშვილი, უფროსთა ხელოვნებას კი განსჯიან — თამარა პოდდუბნაია (თავმჯდომარე, აშშ), ალექსანდრე გარბერი, ვანდა კახიძე, მარია შური, ნინო ჭირაქაძე, ციცინო თოდუა, მიხეილ კილოსანიძე, ნანა ლესელიძე. ცხადია, ყველა მოსმენა საჯაროა. ამდენად, 10 დღის მანძილზე დაინტერესებულთ, მუსიკისმოყვარულთ საშუალება მიეცემათ გაიცნონ მათი ხელოვნება, ვინც მომავლიდან მოდის.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია 3-3 პრემია ორივე ასაკობრივ კატეგორიაში და გრან-პრი — ნოდარ გაბუნიას სახელობის პრემია, რომელიც არ გაიყოფა. გრან-პრი 5 000 ლარის ოდენობით საქართველოს კულტურის სამინისტრომ დააწესა. კონკურსის თანაორგანიზატორია, აგრეთვე, დედაქალაქის მერია და თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური.

მოგეხსენებათ, კონკურსის გამართვა საკმაოდ სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული და ამიტომ, მის ორგანიზატორებს სპონსორთა დახმარებაც სჭირდებათ ხოლმე. ამჯერად, გენერალური სპონსორის როლში მოგვევლინა კომპანია „არტ იმედი", სპონსორობა იკისრეს საქართველოს ეროვნულმა ზარაფხანამ, კონსერვატორიის დიდმა დარბაზმა.

ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა მეორე ეროვნული კონკურსის დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა. ალბათ, ინტენსიურად ემზადებიან კონკურსანტები და მათთვის უცხო აღარც წინასაკონკურსო ღელვის ფაქტორია. ამიტომაც ვუსურვებ ყოველ კონკურსანტს წარმატებას, შესაძლებლობათა ბოლომდე გამოვლენას და იმ სიხარულს, რომელიც ნამდვილ შემოქმედებას მუდამ თან სდევს. ვფიქრობ, ამ კონკურსში მიღწეული წარმატება დაუვიწყარ და მნიშვნელოვან ეტაპად იქცევა ახალგაზრდათა შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

ზურაბ ოიკაშვილი.

პარასკევი 18 ოქტომბერი

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 09.55 მხ. ფილმი "ოთხეული" 11.40 "ზოოპარკი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "რაჟენა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი "სიგიჟის ზღვარზე" 16.50 ტელესერიალი "ძილის წინ" 17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი "ჩვენი სახლი" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ენა დედაა ერისა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რაჟენა" 22.00 "დრო და ფული" 22.15 "მრავალსახეობა" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "ფულის მეფენი" 01.40 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 საქართველო არის ეს 21.00 ეპოქები, მოვლენები, პიროვნებები 21.30 აუხსნელის ტელევიზია 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "ჩემი მტრის მტერი"

07.00 მუსიკა 07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 დრაკონთა მომთვინიერებელნი 18.55 სერიალი "ტალღის ქიმზე" 19.50 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.20 მხ.ფილმი "გოს-ფორდ პარკი" მთ.როლებში კრისტინ-სკოტ ტომასი, მაიკლ გემბონი 02.30 მხ.ფილმი "ვარსკვლავთა ომები" მთ.როლებში ჰ არისონ ფორდი, კერი ფიშერი 04.30 კლასიკა.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.45 მხ.ფ. "არტური" 10.20 მხ.ფ. "ორმაგი მკვლელობა" 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. ფილმი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "ამორძალები და გლადიატორები" 22.30 მხ.ფ. "ჭკუას ჰკარგავ აირისზე" 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "მარტის კატები" 13.30 მხ. ფილმი "9 იარდი" 15.00 მხ. ფილმი "განგსტერები" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "დოქტორ მორის კუნძული" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "უხოველი" 22.10 მხ. ფილმი "ზაზუნას დღე"

ევრიკა

10.00 მუსიკალური ტაიმ-აუტი 10.45 პროგრამა "მსოფლიო სპორტი" 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვესტი" 12.25 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "მომავალი" 20.00 გადაცემა "ხვალ - საქართველოს პოლიტიკური ანატომია" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 "გამარჯობა" 23.10 მუსიკალური პაუზა 23.30 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი "ევრიკა"

07.00 კლიპ-მიქსი 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 11.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 13.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 14.00 მხ. ფილმი 17.00 "კომედია" მხ.ფ. "სუპერპოლიციელი" 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 რუსული ათეული 21.45 მოკლე სეანსი 22.00 ჩაძირობანა 22.45 "პასეანსი" 23.00 მუსიკა 00.00 "ტელედისკოთეკა" 02.00 "ღამურა" მხ.ფ. "7 დღე სიკვდილამდე" მთ. როლებში შონ პერტვი, ამანდა პლამერი 03.30 ნონ-სტოპი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20 მულტფილმი "ალექსი" 24-ე სერია 09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 78-ე სერია 10.15 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 29-ე სერია 11.15 დოკ. ფილმი "საათის მექანიზმი" 12.50, 20.20 მუსიკა 13.00 დოკ. ფილმი "იასონის კვალდაკვალ" 14.00 ბელისიმო 14.45 მხ. ფილმი "ბაჭი და ჯადოსნური რუქა" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" მე-5 ნაწილი 17.45 მულტფილმი "ალექსი" 25-ე და 26-ე სერია 18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო" 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 30-ე სერია 20.00 ლიმონი და ლიმონათი 21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "პრაღა - მოგზაურობა წარსულში" 21.30 "საუბარი ნინო ჭავჭავაძესთან" 1-ლი სერია 22.00 მხ. ფილმი "საბედისწერო წერილები" მთ. როლებში პიტერ კოიოტა, ნასტასია კინსკი 00.20 მხ. ფილმი "გენერალი". მთ. როლებში ბრენდან გლიზონი, ედრიან ლამბსი

შაბათი 19 ოქტომბერი

08.00, 15.00, 00.50 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "ფულის მეფენი" 10.00 "დილის პაემანი" 11.05 "მხიარული კარუსელი" 11.30 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 11.55 "ვიცი" 12.25 "მეტრო" 13.00 "კვალი" 13.30 დოკ. სერიალი "ტექნოპოლისი" 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი "აიდა" 16.45 "საწინდარი" 17.15 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 17.40 დოკ. სერიალი "ჩვენი სახლი" 18.00 "ვესტნიკი" 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.30 "ინტეგრალი" 20.00 "რას ფიქრობს ხალხი" 21.15 "ფორტუნა" 21.50 ტელესერიალი "ფორსაიტების საგა" 22.30 "მელომანია" 23.05 მხ. ფილმი "ღამის ზარები" 01.00 ღამის ჯაზი

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ჯემი 22.00 ჰიტ-პარადი 22.10 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "ნიკიტა" 11.50 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა 12.50 მხ.ფილმი 14.35 სიმფსონები 15.05 მხ. ფილმი 17.10 იქს მუტანტები 18.00, 00.00 კურიერი 18.20 ველური ამბები 19.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა 21.00 კურიერი P.S. 22.00 ფსიქო. მხ.ფ. "ლაკომბ ლუსიენი" 00.15 მხ.ფ. "გარიყული" მთ. როლებში როლტო პენკსი, ჰენლ ჰანტი 02.15 ღამის ჯაზი

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 08.30, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.45 მხ.ფ. "ამორძალები და გლადიატორები" 10.25 დოკ. სერიალი 10.50 მხ. ფილმი "ჭკუას ჰკარგავ აირისზე" 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 19.30 ჩანახატი 20.00 მხ.ფ. "სათამაშო" 22.30 მხ. ფილმი "ვირაჟი" 00.50 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "უხოველი" 13.30 მხ. ფილმი "ზაზუნას დღე" 15.00 მხ. ფილმი "რომეო და ჯულიეტა" 17.10 მხ. ფილმი "ტომ სოიერის თავგადასავალი" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 მხ. ფილმი "კარვი, ცუდი, ბოროტი" 23.30 მუსიკა 00.20 მხ. ფილმი "ინტერვიუ ვამპირთან"

ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "სათამაშო" 12.00 პროგრამა "სალონი" 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 მუსიკა 15.00, 21.00 ვესტი 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 16.00 ლაბირინთი 17.00 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 17.30 თქვენი ადვოკატი 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ცეროდენის ვარსკვლავები 20.00 თინეიჯერი 21.25 ზერკალო 22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 თეატრალური შეხვედრები 23.30 მსოფლიო სპორტი 00.40 მხ. ფილმი "იცეკვე ჩემთან"

07.00 კლიპ-მიქსი 07.30 "ცხოვრება სიტყვაში" 09.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით 10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 12.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 15.30 მხ. ფილმი 17.00 "კომედია" მხ.ფ. "შემთხვევითი ჯაშუში" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 ქართული ათეული 23.00 მუსიკა 00.00 "ტელედისკოთეკა" 02.00 "ბრავო" მხ.ფ. "განსხვავებული აზრი". მთ. როლებში ტომ კრუზი, კოლინ ფარელი 03.40 ნონ-სტოპი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები" 09.20 ლიმონი და ლიმონათი 09.35 მულტფილმი "ალექსი" 25-ე სერია 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა" 11.45 მულტფილმი "ალექსი" 26-ე სერია 12.15 მხ. სერიალი "მოჯადოვება" 30-ე სერია 13.15 დოკ. სერიალი "ცეკვა საშიშ მიწაზე" 14.45 მულტფილმი "ვარდისფერი პანტერა" 16.45 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.45, 18.50 მუსიკა 18.15 მულტფილმი "ათი მცნება" 19.00 "საუბრები სტუდიაში" 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ლუბეკი, ჰანზის მეფე" 21.30 "საუბრები ნინო ჭავჭავაძესთან" მე-2 ნაწილი 22.00 მხ. ფილმი "ომის ხელოვნება". მთ. როლებში ვუდი ჰარელსონი, ანტონიო ბანდერასი, ლოლიტა დავიდოვიჩი 00.20 მხ.ფ. "ჩრდილში" მთ. როლებში მეთიუ მოდინი, ჯეიმს კაანი

თეატრი

ჩვენთვის „ცარცის წრე" ხელახლა დაიბადა

1975 წლის 12 სექტემბერს პრემიერა გაიმართა... პრემიერა შედგა იმ სპექტაკლისა, რომელმაც ერთიანად მოხიბლა, ერთბაშად დაატყვევა და ერთსულოვნად აღაფრთოვანა განებივრებული და გათამამებული თეატრალური სამყარო... და, რომელიც მაშინვე არაორდინარულ და ორიგინალურ წარმოდგენა-სანახაობად შეფასდა არა მარტო ჩვენში, არამედ იქითაც — სხვა ქვეყნებში... და მაინც, რამ აღაფრთოვანა ასე ერთსულოვნად მაყურებელი?... ქართულად ხორცშესხმულ პიესას მსოფლიოს უმკაცრესი პრესაც საკადრისად გამოეხმაურა, ბევრი დაიწერა და ბევრიც ითქვა...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ სპექტაკლი სცენიდან არ ჩამოსულა, — მრავალი წლის მანძილზე ახლებურად გადაკითხული ბერტოლდ ბრეჰტი კვლავაც სცენაზეა და კვლავაც თამაშდება... „კავკასიური ცარცის წრე" — ჩვენთვის, ახალი თაობისთვის, ხელახლა დაიბადა, უფროსი თაობისთვის კი, ხელახლა გაცოცხლდა... და ხელახლა გაჩნდა თუ ამოტივტივდა წარსულის ბუტაფორია, ეიფორია, ოვაცია...

თავისთავად საინტერესოა, ახალგაზრდებმა როგორ დავინახეთ, როგორ გავიაზრეთ, ან როგორ აღვიქვით ეპიკური დრამა? როგორ დავუკავშირეთ დღევანდელობას და როგორ ავხადეთ სპექტაკლის უკვდავების საიდუმლოების ფარდა?

როცა მარადიული და ყოველდღიური ღირებულებების დაპირისპირების ფონზე გაშლილია სოციალური და ზნეობრივი საკითხების ძირითადი არსი; როცა სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელ ჭიდილში გამარჯვება სიკეთესა და სათნოებას ენიჭება; როცა მატერიალურად უძლურ პიროვნებებს სულიერი სიმდიდრე ამშვენებთ და მათივე სუფთა სინდისით ამქვეყნად სიმართლე ზეიმობს, მაშინ იმედი ხსნისა და ერის გადარჩენისა თვითნებურად არსებობს... და ბრეჰტის ამ პიესით, მასში სოციალური პრობლემების ხაზგასმით, მძაფრი მხატვრული გადაწყვეტით და თანამედროვე მიდგომით გადმოცემული რეალისტური ფანტასტიკა, გროტესკი, შარჟი, ანდა კომიკური თუ დრამატული ეპიზოდებისა და პერსონაჟების მონაცვლეობა, ბრწყინვალე არტისტულობა, ზოგადსაკაცობრიო ჟღერადობას მატებს ისედაც ხალისიან და მუსიკალურ სპექტაკლს და ამიტომაც არის, რომ მაყურებელი თანაბარი ძალით ითავისებს ყოველი გმირის ხვედრს და თითქოს, თვითნებურად ეგუება მათ მომავალ ბედს.

— სიტყვებით მიჭირს ახსნა იმ ზღვა ემოციის, რაც სპექტაკლის შემდეგ მეუფლება და ჩემში აღფრთოვანებას იწვევს. „კავკასიური" თითქოს სულში მიძვრება და განსაკუთრებით მოქმედებს ჩემზე. საერთოდ, რეჟისორი აცოცხლებს ამ სპექტაკლს წლების განმავლობაში და მაყურებელს სიახლესთან ერთად წარმოუდგენელ ენერგიას და ხალისს მატებს. სწორედ ესთეტიკური ტკბობა მიბიძგებდა, რათა რამდენჯერმე მენახა, კიდეც გავეცნობოდი ვიდეოჩანაწერებს და კვლავაც ვისიამოვნო ამ მართლაც გრანდიოზული და უკვდავი სპექტაკლით, რომელიც დიდი რეჟისორის ხელწერას მიეკუთვნება და მე ვამაყობ ბატონ რობერტ სტურუას ფენომენალური ნიჭით, — გულახდილია თეატრისა და კინოს ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი გოგა აბულაძე. კმაყოფილებას ვერ ფარავენ ამავე ფაკულტეტის პირველკურსელები:

— „კავკასიურზე" თურმე დადიოდა ლეგენდები, წაკითხული და ბევრი რამ გაგონილიც გვქონდა, მაგრამ არა ნანახი. მოუთმენლად ველოდით სპექტაკლს, რათა დავრწმუნებულიყავით იმ სიდიადეში, რასაც მშობლები გადმოგვცემდნენ. როცა სპექტაკლის შემდეგ მაყურებელს უკიდურესი აღფრთოვანების და სიხარულის გამო ცრემლები მოადგება თვალზე, ამაზე დიდი ბედნიერება რეჟისორისა და მსახიობისათვის არ არსებობს. ჩვენ, მართლაც, მოვიხიბლეთ მსახიობთა უნიკალური ანსამბლით, შესრულების ოსტატობით. განცვიფრებულნი ვართ რამაზ ჩხიკვაძის უდიდესი არტისტულობით, სცენური თავისუფლებით, შესრულების უბრალო მანერით, სრულყოფილი პროფესიონალიზმით.

სპექტაკლი იმდენად ეხმიანება დღევანდელ ყოფას, რომ ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება სცენაზე. გარდა ამისა, ვრწმუნდებით, რომ არსებობს ნათელი სხივი გადარჩენისა, არსებობს იმედი და ეს მომავლის ოპტიმისტური თემა რობერტ სტურუას ყველა სპექტაკლში ჩნდება. შთამბეჭდავია წამყვანის სიტყვები და მართლაც, ჭეშმარიტად ასეა — სიკეთე, რომელიც დედამიწაზე არსებობს, უნდა იბრძოდეს იმისათვის, რომ სიკეთე, სიკეთე, სიკეთე დათესოს.

...„ბრეჰტის თეატრის არსებითი ტენდენციები ყველაზე სრულად რეჟისორმა რამაზ ჩხიკვაძის აზდაკში გახსნა... რამაზ ჩხიკვაძე აზდაკის ენით, სიმართლის ღრმა წვდომით, უზუსტესი პლასტიკით, ქმედითი ანალიზის ლოგიკურობით, ყოფის უხეში დეტალების გულმოდგინე დამუშავებით, ნაბახუსევი განწყობის ხაზგასმით, ყოველგვარი ექსტაზისა და ეპითეტის გარეშე ასრულებს მოსამართლის მოვალეობას... ამ ქმნილებაში გამოიხატა პიროვნების თვითშემეცნებისა და თვითგანსახიერების ის შემოქმედებითი პათოსი, დიდოსტატი აქტიორის სახელი რომ მოუხვეჭა რამაზ ჩხიკვაძეს და ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, საიდანაც ძირს — უკვე განვლილი გზისკენ, არ ეშვებიან".

...ეს ციტატა თეატრმცოდნე დალი მუმლაძეს ეკუთვნის.

...და მართლაც, ბრეჰტის აზდაკი იმდენად სამართლიანია, რამდენადაც უსამართლოა ყოფა; იმდენად კანონის დამცველია, რამდენადაც ემორჩილება თავად... და წამყვანიც ზუსტად შენიშნავს: „კანონს არღვევდა, როგორც ძველ ღობეს, ხალხს არხეინად რომ ებალახა". „ებალახა" სწორედ უბრალო, საწყალ და დაუცველ ხალხს...

...სცენაზეა წამყვანი, სახალხო მომღერალი, მთხრობელი და უბრალო მეთვალყურე.

...„მსახიობში არსებობს როლის მახსოვრობა, ასე უცებ არ ქრება ქვეცნობიერებიდან და აზროვნებიდან განწყობისა და ხედვის მახსოვრობა თავისთავად შემორჩენილია. იმ გმირს, რომელიც მაყურებელს ახსოვს, პატივი უნდა სცე, თვით კოსტიუმსაც უნდა მოუარო, შეინახო და არ დაამახინჯო და მოისროლო ნახმარი ნივთივით. შეიძლება ახლა უფრო საინტერესო გახდა ეს სპექტაკლი თავისი აქტუალურობით, რადგანაც ის მოვლენები, რაზეც ნაკლებად გვიფიქრია, ახლა უფრო ხაზგასმით გამოიკვეთა. რეჟისორული ჩანაფიქრი რამდენადაც კარგად ისმის წლების მანძილზე, იმდენად არ მოკვდება და დარჩება. ესაა შემოქმედებითი სიცოცხლე. ხომ გახსოვთ, როგორი იყო წამყვანის პლასტიკა, ინტონაციური მახვილი, ხასიათი, რეაქცია. ვისაც ახსოვს, ახლა მას სხვანაირი გმირი სჭირდება, თუმცა, ამაშიც არის რაღაც ნოსტალგიური, რომლის შენარჩუნებით საკუთარ თავსაც დაეხმარები და მაყურებელსაც. საერთოდ, დროის შეგრძნებასა და ნიშანს დიდი მნიშვნელობა აქვს. რად არის „კავკასიური" კონგენიალური? რადგანაც აქ საოცარი თანხლებაა რეჟისურის, მხატვრობის, მუსიკის და ამ გენიალურობაშია შენი გმირიც და კოსტიუმიც. ესაა შემოქმედებითი სიცოცხლე". — ვკითხულობთ ჟანრი ლოლაშვილის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

...და მაინც, რად არის „კავკასიური" კონგენიალური მაყურებელთა აღქმით?

— დადგმის საიდუმლო, უწინარესად, იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის მარადიული სპექტაკლი, რომლის სცენაზე არსებობა არაჩვეულებრივი მსახიობების ანსამბლის გარეშე შეუძლებელია. „კავკასიური" რამდენჯერმე მაქვს ნანახი და ყოველთვის ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს პირველად ვუყურებ და ვრწმუნდები ქართული გენის სიძლიერეში. სპექტაკლი, კარგი წიგნისა არ იყოს, რამდენჯერმე გადაკითხვას მოითხოვს, რათა ყოველივე ღირსეულად შეიცნო და გაითავისო. ვფიქრობ, რომ ბრეჰტი კიდევ დარჩება სცენაზე, რადგანაც აქ წამოჭრილი ზოგადსაკაცობრიო პრობლემებით პიესა არამარტო დღევანდელ ყოფას, არამედ მომავალ დროსაც უპასუხებს. თავად განსაჯეთ, რამდენი გრუშე ვაჩნაძის მსგავსი და რამდენი ნათელასნაირი დედები არსებობენ და მოიძებნებიან ჩვენში. განა ყველა დედა დედობის ღირსია? ყველა დედა მზრუნველი და გულშემატკივარი მშობელია? თუმცა, სპექტაკლის ნათელი სხივი აზდაკის გამოჩენით და მისი სამართლიანობით ჩანს. და, მე ვინატრებდი, რომ ასეთი სრულფასოვანი გამარჯვება მუდამ ზეიმობდეს ჩვენს ირგვლივ, — აღნიშნავს ისტორიკოსი ზაირა გერგენავა.

— დღეს პირველად ვნახე „კავკასიური" და ძალიან მომეწონა, მიმაჩნია, რომ პიესის ინსცენირება ძალიან მხიარულად და იუმორისტულად არის გადმოცემული და გადაწყვეტილი, თუმცა, ძალიან კრიტიკულად. ეს ძალიან ცოცხალი და ენერგიული სურათია, ამავე დროს სრულყოფილი სახეა ჩვენი ცხოვრებისა, სადაც აშკარად აირეკლება სიკეთისა და ბოროტების თანხვედრი თემები, მატერიალური ძლიერებისა და უძლურების შეპირისპირება, სიყვარული და ერთგულება, დედობრივი მზრუნველობა და ფარისევლობა. ვფიქრობ, რომ ეპოქა იცვლება, რიგითი და ყოფითი პრობლემები კი იგივე რჩება, განსაკუთრებით ახლა, როცა ყოველივე უხამსობა, სამწუხაროდ, გაუარესებულია და ამ მხრივ საუკეთესო მიგნებაა რეალობის ასახვისა, — შთაბეჭდილებას გვიზიარებს გერმანელი სტუმარი, ექიმი ეკარდ ფონლაუე.

მზეხა მახარაძე.

სურათებზე: სცენები სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე".

ჯაბარ ლომაძის ფოტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

SOS!

საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციაში შემოსული ინფორმაციით, მასმედიაში გაშუქებული მასალებით და ჩატარებული ექსპერტიზით ირკვევა, რომ ამ ბოლო ხანს მკვეთრად იმატა მომხმარებელთა დაუცველობის ნეგატიურმა მოვლენებმა.

საქონლის ზომა-წონაში, ფასებში მოტყუება, უვარგისი, ვადაგადაცილებული, ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციის შემოტანა და გასაღება სულ უფრო მზარდ და ორგანიზებულ ხასიათს იღებს. ეს უპირატესად ეხება როგორც უცხოეთიდან შემოზიდულ იაფფასიან, უხარისხო ნედლეულზე დამზადებულ სამამულო ნაწარმს, ასევე მზა სასურსათო და სამრეწველო საქონელს.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ პურისა და პურპროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის მტკივნეულ პრობლემას.

რატომ დაკარგა პურმა გემო?

მომხმარებელთა უფლებები საფრთხეშია

პურის დეფექტიანობა, ალურიცხაობა, წონანაკლებობა დიდ ზიანს აყენებს როგორც მომხმარებელს, ისე სახელმწიფო ბიუჯეტს. ცნობილია, რომ პურზე გაწეული დანახარჯების წილი წონადია და იგი ოჯახის ბიუჯეტის თითქმის ერთ მეექვსედს შეადგენს.

ადრე ხორბლის პური 24 საათზე მეტ ხანს ინარჩუნებდა გემოს, სურნელებას, სირბილეს. დღეს კი იგი მალევე კარგავს გემოს, ხმება, იფხვნება, ქერქი დამწვარი და დაჭმუჭნულია, გული — გამოუშრობი.

რატომ დაკარგა პურმა გემო, რა მოხდა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის ექსპერტებმა თბილისის 100 მაღაზიაში შეისწავლეს პურის რეალიზაციის მდგომარეობა. მაღაზიების ამ რაოდენობიდან ანგარიშ-ფაქტურები და სატრანსპორტო დოკუმენტები არ აღმოაჩნდა 67 პროცენტს, ხოლო შესაბამისობის სერტიფიკატი — 90 პროცენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტებიც არასრულყოფილად იყო შევსებული, მათში მითითებული არ იყო პურის წონა, ხარისხი, გამოცხობის დრო და სხვა მახასიათებლები. პურის ქარხნები და საცხობები შეგნებულად არ აწვდიან მომხმარებელს ინფორმაციას პურის წონისა და ფასის შესახებ. არადა, პურის მწარმოებელიც და გამყიდველიც მოვალენი არიან დროულად მიაწოდონ მომხმარებელს აუცილებელი და უტყუარი ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რომელიც მოიცავს სტანდარტის დასახელებას, საქონლის სამომხმარებლო თვისებების ნუსხას, საკვები პროდუქტების შემადგენლობას, წონას, მოცულობას, კალორიულობას, ფასს, შეძენის პირობებსა და სხვა მახასიათებლებს.

იმ მწარმოებლებიდან, რომლებმაც მოგვაწოდეს ინფორმაცია, დადგინდა, რომ საშუალოდ პურის წონანაკლებობა მერყეობს 12-16 პროცენტს შორის. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ყოველი 100 ტონიდან 12-16 ტონა პურის ღირებულება მცხობელთა ჯიბეში ილექება, რითაც ზარალდება როგორც მომხმარებელი, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტი.

დოკუმენტების მიხედვით არც ერთ მაღაზიაში არ აღმოჩნდა უმაღლესი ხარისხის პური, ფაქტობრივად კი იყიდება როგორც მაღალი ხარისხისა. ყველაფერი კეთდება პურის წონის 28,1 პროცენტით შემცირების ხარჯზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი ასეთი მაქინაციის წყალობით პურში ამდენივე პროცენტით მეტს იხდის.

როგორც ირკვევა, წონანაკლული პურის რეალიზაციას ეწევიან სს №4 პურის ქარხანა (15,6 პროცენტი), №8 „თემქა პური“ (15,7 პროცენტი), შპს „დედასპური“ (13,2 პროცენტი), შპს „კვერი“ (20,7 პროცენტი), შპს „მესამე“ (13 პროცენტი), შპს „თბილისი“ (13,2 პროცენტი). დასახელებულ პურის მცხობელთა უმეტესობის მიერ სარეალიზაციოდ გატანილ პროდუქტს არ ახლდა ანგარიშ-ფაქტურები, სატრანსპორტო ზედნადებები, შესაბამისობის სერტიფიკატები.

პური რომ უხარისხოა, წონანაკლული და ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნებს, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ძირითადი კი ის არის, რომ ბობოლა ბიზნესმენებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და ხელთ იგდეს უცხოეთიდან ხორბლისა და ფქვილის იმპორტის მონოპოლია. ზემოგების მიღების მიზნით ისინი დაბალი ფასებით იძენენ მდარე ხარისხის, ზოგჯერ ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო ხორბალსა და ფქვილს. როგორც უშუალოდ პურის მწარმოებელთა სპეციალისტებისა და ამ დარგში დასაქმებულთა განცხადებებიდან ირკვევა, პურის ცხობაში გავრცელდა ფქვილში დანამატების ე. წ. „გაუმჯობესებლის“ ხმარების მავნე, დასაგმობი პრაქტიკა და სხვა ნეგატიური მოვლენები.

მოვუსმინოთ ზოგიერთ მათგანს:

პურის მრეწველობის კავშირის თავმჯდომარის, სს „თბილისური საფუარის“ დირექტორის ვიტალი კვინიხიძის აზრით **„ჩვენი მეწარმე ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის წყალობით მუდმივად რაღაცას იპარავს: მაგალითად, ელექტროენერგიას და გაზს, ამასთან მოიხმარს სადღაც იაფად ნაშოვნ კონტრაბანდულ საფუარსა და ფქვილს... საქმე ის არის, რომ საქართველოში არსებულ კორუფციულ გარემოში ყველა გასვრილია, ყველა ყველაფერს იპარავს, რის შედეგადაც პურის მრეწველობის 85-87 პროცენტი სულ „შავია“...** საქართველოში „კრიზისია“ ყველაფრის თავი, ბოლო და საფუძველი და აღარც ღირსება ახსოვს ვინმეს (გაზეთი „ახალი თაობა“, №205, 2002 წელი, 28 ივლისი).

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის წევრის, სს №4 პურის ქარხნის დირექტორის მალხაზ დოლიძის განმარტებით **„კონტრაბანდამ და დაუბეგრაობამ წალეკა ლეგალური ბიზნესი... პურის ცხობაში ისეთ კურიოზებს შევხვდებით, ისე ხმარობენ ათასნაირ ემულგატორებსა და ნივთიერებებს, რომ მხოლოდ გაუთვითცნობიერებელი მეწარმე აკეთებს ამას... ამ თვითღირებულების პირობებში კუსტარულ ღუმელებში დახარჯული ენერგიის საკმაოდ სოლიდური ოდენობის თვითღირებულების გათვალისწინებით უბრალოდ ვერ იმუშავებენ... ასეთი განუკითხაობის გამო პურპროდუქტების სფეროში გაიზარდა მოთხოვნილება კონტრაბანდულ ფქვილზე, გაღრმავდა არალეგალური ბიზნესი“** (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №200, 18 აგვისტო, 2002 წელი).

პურის ბიზნესით დაკავებული მცირე მეწარმეების პოზიცია ასეთია: **„პურის კერძო საცხობებში ხარისხიან პურს აცხობენ და ქარხნის პურთან შედარებით, წონითაც მეტს იწონის. რაც შეეხება ქარხნის პურს, წონითაც ნაკლებია, ხარისხითაც, ამიტომ კერძო კონკურენტებს თუ ჩამოიშორებენ, გასაღდება და მოგებაც მეტი ექნებათ. ესე იგი, რაც აქვთ, ყელში ამოსდით და ჩვენისთანა გაჭირვებული ხალხის ხარჯზე კიდევ უფრო გამდიდრებას ცდილობენ“** (გაზეთი „ხვალინდელი დღე“, №71, 24-25 აგვისტო, 2002 წელი).

ანალოგიურ, უფრო მწვავე აზრს გამოთქვამდა პარლამენტის სხდომაზე (მ. წ. 13 სექტემბერს) პურპროდუქტების სისტემაში შემოზიდულ კონტრაბანდულ ფქვილსა და პურის ცხობაში არსებულ განუკითხაობაზე პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე ერთ-ერთ წერილში (გაზეთი „კვირის პალიტრა“, №38,23-29 სექტემბერი, 2002 წ.) კერძოდ, იგი აღნიშნავდა: **„ქვეყანაში ჭარბად არსებული კონტრაბანდული საქონელი, მაკონტროლებელი ორგანოების სიმრავლე და მოუწესრიგებელი გარევაჭრობა შეუძლებელს ხდის ალურიცხავ სექტორში მოქცეული საცალო ვაჭრობის ბრუნვის 80 პროცენტის ლეგალიზებას, რაც გამანადგურებელ დარტყმას აყენებს საქართველოს ბიუჯეტს“.**

ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ იგი ანალოგიურ, გამანადგურებელ დარტყმას აყენებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, მომხმარებელს.

საქართველოს პრეზიდენტი თავის გამოსვლებში არაერთხელ შეეხო კონტრაბანდული ფქვილის მოზღვავების პრობლემას და მისი კონტროლის დაბალ ეფექტიანობას, რასაც მან ქვეყნის ღალატი უწოდა. ამის მიუხედავად, საქმის გამოსწორებას საშველი არა და არ დაადგა.

გარემოებათა ანალიზითა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით დადგენილია, რომ ერთ სულზე დღეში ხორბლის პურის მოხმარება საქართველოში 1985 წელს შეადგენდა 362,4 გრამს, 2001 წელს — 193 გრამს, ხოლო პურპროდუქტებისა, შესაბამისად — 479,7 და 356,7 გრამს. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ დასახელებულ წლებში პურისა და პურპროდუქტების მოხმარება შემცირდა 47,5 და 25,6 პროცენტით, რასაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ მოცემულ პერიოდში კვების პროდუქტების მოხმარება საქართველოში შემცირდა: ბოსტნეულზე — 40,5 პროცენტით, ხილსა და ყურძენზე — 33,3, შაქარზე, საკონდიტრო ნაწარმსა და ხილის კონსერვებზე — 20, საქონლისა და ხბოს ხორცზე — 50, ცხვრისა და ბატკნის ხორცზე — 54,5, ღორის ხორცზე — 68,9, ფრინველის ხორცზე — 39,5, ძეხვეულსა და შებოლილ ხორცზე — 69 პროცენტით.

როგორ ფიქრობთ, ასეთ პირობებში შეიძლებოდა, რომ პურსა და პურპრდუქტებზე მოთხოვნა შემცირებულიყო? რა თქმა უნდა არა. პირიქით, იგი უნდა გაზრდილიყო და ფაქტობრივად გაიზარდა კიდეც, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილით დაიხოცებოდა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებით და გამოკვლევებით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ყოველი გამომცხვარი 100 პურიდან 80-85 ალურიცხავია და მალულად იყიდება, რაც ასეულ მილიონობით ზარალს აყენებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ის ფაქტობრივად პურის მწარმოებელთა და რეალიზატორთა ჯიბეში მიედინება.

ვფიქრობთ, კითხვაზე თუ რატომ დაკარგა პურმა გემო და ხარისხი, ამომწურავი პასუხი თვით პურის ბიზნესით დაკავებულმა ავტორიტეტებმა გასცეს.

დასკვნა ერთია: როგორც პურის მცხობელი მსხვილი ქარხნები, ისე პურის ბიზნესით დაკავებული მცირე მეწარმეები სისტემატურად იყენებენ კონტრაბანდულ, ალურიცხავ უხარისხო ფქვილს, რაც მათ საშუალებას აძლევს სურვილისამებრ არეგულირონ პროდუქციის წონა, ფასი, ხარისხი და სხვა.

ბუნებრივია, ალურიცხავი პროდუქციის ასეთი მასშტაბები უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ფულად-საკრედიტო და საფინანსო მდგომარეობაზე, ლარის კურსის სტაბილურობაზე, ვინაიდან ამ გზით მიღებული ფულადი შემოსავლების უდიდესი ნაწილი (თუ მთლიანად არა) ბანკებს გარეთ მიმოიქცევა.

პრობლემის მოგვარების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია, აღიკვეთოს დაბინძურებული სატრანსპორტო საშუალებებიდან ქუჩა-ქუჩა პურის უკონტროლო ვაჭრობა, მოწესრიგდეს ან დაიხუროს ყველა ის საწარმო და საცხობი, სადაც არ არსებობს ნორმალური პირობები პურის ცხობისა და ვაჭრობისათვის, აიკრძალოს პურის ცხობა, გადაზიდვა და რეალიზაცია კანონით დაწესებული საბუღალტრო დოკუმენტების, სასაქონლო სატრანსპორტო ზედნადებების, შესაბამისობის სერტიფიკატებისა და სხვა დოკუმენტების გარეშე.

აუცილებელია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების, ადმინისტრაციულ-სამართალდამცავი ორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ერთიანი ძალისხმევა, რათა აღმოიფხვრას მომხმარებელთა ინტერესების შელახვისა და აბუჩად აგდების ფაქტები.

საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია ამიერიდან საზოგადოების სამსჯავროზე სისტემატურად გამოიტანს მომხმარებელთა მოტყუების, მათი უფლებების დარღვევის ფაქტებს. ყველას ვთხოვთ, შემოგვიერთდეს ამ სასიკეთო საქმის კეთებაში. ჩვენი ტელეფონია 38-86-97.

„როცა საზოგადოებას მართალი სასწორ-საზომი არ უჭირავს ხელში და, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სრულიადაც არ მოეპოვება ისინი, რა თქმა უნდა იმისთანა საზოგადოებისაგან ფულისა და გულის მოგება ადვილია: გირვანქა შეგიძლიან ატგირვანქიანად ამუშაო, გოჯი — ადლად“.

ვაჟა-ფშაველა.

ლევან ბაღდავაძე,
საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი;

რევაზ ავალიანი,
ამავე ასოციაციის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი.

თარიღი

ეს იყო 40 წლის წინათ!

1961 წელს იუგოსლავიის ქალაქ ვერნიაჩკა-ბანიაში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი გაიმართა. 20 წლის ნონა გაფრინდაშვილმა ყველას აჯობა და მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისთვის 1962 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ელისაბედ ბიკოვას შეხვდა. ქართველმა მოჭადრაკემ 7 პარტია მოიგო, ოთხი — ყაიმით დაამთავრა და დაამარცხა მეტოქე 9:2. ზუსტად 40 წლის წინათ, 1962 წლის 18 ოქტომბერს მოსკოვის პოლიგრაფისტთა კულტურის სახლის სცენაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა ბორის როდიონოვმა და მატჩის მთავარმა არბიტრმა ნინა გრუშკოვა-ბელსკამ ნონა გაფრინდაშვილი დაფნის გვირგვინით შეამკეს.

ჩვენი რედაქციის სახელით ვულოცავთ ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს ამ სახელოვან თარიღს.

ავტორბოლა

„შევრონი რალი — საქართველო–2002“

დღეს, 18 ოქტომბერს, თბილისში იწყება ავტომრბოლთა ევროპის ჩემპიონატის კანდიდატი ღონისძიება — „შევრონი რალი — საქართველო-2002“ და კავკასიის თასის გათამაშება. მოასპარეზე 20 ეკიპაჟი სამი დღის განმავლობაში 548,86 კილომეტრს გაივლის, მათ შორის — 208,56 კმ სიგრძის სპეცმონაკვეთებს.

პირველი წრის ორთაბრძოლები დღეს 15 საათიდან რუსთავის ავტოდრომზე გაიმართება. ხვალ 8 საათიდან მრბოლები ერთმანეთს შეეჯიბრებიან სამადლო-შინდისი-ტაბახმელის, ტაბახმელა-კოჯრის, კოჯორი-წყნეთის, ზაჰესი-ჯვრის მონასტერი-მცხეთის, მცხეთა-ზაჰესის გზის მონაკვეთებზე. კვირას მესამე წრის მარშრუტები ასეთია: ბაგები-წყნეთი, წყნეთი-კოჯორი, კოჯორი-ტაბახმელა, შინდისი-სამადლო. რალის მონაწილეებს ფინიში 14 საათზე „ექსპო-ჯორჯიასთან“ ექნებათ.

გუშინ „ექსპო-ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში ავტორბოლასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა. მონაწილეობდნენ საქართველოს საავტომობილო ფედერაციის გენერალური მდივანი შალვა ოგბაიძე, პრესცენტრის ხელმძღვანელი თემურ ბაკურაძე, შეჯიბრების დირექტორი ბულგარელი ალექსანდრ ბოშნიაკოვი და მთავარი მსაჯი მამუკა მიქიაშვილი, რომლებმაც მასმედიის წარმომადგენელთა შეკითხვებს უპასუხეს.

— შარშანდელთან შედარებით წლევანდელი შეჯიბრებისთვის მასპინძლები ბევრად უკეთ მოემზადნენ, — თქვა ბულგარელმა სტუმარმა. — რაშიც გზების ტექნიკურმა დათვალიერებამაც დაგვარწმუნა. მჯერა, რომ სულ მალე საქართველო კავკასიის რეგიონისთვის ავტორალის ცენტრი გახდება...

რაც შეეხებათ შეჯიბრების მონაწილეებს, მათ გუშინ „რუსთავი რინგზე“ ოფიციალური ვარჯიში გამართეს და მზად არიან საასპარეზოდ.

ლეძსო ცინცაძე.

ფეხბურთი

როცა ვისვენებდით...

„ევრო-2004“-ის შესარჩევი ციკლის მორიგმა რაუნდმა, კალენდრის გამო, უქართველებოდ ჩაიარა, თუმცა ამით ჩვენი ინტერესი აღნიშნული ტურნირისადმი ოდნავადაც არ განელებულა. გაუწყებთ ოთხშაბათის ბატალიების სრულ შედეგებს:

I ჯგუფი. მალტა — საფრანგეთი 0:4, ისრაელი — კვიპროსი (გადაიდო 20 ნოემბრისთვის).

საფრანგეთი — 9, ისრაელი, სლოვენია — 3-3, კვიპროსი, მალტა — 0-0 ქულა.

29 მარტს ითამაშებენ კვიპროსი — ისრაელი, საფრანგეთი — მალტა.

II ჯგუფი. ნორვეგია — ბოსნია 2:0, ლუქსემბურგი — რუმინეთი 0:7.

ნორვეგია — 7, რუმინეთი — 6, დანია — 4, ბოსნია, ლუქსემბურგი — 0-0 ქულა.

29 მარტს ითამაშებენ რუმინეთი — დანია, ბოსნია — ლუქსემბურგი.

III ჯგუფი. ავსტრია — ჰოლანდია 0:3, ჩეხეთი — ბელორუსია 2:0.

ჰოლანდია, ჩეხეთი, ავსტრა — 6-6, მოლდავეთი, ბელორუსია — 0-0 ქულა.

29 მარტს ითამაშებენ ჰოლანდია-ჩეხეთი, ბელორუსია — მოლდავეთი.

IV ჯგუფი. უნგრეთი — სან-მარინო 3:0.

უნგრეთი, ლატვია — 4-4, პოლონეთი — 3, შვედეთი — 2, სან-მარინო — 0 ქულა.

20 ნოემბერს ითამაშებენ სან-მარინო — ლატვია.

V ჯგუფი. გერმანია — ფარერები 2:1, ისლანდია — ლიტვა 3:0.

გერმანია — 6, შოტლანდია — 4, ისლანდია, ლიტვა — 3-3, ფარერები — 1 ქულა.

29 მარტს ითამაშებენ გერმანია — ლიტვა, შოტლანდია — ისლანდია.

VI ჯგუფი. საბერძნეთი — სომხეთი 2:0, ჩრდ. ირლანდია — უკრაინა 0:0.

ესპანეთი — 6, უკრაინა — 5, საბერძნეთი — 3, სომხეთი, ჩრდ. ირლანდია — 1-1 ქულა.

29 მარტს ითამაშებენ უკრაინა — ესპანეთი, სომხეთი — ჩრდ. ირლანდია.

VII ჯგუფი. ინგლისი — მაკედონია 2:2 (!),
თურქეთი — ლიხტენშტეინი 5:0.

თურქეთი — 9, ინგლისი — 4, მაკედონია — 2, ლიხტენშტეინი — 1, სლოვაკეთი — 0 ქულა.

29 მარტს ითამაშებენ ლიხტენშტეინი — ინგლისი, მაკედონია — სლოვაკეთი.

VIII ჯგუფი. ბულგარეთი — ანდორა 2:1,
ესტონეთი — ბელგია 0:1.

ბულგარეთი — 9, ბელგია — 6, ესტონეთი, ხორვატეთი — 1-1, ანდორა — 0 ქულა.

29 მარტს ითამაშებენ ხორვატეთი — ბელგია.

IX ჯგუფი. უელსი — იტალია 2:1 (!) იუგოსლავია — ფინეთი 2:0.

უელსი — 6, იუგოსლავია, იტალია — 4-4, ფინეთი — 3, აზერბაიჯანი — 0 ქულა.

20 ნოემბერს ითამაშებენ აზერბაიჯანი — უელსი.

X ჯგუფი. რუსეთი — ალბანეთი 4:1, ირლანდია — შვეიცარია 1:2.

შვეიცარია — 7, რუსეთი — 6, ალბანეთი — 1, ირლანდია, საქართველო — 0-0 ქულა.

29 მარტს ითამაშებენ საქართველო-ირლანდია, ალბანეთი — რუსეთი.

პრობლემა

„ლაგუნა ვერეს“ ვიღაცეები უტევენ

იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა რესტორანი „არაგვია“, ნახევარი საუკუნის წინათ ფიზკულტურელთა პარკი იყო 3 საცურაო აუზით, ტანვარჯიშისა და ძალოსნობის დარბაზებით. უამრავი სახელოვანი სპორტსმენი გაიზარდა იქ, მათ შორის — ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები.

სანაპიროს რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, პარკი მოიშალა, დარბაზები დაინგრა. სამაგიეროდ, მახლობლად აშენდა საწყლოსნო სახეობათა სპორტული კომპლექსი, რომელსაც ცამეტ ოქტომბერს 24 წელი შეუსრულდა.

გვესაუბრება სააქციო საზოგადოება „ლაგუნა ვერეს“ დირექტორი, საქართველოს წყალჯომარდობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი:

— მაშინდელი „კუპალნიას“ დანგრევის შემდეგ საცურაო კომპლექსის ასაშენებლად მდინარე ვერეს სანაპირო შეირჩა, რომელიც ნაწილობრივ დაჭაობებულიც იყო. აქაურობა გაწმინდეს ხუხულებისაგან და ორმოცდაათიანი წლების მიწურულს, პროექტის შესაბამისად, საცურაო კომპლექსის მშენებლობა დაიწყეს. სწორედ მაშინ საბჭოთა კავშირის პარტიულმა ხელმძღვანელობამ მთელ საბჭოეთში აკრძალა მსხვილი ობიექტების მშენებლობა და ჩვენი აუზიც დაკონსერვდა. კიდევ კარგი, რომ მოესწრო ვაკის დახურული საცურაო აუზის საექსპლუატაციოდ გადაცემა. იგი ყოველმხრივ აკმაყოფილებდა მაშინდელ მოთხოვნებს. დირექტორად ირაკლი მეტრეველი მუშაობდა, ცნობილი ჩოგბურთელის — ალექსანდრე მეტრეველის მამა; მე სასწავლო ნაწილის გამგე ვიყავი. ყველაფერი საათივით გვქონდა აწყობილი.

— „ლაგურა ვერეს“ მშენებლობას როდის დაუბრუნდით?

— 1976 წელს, სამეურნეო აქტივის კრებაზე, მაშინდელი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ედუარდ შევარდნაძემ წამოჭრა ეს საკითხი — ახალგაზრდებს საცურაო აუზი არა აქვთო. უმალ დაფაცურდნენ სხვადასხვა უწყების მესვეურნი, შეამოწმეს დაკონსერვებული საძირკველი და იმავე წლის აპრილში სამუშაოებიც განახლდა. ყველაფერს თენგიზ მენთეშაშვილი — ქალაქკომის პირველი მდივანი ხელმძღვანელობდა. სპორტკომიტეტის თავმჯდომარის — დავით პერტენავას ინიციატივით, მეც ამ ობიექტზე გადმომიყვანეს და დღემდე შემოვრჩი აქაურობას. ორწლიანი მუხლჩაუხრელი გარჯის შემდეგ საცურაო კომპლექსი, რომლის პროექტიც შოთა ყავლაშვილს ეკუთვნის, 1978 წლის 13 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა. თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ და „ლაგუნა ვერემ“ ბევრი სიკეთე მოუტანა როგორც დედაქალაქის მოსახლეობას, ისე ქვეყანას.

უპირველესად, რა თქმა უნდა, ბავშვებისთვის ცურვის შესწავლა და მათი გაჯანსაღება დავისახეთ მიზნად. აუზის არსებობის განმავლობაში აქ 150 ათასზე მეტმა მოზარდმა ისწავლა ცურვა. რიგები იდგა ჯგუფებში გამოთავისუფლებულ ადგილებზე მოსახვედრად. ცხადია, დიდ სურვილთან ერთად, ამას ისიც განაპირობებდა, რომ აბონემენტების ფასი იყო ხელმისაწვდომი, რადგან მომსახურება იაფი ჯდებოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მოსახლეობის გაჯანსაღებას. სტატისტიკურ მონაცემებს თუ ვენდობით, 24 წლის განმავლობაში „ლაგუნა ვერე“ 10 მილიონამდე ადამიანს მოემსახურა.

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება გახლდათ დიდ სპორტზე ზრუნვაც. სტაჟიან გულშემატკივრებს ახსოვთ, რომ თბილისის საცურაო კომპლექსი საკავშირო სპორტკომიტეტის მიერ შერჩეულ იმ სპორტულ ნაგებობათა ნუსხაში შედიოდა, სადაც ოლიმპიური ნაკრები გუნდები გადიოდნენ წვრთნას. საგულისხმოა ისიც, რომ 12 წლის განმავლობაში აქ იმართებოდა წყალბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირები საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრიზზე. გრანდები გამოდიოდნენ ამ შეჯიბრებებზე: კერძოდ, უნგრელები, იუგოსლავები, ამერიკელები, ავსტრალიელები. აქ გადადგეს პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები ესპანელებმა, რომლებმაც 1992 წელს ბარსელონაში ჩემპიონობა მოიპოვეს. არადა, მათ საქართველოს ნაკრები უგებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის წყალში მხტომელთა გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი თბილისში გაიმართა.

ერთიც მინდა დავძინო: აქ დაფრთიანებული სინქრონულად მოცურავე ხრისტინა ფალასანიდი საბერძნეთის სახელით ათენში მესამედ აპირებს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას.

— ბატონო ვლადიმერ, რამდენადაც ვიცი, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩვენს დედაქალაქში დატრიალებულმა ტრაგედიამაც ვერ შეუშალა ხელი „ლაგუნა ვერეს“ მუშაობას.

— იმ მძიმე დღეებში არც ერთ ჩვენს თანამშრომელს არ მიუტოვებია აუზი ბედის ანაბარა, რისთვისაც ყველას კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. მათ სწამდათ, რომ აუზი ხალხის საკუთრებაა და მომავალშიც ერს უნდა ემსახუროს. ერთი ეპიზოდიც მსურს გავიხსენო: 1992 წლის 2 იანვარს, თბილისში სროლის ხმა რომ მიწყნარდა, 9 საათზე მივედი სამსახურში. მითხრეს, სამი ბიჭი მოვიდაო სავარჯიშოდ. მოცურავეები იყვნენ — ცხრა-თორმეტი წლისანი, დოლიძის ქუჩიდან, ვაკიდან და „პლეხანოვიდან“. გასაგებია, მათ უყვარდათ ცურვა. დღესაც ასეა. სამწუხაროდ, ხალხს უსახსრობა უშლის ხელს. აბა, თოთხმეტლარიანი პენსიონერი როგორ ივლის აუზში. არადა, უწინ საკმაოდ ბევრი პენსიონერი იძენდა აბონემენტებს.

— ხომ არ მოხდება ისე, რომ ის მოზარდები, რომლებიც, ასე თუ ისე, ახერხებენ დღეს ვარჯიშს, ხვალ ქუჩაში აღმოჩნდებიან?

— არც ეს არის გამორიცხული. ძალიან გაძვირდა გაზი, ელექტროენერგია, წყალი. აუზი ხარჯებს ვერ აუდის, თუ ვინმე არ შეგვეშველა, შეიძლება, „ლაგუნა ვერე“ ზამთრობით დაიხუროს კიდეც.

სამწუხაროდ, მოსალოდნელ შედეგებზე არავინ ფიქრობს. ჩვენთან 100 კაცი მუშაობს. აუზის გაჩერების შემთხვევაში, სხვა რომ არაფერი, 100 ოჯახს ვტოვებთ ულუკმაპუროდ. 800-მდე ბავშვი ვარჯიშობს, ისინი ხომ ქუჩაში აღმოჩნდებიან, თანაც, სამასამდე მოზარდი პერსპექტიულ სპორტსმენად გვესახება. ავიღოთ, თუნდაც, წყალბურთელები, რომლებმაც სხვადასხვა ასაკში რამდენჯერმე მოიპოვეს რუსეთის ჩემპიონობა. წყალმხტომელები ავსტრიის, გერმანიის თუ საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირებიდან მედლებით ბრუნდებიან.

ჩვენ ყოველთვის გვყავდა თითო-ოროლა ძლიერი წყალში მხტომელი, ისეთები, როგორებიც იყვნენ ევროპის ორგზის ჩემპიონი გიორგი ჩოგოვაძე, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ლიანა ცოტაძე თუ სხვები, მაგრამ ამდენი პერსპექტიული სპორტსმენი ერთად, რამდენიც დღეს გვეზრდება, არასდროს გვყოლია. მათ კი ნორმალური ვარჯიშის საშუალება არა აქვთ. უსახსრობის გამო სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა წლეულს ერთი თეთრიც ვერ გამოუყო წყალჯომარდობის ფედერაციას. შეღავათსაც არავინ გვიწევს. მარტო შარშან ჩვენი ობიექტიდან 248 ათასი ლარი შევიდა ბიუჯეტში. თანაც ბავშვებს, სამხედროებს, დევნილებს, ავადმყოფებს ვემსახურებით. ერთადერთი, ვინც გვეხმარება, ეს არის ქალაქის მერია, რომელიც საწყლოსნო სახეობათა სპორტსკოლის ბავშვების მომსახურების მხოლოდ ნაწილს იხდის. დანარჩენ ხარჯებს „ლაგუნა ვერეს“ კოლექტივი ფარავს. არადა, ეს სააქციო საზოგადოებაა და სულაც არ არის ვალდებული მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სპორტზე იფიქროს. ის მხოლოდ მოგებით უნდა იყოს დაინტერესებული.

— ალბათ, ამიტომაც გედავებათ თქვენი ორი აქციონერი...

— უკვე პარლამენტშიც წამოიჭრა ეს საკითხი. სამი წელიწადია, სასამართლოში გვეჩივის ორი პიროვნება — ერთ-ერთი ქარხნის დირექტორი ბადრი წილოსანი და საგადასახადო სისტემაში მომუშავე, ჩემთვის უცნობი ვინმე გურგენიძე. არ ვიცი, რა გზებით და საშუალებებით აღმოჩნდა მათ ხელში, შესაბამისად, აქციების 15 და 17 პროცენტი. ისინი აცხადებენ: ჩვენ არ ვიცით მოსახლეობის გაჯანსაღება და სპორტი, დივიდენდები გვინდაო. ვერ გამიგია, რა გასცეს და რას ითხოვენ.

— ასეა, ფული ძალიან ბევრს აინტერესებს.

— მე კი მგონია, მათ უფრო აქაურობის ხელში ჩაგდება სურთ. როგორც მთელ ქვეყანაში გააანიავეს სპორტული ობიექტების უმეტესობა, „ლაგუნა ვერესაც“ ბოლოს მოუღებენ და მერე ამ ტერიტორიის გაყიდვით დიდ შემოსავალსაც მიითვლიან. მართალი გითხრათ, დაუცველად ვგრძნობთ თავს, მაგრამ იმედი ჯერ არ გადაგვიწურავს. ეს კომპლექსი არც გოიაშვილისაა და არც წილოსანის. იგი ხალხის საკუთრებაა და, არა მგონია, ქვეყნის პრეზიდენტმა, ვისი ინიციატივითაც აშენდა ეს უნიკალური ნაგებობა 24 წლის წინათ, ვინმეს მისი გაპარტახება-განიავების საშუალება მისცეს. ქალაქის მუნიციპალიტეტის იმედიც გვაქვს. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში სწორედ ისინი ზრუნავენ მოსახლეობის გაჯანსაღებასა და სოციალურ დაცვაზე. ეს ორმაგად აუცილებელია საქართველოში, სადაც მოსახლეობას ეკონომიკურად ძალიან უჭირს. კეთილ ადამიანებსაც რა დალევს ჩვენში. ალბათ, ისინიც დაუდგებიან გვერდით „ლაგუნა ვერეს“, რათა იგი უწინდებურად მოსახლეობის გაჯანსაღებას და დიდ სპორტს ემსახუროს...

„ლაგუნა ვერე“ — ჩვენი დედაქალაქის ყველაზე კეთილმოწყობილი საცურაო კომპლექსი, სადაც უამრავი ადამიანი დაუმეგობრდა წყალს, დაფრთიანდა მრავალი სპორტსმენი, რომლებმაც შემდგომ არაერთხელ გვასახელეს ერთობ პრესტიჟულ სპორტულ ასპარეზობებში, როგორც ვხედავთ, რეალური საფრთხის წინაშე დგას.

ძნელი წარმოსადგენია თბილისი ამ სპორტული ოაზისის, ხალხის გაჯანსაღების, ბავშვთა სპორტული წრთობის უმნიშვნელოვანესი კერის გარეშე. იმედი გვაქვს, რომ ყველა, ვისაც ხელეწიფება, წვლილს შეიტანს მის გადასარჩენად, არაფერს დაიშურებს, რათა საქართველოს შეუნარჩუნდეს „ლაგუნა ვერეს“ სპორტული კომპლექსი.

ვაჟა დანელია.

ცინცხალი ამბავი

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უელსთან განცდილი მარცხის (1:2) მიუხედავად, იგი გააგრძელებს გუნდში მუშაობას.

ყოველი მხრიდან

ჩალაძის „რუბინი“ — პრემიერ-ლიგაში

რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში ფინიშამდე სამი ტურით ადრე, 31-ე ტურში დაამარცხა რა „ნეფტეხიმიკი“ — 2:0, ყაზანის „რუბინმა“ გაინაღდა პრემიერ-ლიგის საგზური. ახლა „რუბინს“ 67 ქულა აქვს, მის უახლოეს მდევარს — „ჩერნომორეცს“ კი — 63, მესამე ადგილზე მყოფ „ტომს“ — 58 ქულა. ამ გუნდებს, იმ შემთხვევაში, თუ ყაზანელები დარჩენილ სამივე შეხვედრაში დამარცხდებიან, ლიდერის დაწევის თეორიული შანსები რჩებათ, მაგრამ „რუბინი“ მაინც წინ აღმოჩნდება გამარჯვებათა საერთო რაოდენობით.

დივიზიონის ბომბარდირებს კი კვლავ ლიდერობს „რუბინის“ მთავარი გოლეადორი, ქართველი ლეგიონერი დავით ჩალაძე, რომელმაც 24 მატჩში 16 ბურთი გაიტანა. მეორე ადგილზეა ვიაჩესლავ კამოლცევი („ჩერნომორეცი“) — 15 გოლი (აქედან 2 ბურთი — პენალტით).

რეკორდები ფეხბურთის მინდორზე

პანამის „დეპორტივო არაბე უნიდომ“ კონკაკაფის ჩემპიონთა თასის გათამაშების შესარჩევ რაუნდში გამანადგურებელი ანგარიშით — 19:0 დაამარცხა ნიკარაგუას „დეპორტივო პალაპა“. ეს არის ყველაზე დიდი გამარჯვება საერთაშორისო საკლუბო ტურნირების ისტორიაში. მეორე ტაიმის 27 წუთში 5 გოლი გაიტანა ალფრედო ბარერამ, ჰეთ-ტრიკი შეასრულეს ბლის პერესმა და ალფრედო ანდერსონმა.

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით, აქამდე რეკორდად ითვლებოდა კორეის „სუვონ ბლიუინგზის“ გამარჯვება შრილანკის „სანდერსზე“. აზიის თასების თასის გათამაშებაზე კორეელებმა 18 „მშრალი“ ბურთი გაუტანეს მეტოქეს. ევროპაში ყველაზე დიდ გამარჯვებად მიიჩნევენ 1984 წელს ჰოლანდიის „აიაქსის“ მიერ უეფას თასზე ლუქსემბურგის „რედ ბოიზ დიფერდანჟის“ დატრგუნვას — 14:0. აფრიკის რეკორდი ეკუთვნის გაბონის „მბილინგს“. მან რვა წლის წინათ გაანადგურა ჩადის „რენესანსი“ — 13:0. ოკეანიის კონფედერაციაში დიდი ანგარიშით — 0:16 ტონგოს „ლოტოპაპაი“ ორჯერ დამარცხდა ახალი ზელანდიის „სენტრულ იუნაიტედთან“ და ავსტრალიის „უოლონგონ სიტი ვულვზთან“.

თავი ციხეში ამოაყოფინეს

როგორც ფოტოსურათიდან ჩანს, პოლიციელს დანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი სტიგ ტეფტინგი სასამართლო დარბაზიდან ციხეში მიჰყავს, რათა ხულიგნობისათვის იქ 4 თვე გაატაროს.



ასეთი სასჯელი ინგლისის „ბოლტონის“ 33 წლის ფეხბურთელს დედაქალაქის რესტორანში „კეტჩუპი“ ჩხუბისთვის მიუსაჯეს.

ივნისის ბოლოს დანიელები მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებას აღნიშნავდნენ. ვიკინგების შფოთისთავი შთამომავალი, კარგად რომ გამოთვრა, რესტორნის თანამშრომლებს აუხირდა. თითქმის 100 კაცის თვალწინ ჯერ ადმინისტრატორს თავურით გაუმასპინძლდა, შემდეგ კი ავეჯის მტვრევით მზარეულს გამოეკიდა და, რასაკვირველია, ციხეში ამოჰყო თავი.

სპორტის რედაქცია

განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შპს „ლომთაგორა-1“-ს მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე:

მარნეულის რაიონში, სარადერეს თიხა-თაბაშირის საბადოს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა.წ. 3 დეკემბრამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში თბილისი, კოსტავას №68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში, თბილისი, ფალიაშვილის №87, ტ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2002 წლის 3 დეკემბერს 12 საათზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

გამოჩენილი ქართველი პოეტი იოსებ ნონეშვილი (მარცხნიდან მეექვსე) უკრაინელ მწერალთა დელეგაციასთან ერთად ქალაქ სიღნაღში. გადაღებულია 1950 წელს.
მოგვაწოდა ვლადიმერ მახარობლიშვილმა.

ღიმილის დოზა

თუ სტუმრებმა გააჭიანურეს წასვლა, საათზე ნუ დაიხედავთ, უშედეგოა. ეცადეთ, ყველას დასანახად თვალი გააპაროთ კედელზე დაკიდებული თოფისკენ.

* * *

— **ჩვენი ხიდის მშენებლობა შუა მდინარიდან რატომ დაიწყეს?**
— **იმიტომ, რომ დროზე ადრე არ გავქურდოთ.**

* * *

ნამდვილი ინტელიგენტი დედას არ შეგაგინებთ. იგი გეტყვით: „მე თქვენ მამად გერგებით".

* * *

რუსეთის პურის ყანაში მფრინავი თეფში დაჯდა.
მოირბინეს ცნობისმოყვარე ქალებმა, ძალიან აინტერესებთ, რას წარმოადგენს ეს ამოუცნობი მფრინავი ობიექტი.
ერთი ყველაზე გაბედული ქალი ადის „თეფშში" და ერთი საათის შემდეგ საოცრად კმაყოფილი ბრუნდება.
— **ქალებო, იქ ისე გემრიელად მიხმარეს....**
დადგა რიგი.
ყველა ნასიამოვნებია. ბოლოს ერთი ქალი შედის და ეკითხება უცხოპლანეტელებს:
— **თქვენთან, იქ ყველა ასე გემრიელად სიყვარულობს?**
— **ყველა, მაგრამ მფრინავი თეფში მარტო მე და გივის გვაქვს.**

უცხოეთის პრესა

ზოგჯერ ცხენიც ეცემა

მსოფლიოში კიდევ არიან ნამდვილი კოვბოები! იკითხავთ, ვინ არის ნამდვილი კოვბოი? კაცი, რომელსაც შეუძლია ერთდროულად აგრიალოს თითზე ორი დამბაჩა? რომელიც თავის ბედაურს უხელოდ და უბელოდ აჭენებს? თუ, რომელსაც შეუძლია, მთელი სოფლის ქალები მონუსხოს? ესეც არის. მაგრამ მთავარი სხვაა. კოვბოი — ეს არის კაცი, რომელიც არასდროს ჰკარგავს ნებისყოფის სიმტკიცეს და გამბედაობას.

ავსტრალიის ქალაქ ვაგა-ვაგაში ამ ათიოდ დღის წინათ კოვბოების დათვალიერება გაიმართა. ისინი მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ, რათა გაეოცებინათ მაყურებელი მხედრული ხელოვნებით. მაგალითად, მოასპარეზეთა შორის იყო ავსტრალიელი ჯიმი ბატლერი, რომელსაც განზრახული ჰქონდა, ცხენი წინა ფეხებზე დაეყენებინა (რათა უკანა მაყურებლებისათვის დაექნია). მაგრამ არ გამოუვიდა, ცხენი წაექცა და მაყურებელმა სტვენითა და კიჟინით გააცილა. მაგრამ ჯიმი ისევ მობრუნდა, ისევ მოახტა თავის ფაშატს და ათიოდ წუთის შემდეგ გაიმეორა თავისი განუმეორებელი ფოკუსი. სწორედ ეს არის კოვბოური სიჩაუქე!

ამ ცოტა ხნის წინათ ვენესუელაში დიდი დღესასწაული გაიმართა. იგი მიეძღვნა არა რომელიღაც გამორჩეულ მოვლენას, ვთქვათ, დამოუკიდებლობის დღეს, არამედ, უბრალოდ, დიდ სეირნობას — კოლეოს.

კოლეო — ვენესუელელთა ეროვნული გართობა რაღაცით წააგავს კორიდას. მაგრამ, ერთი მხრივ, ნაკლებად სისხლიანია, ხოლო მეორე მხრივ — გაცილებით უფრო რთული. მხედრები თავიანთი ცხენებით ერთმანეთს ეჯიბრებიან ჭენებაში. ამასთან, კოლონაში მირბის ხარიც (იგი ფინიშთან იგივე მხედრებს მიჰყავთ). შეჯიბრების მონაწილენი მათრახს ურტყამენ ხარს, ყოველნაირად ამცირებენ, შეურაცხყოფენ კუროს ღირსებას, ხოლო სულ ბოლოს, ფინიშზე, კუდზე ქაჩავენ. მხედარი, რომელიც კუროს „კუდს აუწევს", ეროვნულ გმირად ცხადდება, ოღონდ, მომავალ ასპარეზობამდე. ერთმანეთისგან განსხვავებით, ვენესუელაში ხარს არ კლავენ. ვენესუელელი ხალხის აზრით, სიკვდილი მეტისმეტად იოლი გამოსავალია. სიკვდილზე გაცილებით უფრო დიდ სატანჯველად ითვლება ხარის დამცირება მრავალათასიანი მაყურებლის თანდასწრებით.

კოლეო მსოფლიოში სპორტის ყველაზე საშიშ სახეობად არის აღიარებული. კოლეოს მხედრებს ბავშვობიდანვე ამზადებენ და ისინი ვენესუელაში ყველაზე მდიდარ ადამიანებად ითვლებიან.

ჟურნ. „ოგონიოკი", № 41.

დედაქალაქი

აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ ერთ მეტად მტკივნეულ პრობლემას, რაც ყველას პირზე აკერია, მასმედიის ყურადღებაც არ აკლია, შესაბამისი ზემდგომი ორგანოებიც ცდილობენ, ალბათ, პოლიციაც სახავს გეგმებს.

ჯერჯერობით კი ვერაფერი ვერ კეთდება ან არ კეთდება. ეს მწვავე ცხოვრებისეული პრობლემა ღრმა შესწავლასა და სწორ გადაწყვეტილებას საჭიროებს, თანაც დროულს, ქმედითს, გადამჭრელს.

ბოლო პერიოდში პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ ღულუნიშვილის თაოსნობით ამ საკითხზე სხდომაც ჩატარდა. აუცილებლობა კი მოითხოვს ძალზე საჭირბოროტო პრობლემის მოგვარებაში სასწრაფოდ ჩაერიოს მთავრობაც, პარლამენტიც, პოლიციაც, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროც, ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის სამინისტროც, ყველა, ყველა, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი შვილების, მომავალი თაობის ბედი.

მანქანები ბოლავს — ხალხი იწამლება

ყველასაგან გაკრიტიკებულ და სამუდამოდ მივიწყებულ სოციალისტურ ყოფა-ცხოვრებას აურაცხელ ნაკლთან ერთად ზოგიერთი დადებითიც გააჩნდა. ამ დადებითი ტენდენციებიდან ზოგი რამ ახალ დემოკრატიულ ვითარებაში ახლებურად უნდა გამოვიყენოთ, ძველ შეცდომებზეც შევძლოთ სწავლა, წარსულიდან ყველაფერი ხელაღებით არ უკუვაგდოთ.

ჯერ კიდევ ამ ოცი თუ ოცდახუთი წლის წინ მაშინდელმა მთავრობამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღეს ისეთი საყურადღებო დადგენილებები, როგორიც იყო: ხმაურის გამომწვევი მიზეზებისა და ხმოვანი სიგნალების აკრძალვის, ქალაქის ქუჩებში მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვის, ტექნიკურად გაუმართავი მანქანების ქალაქში გამოსვლის აკრძალვის შესახებ და სხვა მსგავსი დადგენილებები, რაც ხმაურისა და ქალაქის დაბინძურების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ სახის დადგენილებები მაშინაც ძალზე საჭირო იყო და დღეს მით უმეტეს, სჭირდება სოდომგომორად ქცეულ, განუწყვეტელი ხმაურითა და მომწამლავი აირებით უხვად დაფარულ ქალაქს.

დემოკრატიის ცუდად გაგებულმა პრინციპებმა, მრავალი მსხვილმანი თუ წვრილმანი დამნაშავისათვის ხელის დაფარებამ, მათი უფლებების გააფთრებულმა დაცვამ ტრანსპორტის სფეროშიც მყარად იჩინა თავი. არავინ კანონს აღარ ემორჩილება. თბილისის ისედაც შეზღუდულ მაგისტრალებზე უაღრესად გადაჭარბებული სიჩქარით დაჰქრიან სხვადასხვა მარკის უცხოური მანქანები, რომელთა ჩაბნელებულ-ჩაწყვედიადებული ფანჯრების მიღმა სხედან პირში სიგარეტგარჭობილი და ყურზე წესისამებრ მობილურტელეფონმიდებული გოგო-ბიჭები.

მიუხედავად იმისა, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ააა სანიშნე ნომრები გაუქმდა, სხვა რაღაცით თუ ვიღაცით პრივილეგირებული მანქანები მაინც უხეშად არღვევენ წესრიგს, უხვევენ, სადაც მოესურვებათ, და მოეგუნებებათ, ტექნიკურ გაუმართაობას არად დაგიდევენ.

უამრავი მანქანა ბოლავს და მომწამლავ გაზებს აფრქვევს ტაფობში ჩაჭედილი და მინიმალური განიავების მქონე უძველესი ქალაქის ვიწრო ქუჩებში. ზოგჯერ მანქანა ისე ძლიერად ბოლავს, მთელი ქუჩა კვამლით იფარება, რაც განსაკუთრებით ძლიერდება გადართვა-გადმორთვის დროს.

საქართველოს კონსტიტუციით ადამიანებს აქვთ დასვენების უფლება. ეს ხელშეუხებელი უფლება მუდმივი ხმაურის, გრიალისა და მომწამლველი ჰაერის პირობებში უკვე გამორიცხულია, რაც სწორ განსჯასა და დროულ გადაჭრას საჭიროებს. ასეთი ვითარება ხალხის, მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობის სასტიკ უკმაყოფილებას იწვევს. ამისთვისაც კი მთავრობის მიმართ გაბოროტებული გამოთქმები გაისმის. ცნობილი ამბავია, რომ ხალხი ყველაფერს მთავრობას აბრალებს, ლამის უამინდობასაც კი.

ჩვენს ქვეყანაზე ათჯერ თუ თხუთმეტჯერ დიდი საფრანგეთის ხელისუფლებამ, პარიზის მერიამ ისიც კი მოახერხა, რომ კვირის ზოგიერთ დღეს ასიათასობით მანქანა მთელი დღითა და ღამით ჩერდება, რაც თბილისზე გაცილებით მეტად ბუნებრივი განიავების მქონე პარიზს ეკოლოგიურ მდგომარეობას უუმჯობესებს და ხალხს, ბავშვებს იცავს მხუთავი აირებით მოწამვლისაგან.

პარიზთან შედარებით ისედაც ვიწრო ქუჩების გადატვირთვამ დაშვებულ ზღვარს 70-80-ჯერ გადააჭარბა. მრავალ უბანსა და ქუჩასთან ერთად ისე არნახულად არის გადატვირთული, მაგალითად, დავით აღმაშენებლის, რუსთაველის, თამარ მეფის პროსპექტები, მერაბ კოსტავას ქუჩა, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა, ნიკო ნიკოლაძისა თუ იაკობ ნიკოლაძის ქუჩები, რომ მოსახლეობას ნორმალური ცხოვრება აღარ შეუძლია და პირველი შესაძლებლობისთანავე ყველა ფიქრობს ამგვარი მომწამლელ-დამღუპველი ცენტრიდან შორს გადასახლდეს.

იაკობ ნიკოლაძის ქუჩა იქცა რაღაც საშინელ მონაკვეთად. აქ ყოველ წუთს იქმნება ავარიისა და მოქალაქეთა დაღუპვის, ღმერთმა დაგვიფაროს, ბავშვების დაღუპვის შესაძლებლობა, რის გამოც, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული ოპერატიული ქმედითი ზომები ქალაქის ხელისუფლების მიერ. ისევე სრულიად დაუშვებლად არის გადატვირთული ნებისმიერი ბაზრობის მიმდებარე ქუჩებმოედნები.

ადრეულ წლებში აუტანელი ხმაური იყო ძირითადად პიკის საათების დროს, ღამით კი, ასე თუ ისე, სიმშვიდე ისადგურებდა. ახლა მთელი ღამის მანძილზე გრძელდება მანქანების გრიალი და მოშლილი ჩამხშობების გაასმაგებული ღმუილი, რაც დაღლილ ხალხს ძილის საშუალებასაც კი უსპობს.

მასმედია თუ პარტიები არცთუ იშვიათად კბილს გაჰკრავენ ხოლმე პოლიციას, დგანან და ფულს იღებენო. წელიწადზე მეტი იქნება, ამ ქუჩებში და, განსაკუთრებით კი, იაკობ ნიკოლაძის ქუჩაზე პოლიციელი საერთოდ არავის დაუნახავს. საინტერესოა, სადღა ახერხებენ ფულის აღებას?!

თბილისი იწამლება, მომავალი თაობა ავადდება, პირდაპირ რომ ვთქვათ — ვიღუპებით. რაღად გვინდა ამდენი მანქანები და ე. წ. კომფორტზე ზრუნვა, თუკი ახალგაზრდობა დაავადმყოფდება და გადაგვარდება. ამიტომ მთავრობამ და პარლამენტმა სასწრაფოდ უნდა მიიღონ შესაბამისი დადგენილებები, რომ თბილისი და მთელი საქართველო კიდევ ერთი სახეობის გენოციდს გადაურჩეს.

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული კავშირი „საზოგადოება ცოდნა"; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება საქართველოს ლექტორთა კავშირი.

განცხადება

ასეთი უნდა იყოს დირექტორი

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მომიჯნავე ექვსმა რაიონმა და მათში შემავალმა ადგილობრივმა თვითმმართველობებმა „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის" ორგანული კანონის 8[1] მუხლის თანახმად დააფუძნეს კომუნალური მიზნობრივი გაერთიანება. ეს გაერთიანება წარმოადგენს საჯარო სამართლის კორპორაციას. მან პირველ რიგში გაერთიანების ტერიტორიაზე, რომელიც შედგება ექვსი რაიონისაგან, უნდა განახორციელოს წყლის მომარაგება, შემდეგ წლებში კი ნაგვის გატანა და კანალიზაციის სისტემის ორგანიზება. გამგეობასა და საერთო კრებასთან ერთად, რომლებშიც წარმოდგენილები არიან გაერთიანების წევრი რაიონები და ადგილობრივი თვითმმართველობები, გაერთიანებას ეყოლება აგრეთვე დირექტორი.

მან შესაბამის რაიონებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებთან და გერმანულ მხარესთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღოს გაერთიანების ჩამოყალიბებაში, რის შემდეგაც უნდა იკისროს გაერთიანების ხელმძღვანელობა და იზრუნოს ისეთ ეფექტიან და ფინანსურად საიმედო მართვაზე, რითაც გარანტირებულ იქნება გაერთიანების ხანგრძლივი არსებობა. დირექტორი იქნება მთელი პერსონალის სამსახურის უფროსი, ამიტომაც მისგან მოველით პესრონალის მართვის და თანამშრომლების მოტივირების უნარსაც. კორპორაციის მართვის კომერციულ და ტექნიკურ საკითხებში დირექტორმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს გაერთიანების გამგეობასა და საერთო კრებასთან, რომლებმაც, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, უნდა განამტკიცონ მომხმარებლის მიმართ კეთილგანწყობილი და მოქალაქეებზე ორიენტირებული მიზნობრივი გაერთიანების პოლიტიკა.

დირექტორს უნდა ჰქონდეს ეკონომიკური განათლება, სასურველი იქნებოდა მიკროეკონომიკის სპეციალისტი და "European Scholl of Management"-ის (ESM), „Caucasian Business School"-ის ან საქართველოს თუ უცხოეთის რომელიმე მსგავსი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული. საუნივერსიტეტო ცოდნასთან ერთად კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, სასურველია, რომელიმე დიდი საწარმოს საშუალო დონის მენეჯმენტში. სასურველია აგრეთვე სალაპარაკო ინგლისური და/ან გერმანული ენების ცოდნა, კომპიუტერის საბაზისო ცოდნა და კომუნალურ საკითხებში გამოცდილება.

კანდიდატი სასურველია იყოს 25-35 წლის.

საწყის ეტაპზე ხელფასი შეადგენს კანდიდატის წინა სამსახურებრივი გამოცდილების გათვალისწინებით 450 დან 550 ევროს, ამას დაემატება სამსახურთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება. გაერთიანების დირექტორმა უნდა იცხოვროს მიზნობრივი გაერთიანების რეგიონში.

კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისათვის ჩვეულ დოკუმენტებთან ერთად (ბიოგრაფია, მოწმობები) უნდა წარმოადგინოს საკონკურსო ფორმულარი, რომელიც შესავსებია ინგლისურ ან გერმანულ ენაზე. ფორმულარის მიღება შესაძლებელია GTZ-ის პროექტის ოფისში (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, კოსტავას გამზ. 68[1], მე-5 სართული). ფორმულარი, სხვა დასახელებულ დოკუმენტებთან ერთად ა. წ. 12 ნოემბრამდე უნდა ჩაბარდეს დახურული კონვერტით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტში, კოსტავას გამზ. 68[1], მე-2 სართული. ტელ: 33-51-77.

თითქმის ნატურიდან

რაზე დავილუპებოდით!

ყოველ ნორმალურ ქვეყანაში, თუკი ვინმე საღად აზროვნებს, უყვარს და პატივს სცემს მდიდრებს (სად მდიდრების ცქერა და სად ღატაკებისა!). გამონაკლისი ვართ ქართველები, რომლებსაც მდიდრები თვალის დასანახად გვეზარება. ამ სიძულვილმა ზოგი იქამდეც მიიყვანა, რომ მდიდრებისთვის ქონების ჩამორთმევა და ღარიბებისთვის გადაცემა საჯაროდ მოითხოვა. კიდევ კარგი ცდუნებას არ ავყევით, თორემ ვერც ღარიბებს გავამდიდრებდით (მათ მდიდრების ქონება კბილის ქარადაც არ გაყვებოდათ) და ამ გაჭირვების ჟამს წვითა და დაგვით მოპოვებულ მდიდრებსაც სამუდამოდ დავკარგავდით.

რაზე დავილუპებოდით!

არადა, ამის საშიშროება აშკარად იყო. მით უფრო, რომ, როგორც მე შევამჩნიე, თავად მდიდრებსაც სძულთ ერთმანეთი. ასე რომ არ იყოს, რა თქმა უნდა, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სადაც ძირითადად მდიდრები არიან დაბუდებულნი, ამდენი დავა, ინტრიგა და ჯიჯგნა არ იქნებოდა. ის კი არა, ხანდახან იმასაც ვფიქრობ ხოლმე, რომ სწორედ მათმა ქიშპობამ და გაუტანლობამ დაბადა ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ასეთი დაუოკებელი წყურვილი.

თუ ძმა ხარ, კორუფცია რომელ ქვეყანაში აღარ არის, მაგრამ მის წინააღმდეგ ასეთი ამხედრება სად გაგონილა. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, კორუფცია საბაბია (ეს რომ არ იყოს, მაშინ ბიუჯეტის მოცულობა გაიზრდებოდა და გეგმა მაინც ვერ შესრულდებოდა), თორემ, ფაქტობრივად, იგი მდიდართა ამოძირკვის სურვილით არის გამოგონილი. აი, ნახავთ, თუ მდიდრები ჩამოვიცილეთ, კორუფციაც უმალ გაქრება ისე, რომ მისგან ბუმბულიც აღარ დარჩება.

არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ თუნდაც ის ქონებრივი დეკლარაციები, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინათ შემოვიღეთ, განა მდიდრების წინააღმდეგ დაგებული მახე არ არის? მართალია, ამ შემთხვევაში ჩვენმა ჩინოვნიკებმა და პარლამენტარებმა (იგივე მდიდრებმა) იმარჯვეს, ქონების უდიდესი ნაწილი სიდედრ-სიმამრზე გადააფორმეს და ამ გზით ხაფანგიდან სუფთად გამოძვრნენ, მაგრამ სიფრთხილე რომ არ გამოეჩინათ, ხომ ბანანის ქვეყნებს დავემსგავსებოდით.



თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, მდიდრების ასეთმა მოხერხებულობამ საზოგადოებაში სხვა უხერხულობა გამოიწვია — ხალხმა დღემდე ვერ დააზუსტა ბოლოსდაბოლოს რამდენი მილიარდერი (მილიონერები რა სათვალავში ჩასაგდებია) გვყავს. პირდაპირ სამარცხვინოა, როცა ვიცით, რამდენი მილიარდერი ჰყავთ, ვთქვათ, ამერიკელებს, ინგლისელებს, ფრანგებს და ამ დროს, არ ვიცნობთ საკუთარ მილიარდერებს. კიდევ კარგი, ამერიკელები გვიგზავნიან ხოლმე ჩვენებურ მილიონერთა სიებს, თორემ მთლად ინფორმაციულ ვაკუუმში ჩავეფლობოდით.

თანაც ერთმა გაუგებრობამ მეორესაც გადაგვკიდა. რადგან ოფიციალურად არ ვიცით, მდიდრების ვინაობა, იძულებული ვართ მათი ქონების შესახებ გავრცელებული ჭორების ან იმის მიხედვით ვიმსჯელოთ, თუ ვინ როგორი სახლი აიშენა, ან ეზოში რომელი მარკის ჯიპი დაიყენა. ეს მაშინ, როცა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, ასეთი მეთოდით სიმდიდრის განსაზღვრა არარეალურია. ვინ მოთვლის, რამდენი მდიდარია ამქვეყნად, რომლებსაც სიძუნწის გამო არა თუ სახლს ვერ აშენებინებ, ტუალეტსაც კი ვერ შეაკეთებინებ. ასეთები, როგორც წესი, კვარტალში ერთხელ დოლარებს მუთაქიდან იღებენ, მზეზე ანიავებენ და სასწრაფოდ ისევ ზედ ასხდებიან.

ამ მხრივ, მოსვენებულად ცხოვრობენ ღარიბები, რომლებიც, ჩემი დაკვირვებით, საქართველოში გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე მდიდრები. ამიტომ, მათთან დამოკიდებულებაში დიდი სიფრთხილე გვმართებს. კერძოდ, ვფიქრობ, მდიდრებს უნდა მოვუფრთხილდეთ და ღარიბებს რაც შეიძლება მოვუჭიროთ, რათა კიდევ უფრო არ გაღარიბდნენ. თუ ისინი არ შევზღუდეთ და გასაქანი მივეცით, ახლო მომავალში შეიძლება ერთიორად მომრავლდნენ და ქვეყანას გამოუვალი პრობლემები შეუქმნან.

რა უნდა ვიღონოთ, რომ ქვეყანა ამ პრობლემებისგან ვიხსნათ?

ჩემი აზრით, უპირველესად, უნდა მოვაწესრიგოთ ღარიბთა აღწერა და ამის პარალელურად მათი ვალების აღრიცხვაც. ვფიქრობ, ამისათვის ამჯერად მაინც გამოგვადგება ქონების დეკლარაციების შევსება, რასაც მდიდრებმა შეგნებულად უგანეს. ღარიბები ამას ვერ გააკეთებენ, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვალებს ვერ დამალავენ და ვერც ვერავის მიაწერენ (რომელი ჭკუათმყოფელი იკისრებს სხვისი ვალების აკიდებას). ეს კი თავისთავად საშუალებას მოგვცემს ჩვენი მილიონერი მოვალეები (შეიძლება მილიარდერიც) გამოვავლინოთ და ამით მთელ მსოფლიოში თავი მოვიწონოთ.

მდიდრებმა ხელიდან გამოგვგლიჯეს ეს შანსი და ღარიბებით მაინც ვიტრაბახოთ!

თუმცა, წინასწარ მინდა გავაფრთხილო სამთავრობო და, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომ ამის გაკეთება იოლი არ იქნება — იგი დიდ თანხებთან ერთად დიდ დროსაც მოითხოვს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ უცხოური გრანტების საქმეში არასამთავრობოების მდიდარ გამოცდილებას, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი ამ პრობლემას თავს იოლად გაართმევენ, ვალების აღრიცხვაზე უამრავ ხალხს დაასაქმებენ და თავადაც დასაქმდებიან (გრანტებს შეჭმა უნდა, ხოლო მოვალეებს — გამოვლენა).

აქვე მინდა ვურჩიო, თუ ყველას ვერ დავასაქმებთ, შეიძლება ღარიბები სულაც საკუთარი ვალების ყიდვა-გაყიდვის ბიზნესში ჩავრთოთ. ამაზე შეიძლება ზოგს გაეცინოს კიდეც, მაგრამ გასაკვირი არაფერია — საზღვარგარეთ ვალების როგორც ყიდვა, ისე გაყიდვა ჩვეულებრივი ამბავია და საკმაოდ მომგებიანიც. ასე რომ, ჩვენებური ღარიბები თუ ბიზნესს მოეკიდებიან, მოკლე ხანში შეიძლება მცირე ვალების გაყიდვით ისეთი მოგება ნახონ, რომ უფრო დიდ ვალებსაც გამოკრან ხელი (საერთაშორისო ბაზარზე ვალი რაც უფრო დიდია, მით უფრო მომგებიანია).

ჰოდა, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ღარიბები იმდენ ქონებას დააგროვებენ, რომ მათთან შედარებით მდიდრები ღარიბებად მოგვეჩვენებიან. ახიც იქნება, კაცი, რომელიც ქონებას მალავს, ის მდიდარი ვერასოდეს გახდება.

ოთარ ხუციშვილი.

ედუარდ შევარდნაძე და თენგიზ მენთეშაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიყრმის მეგობარი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე

ნუგზარ ებრალიძე

და გულითადად თანაუგრძნობენ მისი ოჯახის წევრებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის, საქართველოს პროფკავშირებისა და შრომის ფედერაციის თავმჯდომარე

სპარტაკ ხატიაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის წევრი, მსახიობი, კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

სპარტაკ ხატიაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

თელავის რაიონის გამგეობა და კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის თელავის რაიონული კომიტეტი მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი საზოგადო მოღვაწის

სპარტაკ ხატიაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა, იზო, თორნიკე, თამუნა და თიკო გურგენიძეები სულით ხორცამდე შეძრულები თანაუგრძნობენ დოდო და ავთანდილ ზარდიაშვილებს შვილის

ავთო ზარდიაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

გიორგი კვერენჩხილაძე, დათო კალანდაძე, ლაშა ბაზაძე, შალვა გოქაძე და სოსო მიხელიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ავთანდილ ზარდიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცენტრის ყოფილი უფროსი

იმელო (კოტე) ზვარამია

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ენდი, რევაზ ყიფიანები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა და ომარ მხეიძეებს დედისა და სიდედრის ქალბატონ

ლიზა ოთარაშვილის

გარდაცვალების გამო.

გახსენება

ივერი ებრალიძე

ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მუდმივ საუფლოში გავაცილეთ **ივერი ებრალიძე,** უღალატო მეგობარი, თოვლივით სპეტაკი პიროვნება.

სამკვდრო-სასიცოცხლო ომის წლებსა და ომისშემდგომ პირველ წლებში მოგვიხდა სტუდენტობა. კაცი ჭირში იცნობაო, ნათქვამია. იმათ საპირისპიროდ, ვინც დიდი წესრიგისა და მაღალი მომთხოვნელობის პირობებშიც კი მაინც „ახერხებდა" სხვათა ხარჯზე თავისთვის მეტნაკლებად შეღავათიან მდგომარეობას, ჩვენს მეგობარს არასდროს არ უცდია თავისთვის გამორჩეული კეთილდღეობის შექმნა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, როცა ის დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგა, ზოგ-ზოგებივით ცდუნებას არ აჰყოლია და სულიერი თუ მორალური სისუფთავის შენარჩუნება შესძლო, თუმცაღა ისეთ ორგანიზაციაშიც მოუხდა ხელმძღვანელად მუშაობა, სადაც საკმაოდ ძნელი იყო ამის გაკეთება, მაგრამ მან ეს შესძლო.

ივერი ებრალიძე მუდამ ალალი და თვითკრიტიკული იყო. სამართლიანობა, ობიექტურობა, მორალური სისუფთავე მისი ცხოვრების დევიზი გახლდათ. მის ამ თვისებას ყოველ ნაბიჯზე გრძნობდნენ და ხედავდნენ ადამიანები, რომელთა წრეშიაც ის ტრიალებდა, გრძნობდნენ და ხედავდნენ ამას ყველგან — სამსახურში, ოჯახში, ნათესავ-მეგობრებთან.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული. ივერი დაუვიწყარი იქნება არა მარტო ოჯახისთვის, არამედ ჩვენთვისაც — ინსტიტუტელი მეგობრებისთვისაც.

ამინ!

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტის თანაკურსელი მეგობრები.

ფრიდონ ინჯია, თემურ ღოღობერიძე, ოთარ ბიწაძე, ვახტანგ თოდუა, ნოდარ ხარატიშვილი, ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, კარლო სულხანიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

დავით ქავთარაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — ფოპტნეტის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ცენტრალური ტელეგრაფის ყოფილი უფროსის, ამჟამად შპს „ინფოკომის" ტექნიკური დირექტორის

დავით ქავთარაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიქმნა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურაბ ზოზიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბექა ჭედია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS—98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რაინიგზის ჩიხი 20.